

ლიტერატურული ალმანახი

# ხმელნახ უჯი

თებერვალი 2019



თეანასის ავალუბა. (IX ს.)

№ 8

# „ხმის ნახე უჯი“

დეკემბერი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამოცემა

2019 წელი

## ს ა რ ჩ ე ვ ი

### აღმანახის სტუმარი

ოცი წელი დედოფლისწყაროში ..... 2

#### პოეზია

ლევან ალავერდაშვილი..... 4

დავით ბუაძე..... 5

ფიქრია ყუშიტაშვილი ..... 7

მარიკა პარნასელი..... 8

თამარ შაიმშელაშვილი..... 9

#### პროზა

გივი სომხიშვილი

ზაქარას ბატი ..... 12

გიზო თავაძე

ველური ვარდები ..... 17

ემა მანძავა

სიკვდილის ველი ..... 18

#### ახალი სახელები

ლეილა სიჭინავა ..... 19

შოთა არაბული ..... 24

#### პოეზია

ეკა ჯავახიშვილი ..... 26

ზაირა ფრუიძე ..... 27

ჯუმბერ უთრუთაშვილი ..... 28

ვლადიმერ გიორგაძე..... 29

ზურაბ ქობალია..... 30

ზურაბ მამულაშვილი ..... 31

თამარ ნასრაშვილი ..... 32

#### პუბლიცისტიკა

ზურაბ კუტიბაშვილი

ვასილ ბარნოვის მითოსური გააზრებანი..... 33

ლია ნადირაშვილი

ფესვების ტკივილი ..... 39

#### პოეტური ღვინო

ვაჟა ოთარაშვილი..... 41

ეკა კვანტალიანი ..... 43

### საბავშვო გვერდები

ნუნუ ძამუკაშვილი ..... 44

#### ბავშვებზე

ზაურ გონაშვილი ..... 46

ნინო წიკლაშვილი ..... 47

#### თარგმანი

აბუ ალი იბნ სინა ..... 48

ზაყანი შირვანელი ..... 48

საადი შირაზელი ..... 48

ხოსრო დეჰლევი ..... 49

ქამალ ხოჯენდი ..... 49

ჰაფეზი შირაზელი ..... 50

ანა ახმეტოვა ..... 50

ალექსანდრ ბლოკი ..... 51

იოსიფ ბროდსკი ..... 51

ივან ბუნინი ..... 51

მარინა ცვეტაევა ..... 51

ათანას ფეტი ..... 51

სერგეი ესენინი ..... 52

მაქსიმ გორკი..... 52

იოჰან ვოლფგანგ გოეთე ..... 53

ჰაინრიხ ჰაინე..... 53

ჰერმან ჰესე ..... 53

გეორგ ჰაიმი ..... 54

გეორგ თრაქლი ..... 54

გოტფრიდ ბენი ..... 54

რაინერ მარია რილკე ..... 54

ქევსერ რუჰი (ქეთევან ხანთაძე)..... 55

#### დედოფლისწყაროს ისტორიიდან

დალი ბაღაშვილი

მთიელთა ჩამოსახლება შირაქში

ვაჟა-ფშაველას თაოსნობით ..... 59

#### სსოვნა

ნანა ჭიჭინაძე

გია ყანჩელი - მარადისობის ბინადარი ..... 62



აღმანახის გამოცემაში ხელშეწყობისათვის მადლობას მოვახსენებთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ნუგზარ პაპიაშვილს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორს ბატონ ილია მარტყოფლიშვილს.

რედაქტორ-გამომცემელი:  
გიორგი ნატროშვილი

აღმანახის ქუდის ავტორი:  
სამგო ქართოშვილი  
დაიბეჭდა მპ პოლიგრაფში

გარეკანი გაფორმებულია:  
ვაჟა ყოჩიაშვილის ფოტოთი და  
მელანო ზედელაშვილის ნახაზებით

# ოცი წელი დედოფლისწყაროში

ამ რუბრიკაში უფრო ახლოს გაგაცნობთ იმ ადამიანებს, ვინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნისა და რაიონის ცხოვრებაში. აქ მხოლოდ კულტურის სფეროთი არ შემოვიფარგლებით. ამჯერად, ალმანახის მერვე ნომრის სტუმარია ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის მღვდელმსახური, დედოფლისწყაროს სიონის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი **დეკანოზი ნიკოლოზი (ლომსაძე)**, რომელიც აგერ უკვე 20 წელი გახდა (1999 წლის სექტემბერში), რაც დედოფლისწყაროს ემსახურება და მოსახლეობის საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა. როდესაც მან მოღვაწეობა დაიწყო მხოლოდ ერთი სამლოცველო სახლი მოქმედებდა, ამჟამად ათზე მეტი მოქმედი ეკლესიაა. მაშინ ის მარტო ემსახურებოდა მთელ დედოფლისწყაროს და სიღნაღის რაიონის რამოდენიმე ტაძარშიც ატარებდა მსახურებას, ამჟამად ათზე მეტი სამღვდლო პირია ჩვენს რაიონში. ასევე სწორედ მამა ნიკოლოზის მოღვაწეობის შედეგია დედოფლისწყაროს სიონის მშენებლობა, რომელიც ერთგვარად მისი სულიერი პორტრეტიცაა.



— დაგვლოცეთ, მამაო! იქნებ გაიხსენოთ ბავშვობა, ის მშობლიური გარემო, სადაც აღიზარდეთ, თქვენი მშობლები, დედამამიშვილები, ბავშვობა და ყრმობა.

— ღმერთმა დაგლოცოთ! რა გითხრათ ჩემი ბავშვობის შესახებ, 1969 წლის 2 აპრილს დავიბადე. ის წლები ათეისტურ ხანად ითვლებოდა, ღმერთზე მაშინ თითქმის არავინ საუბრობდა, მიუხედავად ამისა ბაბუა და ბებია ხშირად ახსენებდნენ უფლის სახელს, მასხოვს ბაბუჩემი ავედრებდა თავის ახლობლებს უფალს, იტრიის ღვისმშობელსა და წიფის წმინდა გიორგის, მამაც (თამაზი ნათლობით თომა) დაწოლის წინ პირჯვარს იწერდა და ლოცვას წარმოთქვამდა, ამანაც დატოვა ჩემზე თავისებური კვალი. ასევე მყავს დედა ემილია და ირმა და ძმა დავითი. არდადაგებზე მშობლებს ხშირად ჩაუყავდით სოფელში, იქ კვლავ იყო შემორჩენილი ძველი ტრადიციები. გიორგობას ტაძრის ნანგრევებთან იყრიდა მთელი სოფელი თავს, ბებია სანთლებს გააკეთებდა და სიხარულით მიფუყვებოდათ საყდრის გზას. წმინდა ბარბარეს ხსენების დღეს აუცილებლად ლობიანებს გამოაცხობდა ხოლმე. ვზეიმობდით შობას და ძველით ახალ წელს.



სკოლის დაწყება

ბებია და ბაბუა წარმოშობით ზემო იმერეთიდა იყვნენ, ხშირად იხსენებდნენ თავიანთი ყრმობის ამბებს და ჩვენც დიდი ინტერესით ვუსმენდით. მშობლები მკა-

ვრად არ გვზრდიდნენ, ყველანაირად ცდილობდნენ კარგად გვესწავლა და გვაჩვენდნენ უფროსების პატივისცემას.

— სკოლის პერიოდს როგორ გაიხსენებდით, გამორჩეული მასწავლებლები თუ გყავდათ, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა?

— ვერცერთ მასწავლებელს ვერ გამოვარჩევ ყველა თავისებურად კარგი იყო, ზოგი მკაცრი, ზოგიც ძალიან მეგობრული. რელიგიურ თემაზე საუბარს კი ყველა მათგანი ერიდებოდა, თავდაპირველად ქალაქ რუსთავში ვსწავლობდი, ხოლო შემდეგ სოფელში მომიხდა სწავლის გაგრძელება.

— საბჭოთა პერიოდში აღზრდილებისათვის ღმერთთან მიახლოების გზა ადვილი არ იყო. თქვენს შემთხვევაში ეს როგორ მოხდა?

— ღმერთთან მიახლოების გზა ნამდვილად არ არის მარტივი. მიუხედავად იმისა, რომ ათეისტურ ხანაში გაიზარდე, ყოველთვის რაღაცის ძიებაში ვიყავი, მქონდა ათასი კითხვა, მაინტერესებდა როგორ შეიქმნა სამყარო, არასდროს მჯეროდა დარვინიზმის. 1989 წელს სამხედრო სამსახური მოვიხადე, შემდეგ რუსთავში დაბრუნდი 9 აპრილის ტრაგედია ახალი მომხდარი იყო, ხალხში ეროვნული გრძნობები იღვიძებდა, უკვე ღმერთზეც საუბრობდნენ. სწორედ ამ პერიოდში ამენდა რუსთავში ეკლესია, აღსანიშნავია, რომ მანამდე იქ არ იყო ღვთის მსახურება. მასხოვს მეგობარს გაუყვევი პარაკლისზე, იქ ისეთი სიმშვიდე და სიხარული ვიგრძენი გამოსვლა აღარ მინდოდა, ამის შემდეგ გადავწყვიტე ტაძარში სიარული.

— განათლება სად გააგრძელეთ?

— შემდეგ ასეთი შემთხვევა მოხდა, ახალციხიდან მეუფე სერგი (ამჟამინდელი ნეკრესის მიტროპოლიტი) ჩამობრძანდა სამღვდლოებასთან ერთად, დღესასწაულზე წირვის ჩასატარებლად. ქადაგებისას ახსენა, რომ საფარის მონასტერში გახსნილი იყო სასულიერო სემინარია. იქვე

მოვიღე გადაწყვეტილება, რომ სწავლა იქ გამეგრძელებინა.

— საფარის მონასტერის მნიშვნელობაზე და იქ განვლილ წლებზე მოგვიყვით?

— ყველაზე ტკბილად საფარაში გატარებული წლები მახსენდება. გაჭირვების წლები, მაგრამ ამავდროულად ძალზე ტკბილი, იმით რომ სხვა სიყვარული და ერთიანობა გვქონდა, მაშინ ნელ-ნელა იკიდებდა ფეხს მონასტრული ცხოვრება, წინამძღვარი, ილუმენი თეოდორე (ამჟამად ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტი), განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მონასტერსა და სემინარიას. მონასტრის სამშობლოში ასევე იყვნენ: მღვდელმონაზონი საბა (ამჟამად ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტი), ბერდიაკონი არსენი (ამჟამად არქიმანდრიტი და საფარის მონასტრის წინამძღვარი), ბერი ანტონი (ამჟამად არქიმანდრიტი და ვარძიის მონასტრის წინამძღვარი), მორჩილი დამიანე (ამჟამად ჩვენი ეპარქიის, დედოფლისწყაროსა და ჰერეთის ეპისკოპოსი დიმიტრი)...

საფარის მონასტერმა და სემინარიამ უამრავი სასულიერო პირი გამოზარდა იმ მაღლითა და სიყვარულით რომელიც იქ სუფევდა და სუფევს.

— როდის და როგორ მოხდა თქვენი მღვდელმსახურად კურთხევა და ზოგადად თქვენი სამღვდლო მსახურების გზაზე მოგვიყვით?

— სემინარიის დამთავრების შემდეგ, იქიდან წამოსვლა მომიწია. ჩავედი ჯერ რუსთავეში შემდეგ კი ლაგოდეხის რაიონში, სადაც პედაგოგიური მოღვაწეობა გავაგრძელე. სწორედ იქ გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე. იმ პერიოდში მეუფე თეოდორე გამოარჩიეს ბოღბის ეპარქიის ეპისკოპოსად, მან იქ განაგრძო მოღვაწეობა და დიაკვნად კურთხევა შემომთავაზა, რაზეც მე დავთანხმდი. საცხოვრებლად სიღნაღში გადავედი. მეუფე თეოდორეს შემდეგ ეპისკოპოსი ნიკოლოზი დაადგინეს ბოღბის ეპარქიის მღვდელმთავრად. რომელმაც მომამზადა მღვდლობისათვის და ჩემი მღვდლად კურთხევა მოხდა პატრიარქის მიერ სიონის საპატრიარქო ტაძარში 1998 წლის 19 დეკემბერს. ერთი წელი სიღნაღში ვმსახურობდი, შემდეგ კი დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის შობის სამლოცველო სახლში გადმომიყვანეს, აქედან იწყება ჩემი ცხოვრება და საქმიანობა ქალაქ დედოფლისწყაროში.

— თქვენს მეუღლეზე და შვილებზე, ანუ თქვენს ოჯახზეც გვიამბეთ.

— ჩემს ოჯახზეც გვიამბობთ. მყავს მეუღლე ეკატერინე გორგაძე და ექვსი შვილი: იოვანე, ანტონი, ნინო, სალომე, თებრონია და თომა. სამი უფროსი შვილი უკვე სტუდენტია და სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში, უმცროსები კი სკოლის მოსწავლეები არიან. მე და ჩემი მეუღლე



მამა ნიკოლოზი პატრიარქთან დიაკვნობისას

ვცდილობთ შვილებს თბილი გარემო შევუქმნათ და სწორ გზაზე დავაყენოთ.

— გთხოვთ დალოცოთ ჩვენი საქმიანობა და თქვენი აზრიც მოგვანსნოთ ლიტურატურულ აღმანახ „ხორნაბუჯის“ შესახებ, რომელსაც მომავალ წელს ხუთი წელი უსრულდება.

დალოცოს ღმერთმა თქვენი საქმიანობა, შემოქმედებითი გზა რთულია, დღეს როდესაც აღარ გამოდის ჟურნალები, როგორც იყო „მნათობი“, „ცისკარი“. ამ ფონზე თქვენი ჟურნალი ძალიან მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს, მიაქვს მკითხველამდე მწერლებისა და პოეტების ნააზრვეი, მათი შემოქმედება.

მინდა მოგილოცოთ ხუთი წლისთავი და გისურვოთ კვლავაც დიდხანს გაგეგრძელებინოთ თქვენი საქმიანობა, ასევე მინდა დაგლოცო ყველა ის ადამიანი, ვინც ეხმარება ამ შემოქმედებით ჯგუფს. წყალობა და მაღლი არ მოგაკლოთ ღმერთმა!



ოჯახთან ერთად



# ლევან ალავროლაშვილი

## მუზა

მარიამ ტონიშვილს

მაშინ როცა ატკივდება მკერდში,  
 რაღაც უცხო, მშობლიური თუმცა  
 არ გააგდო, ნურც ნურაფერს ერჩი,  
 ის პენია — პოეზიის მუზა.  
 ხან რომ მზეობს, ხან ღვარობს და ტალღობს,  
 ჩაიკონე არ გაუშვა ხელი...  
 ის შენ ბევრჯერ-ბევრსაც მოგცემს „ბაღლო“,  
 თუმცა საკმარს ნურასოდეს ელი.  
 ძილს გაგიფრთხობს, ვით მწვეარი ირმებს,  
 შეგეჩვენა — დაგაჩოქოს ვინძლო,  
 ბრმა შეშლამდე შეგაყვარებს ვინმეს,  
 რომ დაკარგვის მწუხარებაც იგრძნო.  
 ის არ ყურობს განწირულის ძახილს  
 და შეკითხვებს — რატომ? როგორ? რისთვის?  
 ნეტარ ტანჯვის ეფარება სახელს,  
 შებრალება უცხო არის მისთვის...  
 მაგრამ, მაინც, არ გაუშვა ხელი,  
 არ დაკარგო მგოსნეული ალღო,  
 თუმც საკმარისს მისგან ნურას ელი,  
 ის შენ მაინც შეგიყვარებს „ბაღლო“.

## სიზმრის სიყბადღე

წუხელ სიზმარი მოვსინჯე,  
 თითქოს გაღმისკენ გავყო...  
 მძინარს ნუ მებრძვი სიკვდილო,  
 მო, ცხადში გამათავეო.

ვერ შემაშინებ წამიყვა  
 გინდა დღე, გინდა ღამეო,  
 ანდა რად შემეშინდება,  
 შენთან ფიც-ვერცხლი ვჭამეო.  
 ორწყალს გადავალ, გადმომყევი,  
 ქართლისკეც მომედავეო...  
 ოღონდ ზურგიდან ნუ მოხვალ,  
 პირისპირ გამათავეო.

## მამაჩემის, ვლადიმერ(ვალერიკო) ალავროლაშვილის სსოვნას

როდესაც ექიმებს ხელწერილი დაუწერე, რომ  
 მომაკვდავი მამაჩემი აპარატზე არ შევერთებინათ და  
 სახლში წავიყვანე

სააღდგომო მარხვა სუფევს წმინდა,  
 დავივიწყოთ ის წყენები ძველი...  
 მხოლოდ ბოლო მაპატუო მინდა,  
 შენს სიკვდილს რომ მოვაწერე ხელი.

## ჩანატირი ერთი ღამისა ანუ მინისქვეშა გადასასვლელი...

ისევ დაეწვიმა ქალაქს,  
 ქარიც შემოაწყდა ავი,  
 ვეძებ „უბედურთა ალაგს“,  
 იქნებ შევაფარო თავი.  
 ყველა სარკმელიდან შუქი  
 მჩუქნის გაცოცხლებულ სითბოს,  
 გულშიც ნაღველია მუქი,  
 იქაც გაეავდროს თითქოს...  
 მიწას დაენარცხა ჭიქაც  
 (მახსოვს ქეიფებიც არღნით),  
 და, ჰა, ჩემი ბედის ვილაც,  
 მლოცავს დაუსხმელი არყით.  
 თითქოს ოცნებაც კი ახდა,  
 დამე იმნაირად მათრობს,  
 ისე ვბედნიერობ ახლა,  
 ძალი რომ იპოვის პატრონს.  
 ისეთ სითბოებში მძინარავს,  
 თითქოს მოებეროს ივლისს,  
 ახლა ყველა თქვენგანს ძინავს,  
 მე კი ვეფერები თბილისს.

## ფატყმი

სავლად მერგო ხიდი ბეწვის,  
 დრო კაემანს კეცავს  
 თვალზე უფრო გული მქწვის,  
 როცა ვუშხერ ზეცას.  
 უსაშველო აგონია  
 დალატია ფლირტის,  
 ჯერ მოსულიც არ მგონია,  
 ის კი, უკვე მიდის...  
 და ფატყმო, რას დამმართებ  
 აწისაგან კიდევ?!  
 გენი?! სისხლი?! ნიჭი მმართებს?!

სამთავ ფერხითი გიდევს.  
 მუმლი აწვეს მუხის ხეს და  
 მხეს უცვლია გვერდი...  
 კლდეზე ამირანი კენეს და  
 ჯვარზე ქრისტე ღმერთი.  
 უღონოდ გსურს დამქოლო,  
 ტანჯვას უქმნა ლხინი,  
 თეთრი ცხენით გააქროლო  
 ჩემი ბალდახინი.  
 ტრაგედია ხდება ლექსის  
 ძუძუსავსე დედა,  
 მომავალი როცა კენესის  
 როგორც ანტივერტა.\*  
 სავლად მრჩება ხიდი ბეწვის,  
 დრო ფრთებს მშვიდად კეცავს  
 თვალზე უფრო გული მეწვის,  
 როცა ვუმხერ ზეცას.

• — რომაული ღვთაება წარსულის მოგონებისა.

**ასეა როცა**

(საკუთარ თავს)

„ნიჭით აღმატებულნი უსაქმობით იღუპებიან“  
 მიშელ მონტანი

დრომ მწუხრისფერი მოგ ხვია ხელი,  
 სულს დაგფენია სიყვითლე ობის,  
 ასეა, როცა ვიდაცას ელი,  
 ასეა, როცა არაუინ მოდის.  
 წლების გადაღმა მაისებს გავდი,  
 დღეს ძარღვებს გოვსებს მძიმე ქაოსი,  
 ასეა, როცა ხარ მწუხრის ლანდი,  
 მეფე მუზების სასაფლაოსი.  
 ხარ უქარობით ბედი აფრების,  
 დაშრეტილ თვალთა უშუქო მხერა,  
 ასეა, როცა გჯერა ზღაპრების,  
 იცი ტყუევლები და მინც გჯერა.

ასეა, როცა შეშლილ ძახილზე  
 გპასუხობს ექო ხაესიან ლოდის,  
 ასეა, როცა ისიც გახიზნეს  
 და არც სიკვდილი არსაით მოდის.

**ალტარება**

(ნ.-ს)

ღმერთო რამდენი დარდი თუ იჭვი,  
 დაუთვალაუი დაუნა-იები,  
 ღრმა იდეალი გენი და ნიჭი,  
 ღიმილი, ცრემლი, ემოციები...  
 სამარადისო ცისკენ გაქცევა,  
 აჩრდილთა ლაღი გამოკიდება,  
 მაგრამ რა არის ეს ალტაცება,  
 უსიყვარულოდ რაა დიდება?!

**თინათინა**

(ავტოკატასტროფაში დაღუპულ გოგონას)

მზეო ჩაეშვი სამარეს,  
 დაათბე ობლის ბინაო,  
 საბნად სხივები აფარე,  
 ტკბილად თუ ჩაეძინაო.  
 გადაუწმინდე თვალ-წარბი,  
 ცრემლი რომ დაედინაო,  
 მიუალერსე, დაკოცნე  
 მძინარე თინათინაო.

\* \* \*

იმქვეყნად ვიგრძნობთ სიცოცხლის გემოს,  
 ცოდვის შვილები საამქვეყნოსი,  
 რომ ანგელოზად მოვლენილ დემონს  
 დემონის სახით სჯობს ანგელოზი.

**ღავით ბუაძე**

\* \* \*

ცახცახებს სული სისხლიან კვართში,  
 შორ ჰორიზონტებს ვერ წვდება მხერა,  
 ან რას მოელი ცრუ სამართალში,  
 გულის სიღრმეში რომელიც გჯერა.  
 რას იზამს იჭვით დახრული ტვინი  
 თუ დაიბანგა ღვთაებრივ ღვინით  
 და რაღაც დროით კვლავ აღიდგულდა?  
 მაცდურად ბზინავს ვერცხლის სიცივე  
 ვით ილუზია სამუდამო დღის...  
 რასაც მიქადის ბედი ვიცი მე,  
 რადგანაც მასთან არრა გამომდის.  
 და ჩემსავ წარსულს როგორ გავექცე  
 (ვინც ჩაიდინა, ცოდვაც მას ავნებს),  
 იმ ასაკში ვარ, უკვე არ ვეძებ,  
 ყმაწვილურ, გიჟურ თავგადასავლებს...



\* \* \*

ყველა ტკივილს როგორ უნდა გაუძლო დღეს,  
 თუკი ბრძოლის გეკარგება ზოგჯერ ჟინი...  
 შეიძლება შენი სულიც გაუცხოვდეს  
 ან შემოგრჩეს ლექსად — იმედ-ნუგეშით.  
 შეიძლება ბევრი რამე დაგრჩეს ოხრად,  
 (შავ ღრუბლებში განაბულია თეთრი მთვარე)  
 რახანია ღვთისშობელიც დარდობს, ოხრავს,  
 ადამისძის თავხედობის შემხედვარე...  
 ჰოდა, რა ვქნათ, თუ გონებას გვაცლიან და  
 (ღმერთი არვის არაფერსაც არ აძალებს)  
 ჩვენზე მეტი იცის ლოდმა ხავსიანმა,  
 შერჩენილმა ციხე-ქალაქ ნატადრალებს.  
 ჩვენზე მეტად საკუთარ თავს არვინ არ ვნებს  
 (ჯერჯერობით არსაიდან არ ჩანს შველა),  
 იგივე ვრჩებით, რაც ვიყავით თავიდანვე  
 და ამიტომ ვეჩხივებით ყელში ყველას...

\* \* \*

ხვალდან ვიცვლი ცხოვრების წესს და  
 ხელს გამიმართავს უთუოდ ღმერთი...  
 მთაში მივდივარ უბრალო მწყემსად,  
 იქ, ყაზბეგს უნდა დაუდგე გვერდით.

იქნებ ვაჟასაც კი შეეხვედ სადმე  
 (ყველაზე მეტად იგი მზიანობს),  
 აქ, უკვე მეტი არა მაქვს საქმე,  
 მთვრალმა როდემდე ვიხეტიალო?

იქ, ახალ ამბებს გავიგებ მთების,  
 მათზე უკეთესს ბუნება რას ჰქმნის?...  
 მერე სამივე ერთად დავთვრებით  
 ჩვენი წარსულის ნისლიან ბანგით.

მე მოუყვები მათ ბარის ამბებს,  
 თავხედობისთვის ნურავინ დამემობს...  
 ნამგალა მთვარის ვერცხლისფერ წარბით  
 მივესალმები ვარსკვლავურ საძმოს...

\* \* \*

„ხენეში ხე გამოიღებს ხენემ ნაყოფს,“  
 მაპატიეთ, მე უვიცი თუკი ვცოდავ,  
 ნუ გაწყდები გვედრები, სულის ძაფო,  
 მოთმინება, შენც გამიძელ კიდევ ცოტა.  
 კიდევ ცოტა მახოგინეთ ამ მიწაზე,  
 დამიხსენით უაზრობის ყულაბიდან;  
 ჩემი ეტლიც გამოჩნდება წამი-წაშზე,  
 მაგრამ იქით გამგზავრება სულ არ მინდა...  
 არ მინდა, რომ დაუტოვო არაკაცებს  
 ეს ქვეყანა ქუჯისა და ფარნაუზის...  
 არაფერი გამაგონოთ ბარაბაზე,  
 ის ისედაც, რა ხანია, თავზე გვაზის.  
 პორიზონტზე იღიმება ცივი მთვარე,  
 მორალს ისევ გვიკითხავენ ბაღვაშები...

ბევრი რამე სათავისოდ მიითვალეს  
 და არ ვიცი ამ სოდომს ვით გადავრჩებით.  
 ჰოდა, ცოტა, ცოტა კიდევ გამიძელით  
 (თუმც ცდუნებას ეცდებიან მაცდურები),  
 კავკასიის მთებში ჩვენ ვართ მასპინძელი  
 და მავანმაც შეიფეროს აქ სტუმრობა.

\* \* \*

**„მარტი თუ წინ გიღვეს ზამთარს ნურც აქებ და  
 ნურც აძაგებ“**

მობუზულა ჩიტი ფანჯრის რაფაზე,  
 არც ვაქებ და არც ვაგინებ მე ზამთარს,  
 თავისთავს რომ ვერასოდეს აფასებს,  
 რა საქმე მაქვს იმ ყავლგასულ მეძავთან.

რა საქმე მაქვს სიტყვის გამტეხ მარტთანაც,  
 გაუგეს და მაინც ვერ შეიფერა...  
 ათასნაირ მახეს გვიგებს სატანა  
 და ზეიმობს გენი ლიუციფერთა...

ზღვარს გადასცდა ადამის თავხედობა,  
 რომ შეეძლოს მიწას გადააბრუნებს.  
 გული უკვე ველარავის ენდობა, —  
 ყელამდე ვართ მყრალ ჭაობში ჩაფლულნი.

ერთადერთი შენ შემომრჩი უმეცარს  
 უფალო და შენით მინდ ავსება...  
 სულს მიხუთავს დამეული მრუმე ცა  
 და ძველ ბუხარს ცეცხლი ებაასება.

**უბრალოდ**

უბრალოდ ვზივარ და არ ვფიქრობ არაფერს,  
 ამგვარი ყოფნაც ხომ რაღაცის ჰგავს ლოდინს...  
 ზოგ-ზოგი ბრუვდება მორფით და კანაფით,  
 ზოგიერთს აღარღებს წარსულის ხავს-ლოდიც.

მავანი კოსმოსში დაემებს ახალ გზებს,  
 მავანს კი შეჰყრია ლექსების სკვითურნი...  
 არაფერს არ ვამბობ ლიბერალ ნაგავზე,  
 ცხოვრებას თავისი ქცევით რომ ირთულებს.

ვაკეთებ რაც ძალმიძს და კიდევ უფაღს სურს,  
 ან იქნებ, ზედმეტის უფლებას ვაძლევ თავს...  
 ამ ლექსსაც გაჩუქებთ სრულიად უფასოდ,  
 ოღონდ არ დამძრაზოთ, ამას გთხოვთ, არც ერთმა.

\* \* \*

გარეთ წვიმაა და ოდნავ ცივა კიდევ,  
 ბერწი ოცნებებით მღვრიე ზეცას ვსტუმრობ;  
 სანამ ჩემს სამარეს მიწას მიაყრიდეს,  
 მინდა ბედისწერას გავეთამაშებო.

\* \* \*

მინდა გადავხურო ლექსის ნაღდი ფაცხა,  
ფიქრო ამ სურვილსაც რატომ მინაწევრებ?  
ბევრის არსებობა ისე ჩაინარცხა,  
სიტყვაც კი არ დარჩა ქვაზე მინაწერი.

დახავს-დაიბზარა ბევრი ციხე-კოშკი  
(თახსირ წუთისოფელს ვინ და რა გაუგო?),  
მე ვარ იკაროსი — ფრთებსაც ისევ რომ შლის,  
თუნდაც ათასმა მზემ ერთად გადაბუგოს.

\* \* \*

რამდენი ხანია დავეძებ ერთ რითმას,  
რომელიც წლების წინ სიზმრებში დაეკარგე,  
ჩემს თავზე სულ უფრო თხელდება თეთრი თმა,  
იმ რითმის გარეშე კი ლექსი არ ვარგა.  
არც ჩემი სიცოცხლე არ ვარგა უშენოდ,  
ვარ მოხეტიალე, უსულო აჩრდილი  
და რა ვქნა, შენს ტრფობას აქამდე თუ ვჩემობ,  
მე, თახსირ ცხოვრების ხახაში გაჩრდილი.  
უფალი, სუფევლას სთავაზობს არჩევანს,  
ტრიალებს სამყარო ავ თვალით ნათარსი...  
ზოგიერთს ამქვეყნად საფლავიც არ რჩება,  
სხვა უძლებს ქარიშხალს ათეულ ათას წლის.  
დაუდგარ, დავეძებთ, ვპოულობთ და ვკარგავთ,  
თან ვცხოვრობთ ერთად და სხვადასხვა მხარეში...  
იმ რითმის გარეშე ეს ლექსი არ ვარგა  
და არც მე ვარგებარ ამ ლექსის გარეშე.

სანამ დაისის მზე თვალებს ავიჭრელებს,  
და უმეობრებ სანამ, მცივან ქარებს...  
შენი სიყვარული როგორ დავიჯერო  
როცა მოგონება სხვაგან მიმაქანებს.

უკან მექაჩება ცოდვა კაცთა მოდგმის,  
მათი სურვილების, ალბათ, მექისეც ვარ...  
ვდარდობ „უმიზეზოდ“ მაგრამ, რა გამოდის —  
მუდამ მენატრება ნაღდი ლექსის წერა.

მე რაღაცეებზე მართლაც გული მწყდება,  
ჩვენ ზომ თახსირ დროში გვერგო „მძიმე“ როლი...  
ჯერ არ ავტუზულვარ შავბნელ კულისებთან  
და არც სუფლიორთა ნათქვამს ვიმეორებ...

შურის სალ კლდეს ვამტვრევ, შედეგს ვერსად ვხედავ,  
სიტყვა კალმის წერაქვს სცვივა ნაპერწკლებად.  
და თუ „ბედოვლათი“ მქვია მეტსახელად,  
აწ, სხვა „ფსევდონიმებს“ აღარ დავეძებ და

გვედრებ, მაპატიო, რომ არ დაგიჯერე,  
მე ზომ შენი ტრფობის ვიყავ მომლოცავი,  
სანამ დაისის მზე თვალებს ავიჭრელებს,  
დარჩეს ყველაფერი ისე როგორც არის...

## ფიქრია ყუბიტაშვილი

### ლექსი – სინემა

სარკმლიდან მოჩანს მთები ლურჯი — მწიფე ქლიავი,  
იმ მთის კორტოხზე კრთება ქოხი, უბრალო, სადა,  
ბილიკი მიდის ამ ქოხისკენ -ჭრელი ზიგზაგი,  
როგორც ზღაპრებში ლერწმიანმა რომ გადაბარდა.  
ბილიკს მიჰყვება მაქმანები ყვავილის ფურცლის-  
იასამნების, მაგნოლიის, თეთრი ზამბახის.  
მესალმებიან ღიმილით და უხმო ამბორით,  
ჟღერს აკორდები სებასტიან იოჰან ბახის...  
ცრის, ჯანდი აკრავს გადასახედს ღვთაებრივ სარკმლის,  
ტკაცუნობს, იწვის, ალი მათბობს, ვუმხერ, ვმშვიდლები  
და შეთუთრებულ კედელს ასდევს ვეება ჩრდილი  
მონადირული სამშვენისთა უცხო მშვილდების...  
ეუსმენ წვიმის ხმას, მონოტონურს, მომაბეზრებელს,  
საათის ბუტბუტს ეურჩება დრო უსაქმური,  
ეკარგავ გულისპირს დასისხლული კუნწულის ფერად,  
გზისპირს მოდებულ ძახვლებს ამდის აღმური...  
ეუსმენ ნაბიჯებს, როგორ მიყვარს ეს მოლოდინი,  
უხმოდ აბიჯებ ფერად ბილიკს ჩემსკენ მომავალს,  
ვიცი და მაინც, გეკითხები ეს მერამდენედ





დამღლე ღღის ბოლოს მონადირულ თავგადასავალს...  
 მშვიდად იღიმი, შენს თვალებში თვლემს ბედისწერა,  
 თვალის მინანქარს აგრაყებს ვნების ჩრდილები,  
 გაცეხს, როგორ მოვიცალე ლექსის საწერად,  
 როს ვაზმამად მუზა დაუპატიჟე ნასადილევი...  
 კინოკადრია, ნაცნობი და „პოლიუდური“  
 (ღიასახლისებს ართობთ მისი გრძობა-ბუნება)  
 და მერამდენედ განსაცდელი ზღაპრის გმირივით  
 „ჰეფფი ენდური“ დასასრულით მათრობს უვნებლად...

**ხვარამზის ლექსი – სახსოვარი**


წვიმა ამღერდა, ქარი აჰყვა, ელვა გახშირდა,  
 ბუნების ძალთა ზეცაშია პერფორმანსები,  
 აცეკვდა ალი, ცეცხლი ბუხარს გაუარშიყდა,  
 გატკბა ფანდურზე ბალადური რევერანსები.  
 თასიდან მიმზერს ბნელი მთვარე და გზა-ტეხილი  
 ყორნის ბოლოა — ალბათ, ისევ დაეინავსები,  
 სარკმელს ჩაეკიდე დალალების სქელი გრეხილი,  
 მხერა დაგემებს — ლაციცებენ სვედის ხავსები.  
 ზღაპრების მწამდა ერთხელ უკვე, ახლა რაღა დროს?  
 იყო... და არც რა, უკეთესი ღვთის წყალობაზე,  
 მხესა და მთვარეს ვმეგობრობდი, ნეტა იმ დროს,  
 მღეროდა შაშვი, მაღვიძებდი თვის გალობაზე.  
 ჭირი-იქა და ლხინი-აქა, მშვიდობა შენდა,  
 ზღაპრის ბოლო რომ კეთილია ისედაც ვიცი,  
 არ დაინგრევა, სიყვარულით რაიც აშენდა  
 და მეც დავეჯდები ბუხრის პირას, მშვიდად დაგიცდი.  
 ბედის სარკეში ცეცხლის ალი აირეკლება:  
 მოვა?...არ მოვა? — გვირილებმა განა იციან?!  
 „განა ვარდნი ვართ, არ შეგაკართოს უცხო ეკლებმა“... —  
 მეტიჩრობენ და თეთრ გვირგვინებს ნებით მიწვდიან...  
 უხმოდ ვიღიმი, ნაბიჯების ხმა ახლოვდება  
 და აინუშშიც არად ვაგდებ უწინდელ სვედას,  
 მე რა ვიცოდი ეგ სიმშვიდე თუ დამაბნევედა,  
 როცა ფიქრების აბრეშუმებს ეჭვები ხევდა...  
 სხვა ფინალია — ყიფილური ნანადირევი -  
 იწვის და ღნება ღამე ქოხის ვიწრო სარკმელში,

სათხოვარი მაქვს, თუ ოდესმე გადავირევი,  
 არ დამიწუნო ცელქი რითმა ლექსის სათქმელში.  
 გადაიკითხე ძველებური, მშვიდი ღიმილით  
 (ნურაფერს მეტყევი, ისეც ვიცი რაც უნდა მითხრა),  
 მე რე იღუძალ გაგეცლები ფერად ბილიკით,  
 დრო როცა მოვა და მხედარი გზად მომაკითხავს.

**ლორცა**

**„მე მგონია, რომ ყველაზე კარგი, რაც ცხოვრებაში  
 შეიძლება შეგემთხვას, არის ის, რომ იყო  
 შეყვარებული.“  
 ანა კორძაია-სამადაშვილი**

დარდი ჩემი უფეროა, არც სურნელი ახლავს რისმე  
 ფიქრებს ჯარად შემიკრებს და ერთს — სათუთად ათილისმებს,  
 ის თილისმა, რახანია, მკერდს მედება აბლაბუდად,  
 სიზმარეთში გზააბნეულს სამშვიდობოს გასვლა უნდა.  
 ძველი სენი უკურნელი სულს მოედო როგორც ხავსი,  
 ვერსად ჰპოვა ნუგეში და სვეც გამოდგა ერთობ თარსი.  
 აჩრდილოვით დამდევს კულში ვით ძვირფასი სამშვენისი,  
 თამაშ-თამაშ ამიყოლებს: „სული ჩემი ალალ მისი!“  
 „არადანი“ მრჩება ოდენ, „არჩევიანი“ დავთმე რადგან,  
 დუელებში გამოწვევებს როს საშველი არ დაადგა.  
 სიყვარულით ამ ჩვენს დროში, აბა, ვენებს ვინდა იჭრის,  
 მაგრამ განა დამავიწყდა მისამართი ერთი ბიჭის,  
 მტრედს შევაბამ ბარათებს და ვაფარფატებ ბალის კიდეს,  
 თან გავეყვები ფერად ქოლგით, ვინძლო გზაში გაუწვიმდეს.  
 შინ თუ არვინ დაუხვდება ჩემს ბარათებს ნასათუთარს,  
 თავად შევეყრი ბუხარში და ალი აქცევს ნაცარტუტად.  
 დარდს ექნება ნაცრის ფერი და სურნელი რუხი კვამლის,  
 ცეცხლოვანი არაკები ჭორ-მართალით როდი დამღლის...  
 ცაზე მთვარე დაეკიდა ვით საღაფის ავგაროზი,  
 მაზიარებს, პირჯვარს დამწერს მკაცრი მამა რომანოზი.  
 დადნა ღამე სანთელივით ლოცვად ჯვართან აბანოზის:  
 „ღმერთო, ღმერთო, დაიფარე ჩემი ბიჭის ანგელოზი!“



**მარიანა პარნასელი**

**ფიროსმანისკენ**

...და გავცდი სიღნაღს სიხარულით! ფიროსმანისკენ  
 და მაღლა-მაღლა აღვლევებით! მთაზე ვიარე...  
 ო, თავო ჩემო, ეს რა ქენი, როგორ გარისკე?  
 აქ ერთი ძველი ურემიც კი არა ჭრიალებს...  
 ფეხზე რომ ავდგე, მგონია თეთრ ღრუბელს შევწვდები,  
 გავიხედავ და რა მოვლილი ვენახებია,  
 გვიცავენ სწორედ ეს ამაყი, ღიადი მთები  
 და გვიღვიძებენ ახალ განცდას, უცხო ვნებიანს...  
 ზევით ასული ორ მთას შუა ჩამოვეშვები,  
 რა საოცარი მთვრალეული „პერევალია“,  
 რას დაგაკლებენ საქართველოვ, ცხოველთ ეშვები  
 მთვარის მხერვიანს

მზის ღიმილიანს  
 ვარსკვლავთხალიანს...  
 რა საფიცარი ვანახები მოსჩანს გარშემო,  
 რისი სურნელიც უდიადესს აღვივებს განცდას.  
 რაც ჩვენი არის,  
 ჩვენი იყო,  
 სხვისას არ ვჩემობ...  
 ფიროსმინისკენ სავალი გზა ქედასაც გასცდა  
 ...ღიმილი ვტყორცნე  
 მთლად გულწრფელი ხალხს და ვენახებს  
 სოფლად მისულმა და საამო ორი დღის მერე  
 ვუთხარ: „ნახვამდის, სულ ყოველთვის კარგად მენახეთ“  
 სტუმართმოყვარე გულკოცონა ფიროსმანელებს...

**შენ, ჩემო დედავ..**

თმაში ჭაღარა  
 მოგიმრავლდა და როგორ მერე,  
 შენ, ჩემო დედავ..  
 (არ აშუქებს რატომღაც ქედს მზე...)  
 თავი დახარა  
 ნაზმა იამ გადაშლილ ველზე  
 მე ამას ვხედავ..  
 მეც ვიპენტები...  
 თვალზე თეთრი ბინდი მებურა  
 შორს ვიხედები.  
 ძალიან შორს, ფიქრით მთებურად,  
 თითქოს ფერადი  
 თოვლით ჯერ არ გათურებულან  
 ვითა ხედები...  
 ქარი პარპაშებს,

ახლა სუსტი თებერვალია,  
 მირკანი მოდის და ვიღაცა მღერის არიას...  
 არც მე, არცა შენ  
 არ შეგვცოდეს, ჩვენი ვალია...  
 დათბება როდის?  
 თავი დახარა, არ ისურვა იამ ნათელი  
 ამასა ვხედავ(გული არის ამის დამტევი?),  
 დღეს რომ ჭაღარა მოგიმრავლდა, როგორც ფანტელი,  
 შენ, ჩემო დედავ..

**შეწოდება**

მაშინ მომინდა შენი ალერსი  
 ხორცში ძალა რომ გამომეცალა,  
 რომ ჩამინელდა სხივი თვალებში  
 და აიწია სულმა ზეცადა.

ახლა სულ სხვაა... სხვა იყო მაშინ  
 როდესაც იყავ ისე პაწია...  
 დღეს კი ჭაღარა გიბრწყინავს თმაში,  
 გულისტკივილი სევდის ნამწვია...

ბოდიში, რათა გვიან გთავაზობ,  
 გვიან გთავაზობ ალერს-ფერებს...  
 ისეთი ნაზი, როგორ არასდროს  
 ია გაშლილა მინდორ-ველებად.

დავაგვიანე გრძნობის გამხელა  
 და გულისტკივილს ვუშველი რითლა?  
 და თუ „შეცდომა“ ჰქვია სახელად  
 ამ ყოველივეს, ჩურჩულით მითხარ...

**თამარ შაიშველაშვილი**

**გარგატი**

გერგეტოდან მთვარე მოდის  
 თეთრი ფიქრის გამოთლილი ღამეთი...  
 აინთება, ნეტავ, როდის,  
 საქართველოს სევდიანი კარული?

ლელთ ღუნია ისევ იცდის  
 გაზაფხულებს ჩამოფარდნილ შროშანთან...  
 მთის წინაშე დავდე ფიცი,  
 შენ თუ იცი? — აისივით შორსა ხარ...

ილტვის სხივი მწვერვალისკენ,  
 თურგს შეფერავს სიმწრიანი ცრემლები...  
 ვეყუდები კლდეს რვალისფერს,  
 ამ ჭიუხებს ჩემი ნებით ვნებლები...

აქ ვიდგები დარდუცვლელი,  
 მოხვევებს ლაშქრად ისევ გაყვები...



ამ კარიბჭეს უნდა მცველი,  
ვით სიყვარულს ერთგულების მაყრები...

გერგეტიდან მთვარე მოდის,  
მეწამული — მზეუხსოვარ ღამეთი...  
აინთება, ნეტავ, როდის,  
საქართველოს სევდიანი კარედი?

**თეთრი ყაყაჩო**

**მამა ილია კარტოზიას ხსოვნას**

მამა ილია  
მწუხარების მზე მიილია,  
ახლა სიმღერა  
სამყაროზე  
უფრო დიდია...

თეთრი ყაყაჩო  
თეთრი ღამის  
ნათელ-ღიმიან,  
შენი გულისხმა  
სამოყვასო  
გზად მიგინდვია...

შენი სიცოცხლე  
მომავლიდან  
ზეცის  
სხივია,  
მარადიული გაზაფხულით  
ცა გაგიხსნია...

საქართველოზე  
გადმოსული  
ზესთა მადლია,  
ცრემლის სანთლებით  
მომლოცველო  
გეთსიმანიაუ...

შენი საეანე  
მცხეთის წმინდა ალაგ-  
სახლია,  
სად უკერველი,  
მეწამული  
ქრისტეს კვართია...

გელოდებოდა  
ქარიშხალი  
ადრიატიკის,  
ბედი ზეცაში  
დაწერილი  
გდევდა სასტიკი...

ჩამოიქუფრა ზეცის თალი,  
შავი ტალღებით,  
მარადისობას

ჩაენუტე  
ძვირფას  
ხატებით...

თეთრი ყაყაჩო  
თეთრი თოვლის  
შვების ღიმიან...  
მამა ილია  
მწუხარების მზე მიილია,  
სიყვარულისთვის  
სიზმარ-სიზმარ  
რა შორს გივლია,  
შენი სიმღერა  
სამყაროზე უფრო დიდია...

\* \* \*

თეთრი ღრუბლების  
მხერა არ დამღლის —  
მალენახვამდის!  
ატირებული ვაზის რტოსავით  
შემოგაღამდი...  
დასევდილია სიყვარულით  
გული აქამდის...  
ერთი წამია გასაფრენი  
სხვაფერ გაღმამდის...

\* \* \*

მარიამობის შინდის ხე ვარ,  
მსხმოიარე,  
სურნელმდინარე...  
სურვილდინებით  
მოგიბინადრე  
ცრემლზე, ფოთლებზე,  
სულის მტვენებზე...  
ვინ მომენატროს ახლა  
შენს მეტი?  
მზის კვირტები  
გაუხსენი,  
მეტრფის...

\* \* \*

ახლა ღეკემბრის კაბა მაცვია  
და გამჭვირვალე იის ნისლები,  
დრომ გაზაფხული ვერ შემიცია,  
თოვლანიტივით შეგესიზმრები.  
თოვლანისლივით მოგისურვილებ,  
ხან გაეჭრები და მაინც არ წავალ,  
და სიყვარულის ამ გარინდებას  
თეთრი ფიჭვების ჩურჩულს ჩავაწნავ...

მერე რა, რომ...

მერე რა, რომ მაისია...  
 თოვლი მოდის, —  
 ჩემს თითებზე, ქარებზე და  
 ბილიკებზე...  
 თოვლი მოდის,  
 როგორც ტრფობის სონეტები,  
 თოვლი ტირის,  
 დაისივით მწე  
 და უცხო...  
 მერე რა, რომ  
 გაზაფხულის სიმწვანეა,  
 გაზაფხული საედემო  
 ფარჩას იცვლის...

მოიხედე...  
 მაისია თეთრი ნისლი!  
 მაისია პოეტების  
 მზე და სისხლი!

ვარძია

ამ სიყვარულზე ლექსად გაიბზო  
 მტკივა მესხეთი — თეთრი იაბო  
 ჩაკირულია ცრემლში ფარ-შუბი,  
 აღარც ხმალი მაქვს ცისკრის ნაშუქი...  
 ყაყაჩოსავით ფეთქავს ვარძია,  
 დრომ ქარიშხლებზე დიდხანს არწია...  
 აქ გადარჩება ნატვრა ფრთამაღლი,  
 მარადიული რწმენა თამარის...  
 ბევრი მკაფეს და ბევრიც მაწამეს,  
 კვლავ ლაჟვარდებად ვწნავდი ამ ცა-ველს  
 ეს სიცოცხლეა სიზმრის ნაწილი,  
 ეს ვედრებაა ასეზის ნაწვიმი...  
 ჩამოგიქროლებს ქარი შეშლილი,  
 მხარგაჩეხილი მაინც შეშლილი...  
 შენს ახობებში დავცემდი ბანაკს,  
 შენი სადარი ქვეყნად ვინა მყავს?  
 შენი სიცოცხლე მზის მტევანია,  
 ცადჩახატულხარ დედა მარია!  
 ხარ მარგალიტი თოვლის დარები  
 ლალბროწეული შეუდარები...  
 აქ გადარჩება ნატვრა ფრთამაღლი —  
 მარადიული რწმენა თამარის!

\* \* \*

აკრძალული ხარ,  
 სიყვარულო...  
 ცრემლის კარავში  
 სძინავს სულს, როგორც  
 ქარიშხლისგან  
 მოწყვეტილ ფოთოლს...  
 ჩემზე რომ იყოს,

\* \* \*

მზის მღვიმიდან  
 მოგიპარავდი  
 და... ჭრილობებზე  
 მოგიხვევდი,  
 თბილსა და  
 თოთოს...

\* \* \*

გიავდრიანებ,  
 ამ ლოდინშიც გიავდრიანებ,  
 რომ ცრემლმა დაწვას მონატრების  
 შლეგი მდინარე,  
 ნოემბრის ღამე  
 სიყვარულის ცეცხლით  
 ბრდღვიალებს...  
 ბროწეულეებად ჩამოგიკრეფ  
 წამებს მზიანებს,  
 მერე სიკვდილსაც  
 საუკუნით დაგავიანებ...

თოვლში თეთრი ვარდებით...

თეთრი ვარდებით  
 დეკემბერი ავიყვავილე,  
 სამოთხეში ვარ, შენთან ერთად  
 თოვლმა დამფარა,  
 სიყვარული და სიტკბოება  
 გავინაპირე,  
 რომ მზედათოვლილ სერაფიმებს  
 გავყვე ქარდაქარ,  
 რომ გაზაფხული დაგიბრუნო  
 ცისკრისსპერანგა,  
 სულიდან ლექსში, ლექსში სიზმრით  
 აგებიბინდე...  
 ჩემს ღამეებში თბილ ნისლად ვინ  
 მოგიფერადა,  
 რად ენატრები მოწკრიალე სულს  
 ნაკვირილევს...  
 გრილონავემი სიჩუმეა შენი  
 გულისხმის,  
 თეთრი ვარდებით დეკემბერმა  
 ისევ დამთოვა...  
 მომინაპირებს უნაპირო სივრცეს  
 ყრულ სისხლი  
 და შენთან ერთად, სიყვარულო,  
 თოვლში მარტო ვარ...

თოვლი გაზაფხულს მისტირის,  
 უპეს ინამავს ღამით,  
 გამოიღვიძებს სიკვდილი  
 თეთრი გვირილის კაბით...  
 გამოღმით გამოვიდარებ,

დაგელოდები გაღმით...  
შენ, სიყვარულის ნაჭრელავ,  
ვის საფერებლად ჰყვავი?

\* \* \*

**ლურსმანი, რომლითაც იესო გააკრეს ჯვარზე...**

დაისის სხივში ღრუბლები  
ქარიშხლის დუმილს უსმენენ...  
უხილაჲ სევდა-ურევებით  
ათრთოლდებიან ლურსმნები...

ცრემლით შემოსილ ცა-ველებს  
ასდით ყაყაჩოს სურნელი,  
და ლოცვასავით ნაფერებ  
ხელებს ელტვიან ლურსმნები....

ხელებს ათბობენ ლურსმნები,  
ტკივილს ღამიანღელიანს...  
და ქარის ელვაფურცლები  
ჯვრის სადიდებელს მღერაიან...

ზეცას მზე როგორ გაჰყარონ?  
ნათელ არს იერუსალემ...  
იქნებ ცოდვიან სამყაროს  
მისატყეებლად ლურსმანენ...

მიუტყვე მათ, მამაო,  
ბნელი გაჰფანტე, შემუხსრე...  
სისხლმა სვე დაუამაო  
გოლგოთის ნათბილარ ლურსმნებს...

ცრემლით შემოსილ ცა-ველებს  
ასდით ყაყაჩოს სურნელი,  
იესო ნაზარეველის  
გაზაფხულია ულვეი...

**ისე ნუ მომკლავს...**

**მეფე ერეკლეს ძელებს მირონი ჩამოჰდისო...**

საშობლოს სადარაჯოზე  
ღრტვინვით არაგენი დიანო,  
მეფე ერეკლეს ძელებზედა  
მირონნი გადმოდიანო...  
ისე ნუ მომკლავს საწუთრო,  
მტერი არ მივაწყვიდალო...

**ბივი სომხიბვილი**

**ზაქარას ზატი**

მტრედისფერმა განთიადმა იმძლავრა. გათენდა. ქალმა  
ძროხა მოწველა და ეზოში გამოიყვანა. ქათმებს საკენკი  
დაუყარა, ძროხამ თავით კუტიკარი გააღო, გარეთ გავი-  
და და სანამ ნახირი ჩამოივლიდა, ღობის ძირში ამოსულ  
ბალახს მიეტანა.

— ქარუმ, სადა ხარ, კაცო?— ქალმა დაუძახა, რომე-  
ლიც ბაღიდან თოხით ხელში გამოვიდა.

— რა მოხდა, დედაკაცო, რა მეგელანდა?! — გაუწყრა.

— შენ გინდა მოლანდება დაუძახე, იმ სევდა-ხალამ  
ხომ დაგვსვა ვენახიდან შშრალზე თავისი ნათაღლითარი  
შხამებით, ნუშიდა გადაგვირჩა. მაგას ნამუსი ხო არა აქვს,  
მიხედე, თორე მაიპარამს.

— იგეთი წარწერა გავუკეთე, შიშით ახლოსაც არ  
მიეკარებიან, — ჩაილაპარაკა.

— იგეთი რა წარწერა მაიგონე?

— მაგარი შხამით არის შაწამლული მეთქი, თანაც ზედ  
კაცის თავის ქალა დაუხატებინე.

— თავის ქალა კი არა, მთელი ჩონჩხი რო დაუყენო  
ყარაულად, სევდას ვერ დააფრთხო. მაგაზე კარგად ვინ  
იცის ყალბი შხამების ამბავი; დროზე მიხედე, თორე ეგ  
არ მაისვენებს, — ქალი ცხარობდა.

— დღეს წავალ და შეიძლება დაგკრიფო კიდეც, —  
უპასუხა ცოლს და ბაღში შებრუნება დაპირა.

ამ დროს ღიად დარჩენილი კუტიკარიდან ბატი შემოვ-



იდა და ქათმებისკენ წავიდა. მძლავრად დაფართხუნებუ-  
ლი ფრთებით მტვრის კორიანტელი დააყენა. შეშინებული  
ქათმები წიოკობით გაიფანტნენ. ქალმა ცოცხს წამოავლო  
ხელი და ბატს გაგდება დაუპირა. ის არ შეეპუა, კისერი  
წაიგრძელა და ქალზე სისინით მიიწია.

— მიშველე, ქარუმ, ბატმა ლამის დამკორტნოს! —  
ქალი ქმრისკენ გაიქცა.

ბატი შებრუნდა და ნიჩაბივით ნისკარტით საკენკს ისე

იღებდა, თითქოს ხარისხს უმოწმებსო.

— რას უყურებ, გააგდე ბატი, თოხი ტყუილად გიჭი-  
რამს?! — წიწინით მიეჭრა ქალი.

— რას ამბობ, დედაკაცო, მოციქული უნდა გადამკიდო?  
მთელი სოფელი მაგ ბატს ეფერება, თუატირი ადარა გვაქვს,  
სიხარული და ნათესავებთან მისვლა-მოსვლა. გათითო-  
კაცებულნი ერთმანეთს ვეღარ ვიტანთ, გაჭირვებისგან  
გააყვებულები ჩხუბზე და დავიდარაბაზე ვდგაართ. ეგ ბატი  
აწყნარებს, ახალისებს, სიმართლედ და სიკეთედ ახმინებს  
სოფელს. გაგიგონია, რომ ვინმეს ეზოდან გაეგდო? ხალხი  
მოციქულის მოსვლასავით განიცდის მაგის სტუმრობას;  
მთელი სოფლის დასაცინი უნდა გავხდეთ?! — ქარუძამ  
მეუღლე დაარიგა, რომელიც, შეცდომაში მხილებული  
მოსწავლესავით, პირზე მიფარებული ხელით გვერდში  
ამოსდგომოდა. ორივენი დიდი ინტერესით აკვირდებოდნენ  
ბატს, რომელიც საკენკის შემოწმებით ერთობოდა. ქათ-  
მებსაც გაუარათ შემოფოთებამ და ნისკარტიდან აცლიდნენ  
საკენკს. მან ქათმებთან ყოფნა აღარ ისურვა, თავი მალ-  
ლა აიღო, რაღაც ჩაიფიყინა, თითქოს ქათმებს გამოემშ-  
ვიდობაო და ეზოს შემოვლა დაიწყო. ბალახი მოწიწენა,  
კუთხეში მიგდებული გობი შეამოწმა, ნატეხარში ჩამდგარი  
წყალი დააგემოვნა, კიდევ რაღაც ჩაილაპარაკა ბატურად  
და კუტიკარიდან გავიდა..

— მოციქულს გაუმარჯოს! — მენახირეები მხიარუ-  
ლად მიესალმნენ, რასაც ბატის ხმამაღალი ყიყინი მოჰყვა;  
ცოტა ხნის შემდეგ კი შეშინებული ძაღლი აწკმუტუნდა.

— მაგ ბატს მოხეტიალე ძაღლები ეჯავრება, ეტყობა  
ჩაუნისკარტა — ჩაილაპარაკა ქარუძამ და ბაღჩაში შევიდა.

ბატი სოფლის შარახე დინჯად მიდიოდა, მხიარულ  
ყიყინს ხალისად და შევბად არიგებდა. ერთგან ეზოს კარი  
ღია დახვდა, შევიდა, დამხვდურებს ყიყინით მიესალმა;  
იქაურობა მოათვალიერა და გამობრუნდა. დიდ ქოფაკს  
თათებზე დაედო თავი და ბატს ინტერესით აკვირდებოდა;  
სხვას ყეფით გამოეკიდებოდა. არა, ეს ხომ მოციქული იყო,  
რომელსაც ბოროტნი, ხელმრუდნი და ავსულები ერჩოდნენ  
მხოლოდ, რომელთათვისაც ბატი ავ მუსაიფად ქცეულიყო.

დახურულ ალაყათის კართან შეჩერდა, ყრუდ შეპოლო-  
ბილ ეზოში გადახედვა არ მოხერხდა. ხმამაღლა ჩაიფიყინა,  
ალბათ, თქვა, აქამდე რომ არ გამოსულან, ზარმცები ხომ  
არ არიანო; რამდენჯერმე აუარ-ჩაუარა ღობეს და გზა  
განაგრძო...

შარაგზიდან ხუთი მეტრის მოშორებით თავის ეზოში  
საბურავების სარმონტო სახელოსნო ჰქონდა მოწყობილი  
რიჟა-კოლას ამ საქმისთვის გადაკეთებულ ფარდულში.  
კედლის გასწვრივ გრძელი, გამალამინებული ფიცრები  
მიწაში ჩარტობილ კუნძებზე დაემარებინა, რომელიც  
საქმეზე თუ სალაყობდ მოსულებს ემსახურებოდა. სოფ-  
ლელები ერთმანეთთან შესახვედრ ადგილად რიჟა-კო-  
ლას სახელოსნოს უნიშნავდნენ, რამეთუ სოფლის ცენტრ-  
თან ახლოს, მინდორში მიმაჯალ გზასთან მდებარეობდა;  
სამუშაოდ მიმაჯალი გლეხები აქ იცდიდნენ, რომელიმე  
ტრანსპორტს რომ გაყოლოდნენ. ამრიგად, რიჟა კოლას  
მოსაუბრენი არ აკლდა. ახლა დაზგაში ავტომობილის  
თვალი ჩამეგრებინა და საბურავს ხსნიდა, წვალობდა.  
ერთ სკამზე ჩამომჯდარს სთხოვა: — ეს სახელური დამ-  
იტრიალე, სხვა მხრიდან ვცადო. ეტყობა, კარგა ხანი არ

დაშლილა; პატრონივით უვარგისია, ეს ოხერი! — ჩაი-  
ლაპარაკა.

— ვინ არის უვარგისი პატრონი? — იქ მყოფებმა  
ჰკითხეს.

— სევდა-ხალასია, — საბურავთან ჭიდილში დაძაბულმა  
რიჟა-კოლამ კბილებში გამოცრა.

— ეგ სევდა-ხალაა წელს ვენახიდან ხელცარიელი რომ  
დამსვა. როგორი იმედი მქონდა, ცოტა ხელს მოვინაცვ-  
ლებდი. ვალი რით გადავიხადო, არ ვიცი! — მოიჩივლა  
ხანში შესულმა გლეხმა ლაზარემ და ამოიოხრა.

— სუყველა მაგ დღეში არა ვართ, — ახმაურდნენ.

ამ საკითხზე კამათის გაგრძელებას აპირებდნენ, რომ  
კარებში ბატი გამოჩნდა და დაიფიყინა.

რიჟა-კოლამ მაშინვე მიატოვა საქმიანობა და გახარე-  
ბულმა დაიძახა: — მოციქული მოსულა! — კარადის კარი  
გამოაღო და ჯამით სიმინდი წყლის საუსე თასთან დადგა.

ამასობაში ბატმა სახელოსნოში თამამად შეაბიჯა,  
სკამზე ჩამომჯდარ სოფლელებს ჩამოუარა, ყიყინით მიე-  
სალმა და რიჟა-კოლასკენ გაემართა. შეხედა, ყიყინით გაე-  
საუბრა და შემოვლა გააგრძელა. საუსე ჯამიდან სიმინდი  
მიირთვა, თასიდან წყალი დააყოლა, მადლობის ნიშნად  
რიჟა-კოლას რაღაც ჩაულაპარაკა და ამაყად თავაწეული  
გარეთ გავიდა.

— ჩემთან რომ არ შამაიაროს, არ შეიძლება, სიმინდიც  
ხათრით დააჭმინიკა, ეგაც მადლობის ნიშნად, ყოველთვის  
რომ დავახვედრებ-ხოლმე, — თქვა რიჟა-კოლამ და იქვე  
სკამზე ჩამოჯდა.

კარგა ხანს ჩუმად იყვნენ.

სახელოსნოში ბატის პატრონმა — ზაქარამ შეიხედა  
და შესასვლელში გაჩერდა;

— რა დაზაფრულები სხედხართ მიმინოს მიერ გულ-  
გახეთქილი ბელურებივით, — ჩაილაპარაკა და დააყოლა:  
— ჩემ ბატს აქეთკენ ხომ არ გამოუვლია?

— ზაქარ, ეგ ბატი ანგელოზმა გაჩუქა თუ სატანამ შე-  
მოგაპარა ჩვენდა გასაოგნებლად? — შეეკითხა ლაზარე.

— შარშან შემოდგომაზე იმერულმა მეგობარმა მინახუ-  
ლა, აქეთ საქმეზე ყოფილიყო. წასვლის დროს უკვე გაზრ-  
დილი ბატის ჭუკი დამიტოვა. რაღაც ხასიათზე არ არის,  
გზაში არ მოკვდეს, შენ მიხედო. გვარიანად ციოდა. ბატი  
ოთანში ღუმელთან მოვათავსე. საწყალმა მაშინვე იატაკზე  
დადო თავი, თვალები დახუჭა და აღარ გატოკებულა. მთე-  
ლი დღე მუშაობით გავერთე და სადამოთი სახლში გვიან  
მივედი. ბატი რო მოვიკითხე, დედაკაცმა მისაყვედურა, მკ-  
ვდარი ბატი ღუმელთან რო დააგდე, გავპუტე და სანაგვეზე  
გადავაგდეო. მეორე დღეს, სისხამ დილით კარებზე ვიდაცა  
აკაკუნებდა. გამიკვირდა, დამახების გარეშე ეზოში ვინ შე-  
მოაღწია, ჩემი ძაღლი ხეზე ფრინველს რომ ედავება. კარი  
გავადე და კინაღამ გული გამისკდა, ბატი იყო გატიტვლე-  
ბული. მე არც კი შემომხედა, ძაღლიან გაციებული ჩანდა,  
ჩემზე უარესად გაკვირვებული ქოფაკი სათონიდან მოკუნ-  
ტული იყურებოდა. ბატი ოთანში შევიდა და ღუმელთან  
დაწვა. იმ დღესაც სახლში გვიან მივედი. დედაკაცის მიერ  
შეკერილ თბილ საცმელებში გამოწყობილი ბატი ყიყინით  
შემხვდა. მთელი ზამთარი ღუმელთან დაბინავდა; ოჯახის  
წევრებით იქცეოდა და არაფერი ეშლებოდა. გაიზარდა,  
გამლიერდა, ბუმბული ამოუვიდა, თითქმის ორი ბატისზე-

ლა გახდა და იგეთი მაგარია, ვერაინ დაჩაგრავს. ძალი იგრე ემორჩილება, სპეციელურად ვერ გაწვრთნი. ჩემ კარ-მიდამოს აღარ სჯერდება, სოფელში სიხარულის, სიყვარულის და წესრიგის დამყარებას ცდილობს. ახლა თქვენ გაარკვიეთ, ანგელოზის ნაჩუქარია თუ სატანის, — მსმენელები ზაქარას მონუსხულივით მისჩერებოდნენ, მან კი საუბრის გაგრძელება აღარ ისურვა და თავის გზაზე წავიდა...

სევდა-ხალამ ნუშით საესე ტომარა ავტომობილის საბარგულში ჩადო, თან ნუშს აკნაწუნებდა. ახლა წავა და ქარუძამ ეძებოს ნუშის ქურდი. ხეზე გაკრულ ქაღალდს შეხედა, — ნუში ძლიერი შხამით არის შეწამლული, — ხმამაღლა წაიკითხა და ჩაიციხა, — ჩემი ვენახის წამალიც ძლიერი იყო, მე ვერ მამატყუებ, ქარუძ, — ჩაილაპარაკა და საჭეს მიუჯდა.

მანქანა ძლივს დაიძრა, რაღაც უცნაურად ჩახუნობდა. ჩამოვიდა, წინა მარცხენა თვალი დაშვებული იყო, ელდა ეცა, — ვაიმე! „ზაპასკა“ რიჟასთან დავტოვე, — გულგახეთქილმა ხელი თავში შემოიკრა...

ქარუძა გზაზე იდგა, გამველელ ტრანსპორტს ელოდებოდა, ვენახში ნუში რომ მოენახულებინა. მოტოციკლეტი გამოჩნდა.

— ბახალა, — გახარებულმა ჩაილაპარაკა. — ალექს, ვენახში ვერ ჩამარბენინებ? ნუშს მინდა დავხედო, არავინ მამპაროს, — სთხოვა.

— დაჯექი, მაგაზე როგორ დაგზარდები, — მიიღო პასუხი და „კალიასკაში“ ჩაჯდა.

— ბახალ, სევდასთვის თვალი ხომ არ მოგიკრამს? — ჰკითხა.

— სანამ მოტოციკლში ჩაჯდებოდი ალექსა ვიყავი, ახლა ისევ ბახილა გავხდი? სევდა სადმე მოსაპარად იქნება შამძვრალი, — ღიმილით უთხრა ბახალა-ალექსამ და სიჩქარეს მოუმატა.

სევდა-ხალა კარგა ხანს გაოგნებული იდგა, მოტოციკლეტის ხმა მოესმა, იქით გაიხედა; — ვაიმე ქარუძა! — წამოიძახა და ვენახის პლანებში შევარდა.

— სევდა იყო, დამდულრულივით გაიქცა, ჩაილაპარაკა ბახალამ.

მანქანის საბარგულიდან ნუშით საესე ტომარა ამოიღეს. — გამძღარა, ნახე, რამდენი ნაჭუჭი ყრია. ეტყობა, შენმა გამოკრულმა გაფრთხილებამ მაგის მიერ ნამამაძალადარ შხამებოვით არ იმოქმედა, — სიცილით თქვა ბახალამ.

— საყვედური მაინც არ მეთქმის, ნუში მუქთად დამიკრიფა. არადა რა ჭირად გამიხდა ჩემმა მოყვარემ, ყირიმიდან ჩამოტანილი ნერგი მანუქა, გვიან ყვავის და წელს არ აცდენს, ფოთლებოვით ისხამს. აქაური ნუში დემერგო, არაფერს დაისხამდა, ვერც ველარაფერს მამპარამდნენ; ვენახივით დამასვენებდა, — მოიჩივლა.

— წამოდი, ნუშს სახლში მიგიტან, დანარჩენი მე მამანდე, — უთხრა ბახალამ და მოტოციკლეტი აამუშავა...

სევდა-ხალა აქომინებული შევარდა რიჟა-კოლას სახელოსნოში, სული ძლივს მოითქვა და ჰკითხა; — ჩემი „პაკრეშკა“ შხად არი?

- რიჟა-კოლამ დაზგაში ჩამაგრებულზე აჩვენა:
- ვერ დავშალე, გადასადგები.
- მაიტა, მაიტა, სხვაგან წავიდებ! — იწყინა სევდამ.

— ახალი იყიდე, სევდავ, ნათაღლითარი ფული ქოცოში არ დაიღპო.

— ნორმალური ქვეყანა რომ გექონდეს, შენისთანა მამამაძალი თავისუფლად არ უნდა დადიოდეს! — იქ მოფებმა საყვედურებით და ლანძღვით აიკლეს.

რიჟა-კოლა დაზგიდან საბურავს ზარმაცად ხსნიდა.

ამ დროს მატაციკლეტით ბახალა მოგრიალდა. სევდა იქ რომ დაინახა, შეშფოთებული სახით თქვა: — ვინმეს ტელეფონი გექნებათ, სასწრაფოში უნდა დავრეკო.

— რა მოხდა, რაშა საქმე? — შეეკითხნენ.

— ქარუძას ნუში ხო იცით, სოფელში მარტო ის ისხამს, არ მამპარონო, ქარუძას რაღაცა მაგარი შხამით შაუწამლია, თან ხეზე წარწერა გაუკეთებია, მოწამლულიაო. საწყალ მენახირე მიტროს ერთი ცალი შაუჭამნია და მინდორში კვდება. ვეტქეიმმა თქვა, კუჭის ამორეცხვა საჭირო, ოყნა უნდა დაადგანო. ჰოდა, სასწრაფო დროზე თუ არ მიქმარა, მოკვდება. ქარუძა დარჩა იმასთან, ეს რა მიქარვა ჩავიდინე, რამე რო დავემართოს თავს მოვიკლამო, იძახის.

— მოწამვლა თუ არ უნდოდა, სევდას შხამებით შეწამლა, — ვიდაცამ დაიძახა და ყველას სიცილი აუტყდა.

— რა გაცინებთ, კაცი კვდება, საჩქაროდ უნდა დავრეკო, — ბახალა ვერ ისვენებდა.

სევდა-ხალას ფერი ეცვალა, თითქოს მუცელიც წამოსტკივდა; გარეთ გავარდა.

— სევდავ, „პაკრეშკა“ წაიღე! — რიჟა-კოლამ მიიძახა.

— არაფერი არ მინდა, თავში იხალე. თუ გადავრჩი სხვანაირად მოგივლი, — ბუტბუტებდა სევდა-ხალა, თან რაც შეეძლო გარბოდა.

— აჰა, ბახალ ტელეფონი, — ერთმა მობილური მიაწოდა.

— შენ თვითონ დარეკე, სევდა-ხალა თავისი შხამით მიწამლა, ოყნა დაადგით-თქო, სიცილით უპასუხა ბახალამ. გარეთ გავიდა, მოტოციკლი დაქოქა და სევდა-ხალას შორიანხლო მიყვა. ის კი რაც შეეძლო, მიძუნძულებდა. მარჯვნივ ორღობეში შეუხვია, ბალახით დაფარულ ფერდობზე გავიდა, რომელსაც მისი სახლი ეკვროდა. ქვემოთ უზარმაზარი წურბელებით, კოლოებით და უამრავი პარაზიტი მწერებით დასახლებულ ჩალიან ტბორში ბაყაყები ისმოდა.

ადრე ეს ტბორი არ არსებობდა. სოფლიდან ჩამონადენი ნახმარი წყალი კარგად მოწყობილ რუში მიედინებოდა. ახლა მთელი სოფლის ნაგავს ზედ აყრიდნენ; წყალი დაგუბდა და ასე შეიქმნა საძაგელი, მყრალი ტბორი.

სევდა-ხალა ფერდობს გადაირბენდა და სახლში იყო. უცებ ზაქარას ბატი დაინახა, რომელიც მოფუსფუსე ინდაურებში ისე ჩანდა, როგორც აქლემი სახედრებს შორის.

— ახლა კი ამოვიყრი მაგის ჯავრს, — კბილებში გამოცრა, მიმოიხედა, არავინ ჩანდა, სოფლელების საყვარელი ბატის სიძულვილმა უცებ გადაავიწყა, ასე სასწრაფოდ რატომ გარბოდა. იქვე მიგდებულ ჯოხს დასტაცა ხელი და ბატს გაუქანდა. მთელი ძალით მოუქნია, აუცდა, თავი ვერ შეიკავა, ინერციით დატრიალდა და მიწაზე გაიშხლართა. ბატი ზედ დააფრინდა, ლოყაზე ისეთი უკბინა ღრიალით დააფრთხო ინდაურები. როგორც იყო წამოდგა, ბატმა თავი არ დაანება და დაუზოგავად კორტნიდა. სახლისკენ გაქცევა დააპირა, გადაიფიქრა, შორს მოეჩვენა. თავდაღმ-

ართზე ტბორისკენ გაიქცა, ბელტს ფეხი წამოკრა, დაგორდა, ბატი ყიყინით მისდევდა და მწარედ კებნდა. როგორც იყო ჩალიანთან შეჩერდა, ფრთხილობდა, მყრალ წყალში არ ჩავარდნილიყო. გამძვინვარებული ბატი თავს დაესხა. ერთი ხელით სახე დაიფარა, მეორეთი ჩალას ჩაეჭიდა და მყრალ წყალში ჩაღრმავდა. ეშველა, ბატმა თავი დაანება. მისი მოცილებით ნასიამოვნებმა შეებით ამოისუნთქა. კარგა ხანს ასე წყნარად იყო, ეშინოდა ბატის შემოტევის. უცებ ფრთების ტყელაშენი მოესმა, მაღლა აიხედა, ბატს უზარმაზარი ფრთები გაეშალა და ჩრდილოეთისკენ ლაღად მიფრინავდა.

— მეშველა, — ჩაილაპარაკა. ახლა გაახსენდა, რა საშინელი განსაცდელის ბრჭყალებში იყო და აღრიალდა; — მიშველეთ! არაფერ გამოხმაურებია. ტბორიდან ამოსვლას ვერ ახერხებდა. კისერზე ჩხვლეტა იგრძნო, ხელი მოისვა, სისხლიანი წურბელა ზიზღით მოისროლა, საზარლად დაიღრიალა; შიშმა ტბორიდან ამოსვლა შეაძლებინა. გასვრილი და გაწუწული სახლისკენ გარბოდა, თან ღრიალებდა: — მიშველეთ! სასწრაფოდ თბილი წყალი გაამზადეთ, მოწამლული ვარ, კუჭის ამოსარეცხად ოყნა უნდა დავიდგა.

— კუჭის კი არა, ტვინის ამორეცხვა გჭირდება, შე სოფლის სირცხვილო, — ბახალამ ჩაილაპარაკა და უკან გაბრუნდა...

რიჟა-კოლას სახელოსნოში დასაჯდომი ადგილ აღარ იყო, გარეთ იდგნენ და ყაყანებდნენ.

— ახლა გაძრიალებული რთველი უნდა გექონდეს, რა დღეში ჩაგვყარეს იმ თაღლითებმა, კაცო!

— ვენახი რაღად მინდა, მაგის წამლობაში ალებული ვალი ვერ მამიმორება, — ცხარობდა ლაზარე.

— ვისაც გვიჭირს ამ თაღლითებისგან ნაყიდი ქიმიკატებით შევწამლეთ და დავიღუპეთ კიდეც. ნიკა-ჭამიამ მთელი სოფლის მიწებს რომ გადააჯდა, ფული ბევრი აქვს და ბაზიდან წინასწარ ნაყიდი წამლები იხმარა, მარტო მაგას და მაგისთანა შემამულეებს აქვთ გაძრიალებული ყურძნის ჩაბარება. ვისაც ძალიან უჭირს და ვენახის გაყიდვა გადაუწყვეტია, მე ვიყიდიო, აცხადებს.

— მიყვილო უნდა, მამ რა ვქნა, ვალს მაინც მოვმორებ, თორე მევალე მახრჩობს.

— ყველა მაგ დღეში არა ვართ!

ამ ამბავში იყვნენ, რომ ერთმა დაიძახა: აგერ ჩვენი გამგებელი ტიტო-ჭიმი, ვკითხოთ, თაღლითებმა ვერ რომ გაგვძარცვეს, რა პასუხს თხოვენ, ან ვერ რად გულაობენ გაჭირვებული ხალხის წურბელები; მიწათმფლობელების მოსყიდულები ხომ არ არიან, ჩვენი ხელისგულისხელა ნაკვეთებიც რომ ჩაიგდონ ხელში, — ერთხმად აყაყანდნენ.

— ტიტო გამგებელო, ფალსიფიცირებული შხამით რომ მოგვისპეს ყურძენი, მთავრობა რას ფიქრობს, პასუხი არ უნდა აგებინონ? თუ წინასწარ ჩაფიქრებული იყო ჩვენს ამოსაგდებად? — დაიძახეს.

ტიტო გაჩერდა. შეკრებილთ ბატონკაცურად გადახედა და თვითდაჯერებული ბღენძის ტონით ბრძანა: ყველას მოეკითხება, თაღლითობა არავის შერჩება და გზა განაგრძო.

— მაგას ეკლესიაში მღვდელიც გვპირდება ღმერთის სახელით. თქვენც თუ ღმერთს გადააბარეთ ავის და კარგის

გარჩევა, აგეშენებია ოჯახი. ოღონდ იცოდეთ, მუდმივი არაფერია. ვერე აგდებით ლაპარაკმა ღმერთთან საღრეჯად არ გაგიხადოთ ეგ ხალხისგან მონათხოვარი თანამდებობები, — შეკრებილები დაემუქრნენ.

— ვახ, კაცო, ეგ ბიჭი სანამ გამგებელი გახდებოდა, ადამიანს გავდა, ივეთს რას უკეთებენ, რომ ზაქარას ბატი სჯობიათ ხალხზე ზრუნვაში, — თქვა ერთმა და დანარჩენები ახარხარდნენ.

— რა გაცინებთ, ტყუილი რა ვთქვი?! აბა, მამისმინეთ და ჩემ ნათქვამში ეჭვი აღარ შეგეპარებათ: — ამას წინათ ბიჭი სახლში მაგ ბატისგან დაკორტინილი მოვიდა, იცით რატომ? — რატომ? — ყველა ყურადღებით მიაჩერდა.

— მამაძალი გაზარმაცებული იყო, კენჭის გადაბრუნება ეზარებოდა, თავის მსგავს უსაქმურებთან ერთად სულ სოფლის ცენტრში ეგდო, ხულიგნობით გამველე-გამომველეს თავს აბეზრებდა. ერთხელ მაგ ბატმა იქ გაიარა. ამათ ყვირილი დაუწყეს ჰიუ-ჰაუ-ო. გზის მეორე მხარეს რომ გადადიოდა, ჩემს ბიჭს ქვა უსროლია, თან ყვირილით თურმე დაფრთხობას ცდილობდა. ბატი თავზე დაჰფრენია და მაგრად ჩაუნისკარტებია; ხუთ ადგილას ჰქონდა თავი გატეხილი და სისხლი ჩამოსდიოდა. ჩემი ბიჭი რომ გამოქცეულა, ახლა დანარჩენებს მიბრუნებია და სულ წივილ-კივილით დაუფრთხენია; ახლა ვეღარც ერთი ვეღარ ბედავს იქ გაჩერებას.

ერთხელ ბიჭი პურის მოსატანად გავაგზავნე, გაზარებული მოვიდა, იმ ადგილას ზაქარას ბატი შამხვდა და არაფერი დამიშავაო. ის ახალგაზრდები ვინმეს კიდევ გინახიათ იქ? ჩემ ბიჭს კიდევ თოხსა და ბარს ვეღარ ვაგდებინებ ხელიდან, მამ!

სკამიდან ადგა და გარეთ გამოვიდა ლაზარე, სოფელში მართალ კაცად რომ იყო ცნობილი: ერთ გასაკვირ ამბავს მეც მოგიყვებით, 70 წლის კაცი ვარ და ეგეთ რამეს არ მოვსწრებოვარ, თავი სიზმარში მგონია. ვენახმა ხომ ყველას გვიმტყუნა, სამი წამლის ფული მეზობელმა მასესხა. მეგონა, რთველის შემდეგ გადავუხდიდი. ეხლა მამადგა, ფული მამთხოვა, არადა არაფრის გასაქანი არა მაქვს. მესამედ რომ მოვიდა, ლაპარაკი მოგვივიდა; იმასაც უჭირს, რა ქნას. ჩემი საქმე კიდევ ისე იყო, მკვდარი მკვდარს აეკიდაო, სამარის კარამდე მიმიყვანეო. მოკლედ, შეგვევით და ბოლოს ორივე გვევიროდით. რა ვქნა, არა მაქვს და აჰა, გამამჭერი ყელი — მეთქი ვიძახი. ყელსაც გამოგჭრი და ძირფესვიანად ამოგძირკვამო, გამწარებული მეზობელი მემუქრებოდა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, იგეთი გაწვე-გამოწვევა ატყდა, იქით იმას იჭერენ, აქეთ მე. საიდანღაც ეს ჩვენი გამგებელი ტიტო-ჭიმი შემოვარდა. ორივეს ყვირილით და კანონის მუქარით ვითომ გვაწყნარებდა, არადა, დასაწყნარებელი თვითონ გახდა. ასე გაგრილებ-გამოგრილებამ ბატის ხმამაღალი დაყოლება გაისმა. ზაქარას ბატი შამოვიდა და სამჯერ იგრე დაიყოლა, რომ ჩვენი ხმაური გადაფარა; ყველანი მას მივაჩერდით. ჩემთან მოვიდა მე რომ მიჭერდნენ, ქალებმა ხელი შემისვეს. ამომხედა და რაღაცა ჩაიყიყინა, თითქოს ძელაპარაკებოდა. ახლა ჩემ მევალე მეზობელთან მივიდა, ნისკარტით მკერდის მარცხენა მხრიდან ხალათი გამოსწია, რაღაცა თავისებურად ჩაიყიყინა; ყველანი ვერევე გამტყრებულები დავრჩით.



— ბატები ხართ და თქვენ გაშველებას ბატი მოუხდებო — წამოიყვირა ტიტო-ჭიმამ და ფეხი მოუქნია. ეს ამოტელა გაბრაზებული ბატი ზედ მიაფრინდა, ჭიმამ თავი ვერ შეიმაგრა, წაყირავდა და მიწას ხელებით დაეხვინა, ბატმა დუნდულაზე უკბინა ისე, რომ შეაყვირა, წამოხტა და გაიქცა. ბატი გამოეკიდა და სანამ ალაყაფის კარებთან გაასწრებდა, ორჯერ კიდევ ჩაუნისკარტა.

— ვახ, კაცო, ნადირებად ქცეულები ამ ბატმა ისევ ადამიანობისკენ მოგვაბრუნა. გაუსადღისმა გაჭირვებამ სიკეთე ბოროტებად როგორ უნდა გვიქციოს? შენ გენაცვალე, ლაზარე, ძაღლიშვილი ვიყო, თუ დღეიდან ვალი შეგახსენო! — ჩემი მევალე მეზობელი ხელებგაშლილი წამოვიდა და ერთმანეთს თვალცრემლიანები გადავუხვით. — ბოლო სიტყვებს ლაზარე ტირილით ამბობდა. მეტის თქმა ვეღარ შეძლო, ცრემლები მუჭით მოიწმინდა და ღრმად ამოიხრა.

— რადგან სიტყვამ მაიტანა, კაცებო, მეც უნდა ვთქვა და ვთხოვთ, ყურადღებით მამისმინოთ, სიმართლეს მოგიყვებით, ზღაპარი არ გეგონოთ, — ყველა მას მიაჩერდა. — კაციჭამია ღორი მყავდა, ძაღლივით საკებნად იწვედა, ორჯერ დამგლიჯა კიდევ, ქათმებს ხომ ნაფრინალავს იჭერდა, წუთში გლეჯავდა და ბღღენიდა. საღორეში საჭმელს შორიდან ვუყრიდი, რო არ მცემოდა; მისი დაკვლა ცოტა გამიჭიანურდა. ამას წინათ საღორის კარი გამოქსნა, ერთი ქათამი მაშინვე დაიჭირა და გაწეწა. მე ცოტა ხნით მეზობელთან ვიყავი გასული, იქიდან ჩემი ეზო ხელისგულივით ჩანს. ორი წლის შვილიშვილი ეზოში გამოხოხებულიყო. ღორმა ბავშვი რომ დაინახა, მისკენ გაქანდა. შეშინებული ბავშვი გაიქცა. ამას ყველაფერს მეზობლის ეზოდან მოკარ თვალი. ვერაფრით ვერ მოვასწრებდი ბავშვის შევლას და იქიდანვე აუტეხე ღრიალი. ამ დროს ეზოში ზაქარას ბატი შემოვიდა, მაშინვე აფრინდა და ღორს თავში მაგრად ჩაუნისკარტა. ის კი პირდაღებული ბატისკენ იწვედა. მეორედ რომ შიგ თვალში ჩაუნისკარტა, ღორი აჭყვივლდა და დაბნეული თავს იქნევდა. ბატი კი არ მოეშვა, მწარედ ურტყამდა ნისკარტს. გამწარებულმა ღორმა გაქცევა იკადრა და საღორეში კისრისტეხით შევარდა. მე რომ ეზოში შევირბინე, ბატი ბავშვთან იდგა და ნისკარტით ეფერებოდა, ის კიდევ თავზე უსვამდა ხელს. ღორს ბავშვი რომ გაეგლიჯა ხომ იქვე მოვიკლამდი თავს. დიდი მორწმუნე არ ვიყავ, მაგრამ ეხლაც ეკლესიიდან მოდივარ, სანთლები დავანთე. მოვიდეს და ვინმე შემედავოს, მაშ, ეს სასწაული არ არი?!

— ერთს მეც ვიტყვი, ხალხო.

— მაიცა, მიტუმ, მეცა მაქვს სათქმელი, — სხვა შეეცოლა.

— მოკლედ ვიტყვი — მიტუმამ არ დაუთმო და დაიწყო: — არ ვიცი, ბაღლს რა ეშმაკი აჯდა მხარზე, სკოლაში სიარული ჭირივით ეჯავრებოდა, დედაკაცი სულ სახრით დასდევდა, გაკვეთილებიდან არ გამაიქცესო. იმ დღეს კიდევ ჩანთა გადაადლო და ფშლიკა ფეხები, მე სკოლაში აღარ წავალო. ამ დავიდარაბაში ვიყავით, ზაქარას ბატი შემოვიდა და პირდაპირ ბაღლისკენ გაემართა ყიყინით. ამან კიდევ გაკვირვებისგან პირი დაადო. მე შემეშინდა, არაფერი აუტეხოს-მეთქი, მინდოდა, რაღაცა ამელო და

ბატი მემეშორებინა, მაგრამ ადგილიდან ფეხი ვერ მოვიშორე. ბატი ბაღლთან მივიდა, მშვიდობიანად ყიყინებდა, თითქოს საუბრობსო. მემერ ჩვენ თავი დაგვანება და ეზოში სეირნობა დაიწყო. — ახლავე მიდივარ სკოლაში, მოციქულო, და არასდროს აღარ გავაცდენ! — ბაღლმა წამოიძახა, და იმის შემდეგ მოწინავე მოსწავლეა. რა, ეს სასწაული არ არი? — მიტუმამ სათქმელი დაამთავრა და ახლა სხვამ დაიძახა — ერთს მეც ვიტყვი, ეზოს დასარბევად ძროხები როგორ არ შემოუშვა.

— კარგი, გვეყოფა, თითო სათქმელი ყველას გვაქვს. სასწაული ის კი არ არი, ბატმა ადამიანური სიკეთე როგორ ჩაიდინა, სასწაული ისაა, ქვეყნის წურბელები ბატებივით რომ გვაპამპულენ;

— ნახე, კაცო, ბატი ადამიანობას ეზიარა, სასწაულია, აბა რა.

— ადამიანობას რომ ზიარებოდა, ზაქარას და მის ოჯახს მოსისხლე მტერივით გადაეკიდებოდა და მის მოსპობას ეცდებოდა; მომაკვდავი გაპუტეს და სანაგვეზე გადააგდეს. ეგ ბატი უფლისმიერი სიკეთის მატარებელია, შენდობაც შეუძლია და ბოროტებისთვის სათანადოდ მიზღვაც; ამგვარ კამათში იყვნენ გართულები, ბახალამ მიაკითხათ. მოტოციკლიდან ჩამოვიდა და ჩაფიქრებული გაჩერდა.

— რა ქენი, ბახალ, სევდა დააბინავე? — ჰკითხეს.

— მე კი არა, ბატმა იგეთ დღეში ჩააგდო, თავის დღეში არ დააიწყვდება.

— რა უყო, კაცო?

— სევდა ჯოხით მოსაკლაგად მიეთანა. ბატმა კიდევ ფერდაზე დააგორა და ხრამში მყრალ ტბორში აბანავა. სიბინძურეში ამოვლებული სახლში გაძუნძულდა, თან ყვიროდა, ოყნა დამადგით, მოწამლული ვარო.

— ბატი სადღაა?

— მძლავრი ფრთები დაიქნია, ძალიან ძაღლა ავიდა და ჩრდილოეთისკენ გაფრინდა. სანამ გაუჩინარდებოდა, თვალი არ მომიშორებია; მოკლედ, წავიდა, მიგვატოვა მოციქულმა, — დაასკვნა ბახალამ.

ამ სამწუხარო ამბავმა კამათის სურვილი დაუკარგათ.

— მაშ, საბოლოოდ მიგვატოვა და აღარ დაბრუნდება?!

— წამოიძახა შეწუხებულმა ბატის მიერ გადარჩენილი შვილიშვილის პაპამ.

— რა გაგიკვირდათ, ბატი დაგიმყარებდათ სამართლიანობას, წესრიგს და ურთიერთპატივისცემას?! — ლაზარე ყვიროდა. — ვწუწუნებთ და სასწაულის იმედი გვაქვს, უფლის რჩევა კი გვაიწყვდება, ხელი გაატოკეთ და გემველებათო.

ხრამში ამყრალებულ, უამრავ პარაზიტდახვეულ ტბორს დაემსგავსა სოფელი და ჩვენც ამ სისაძაგლეში ბაყაყებივით ვყიყინებთ მხოლოდ. ცოტა ხანს გაჩუმდა, სული მოითქვა და მთელი შესაძლებლობით ხმამაღლა ალაპარაკდა: — ბატი იყო თუ მოციქული, გაგვაფრთხილა, მოგონდით, მოღალატე, სისხლისმწო პარაზიტებს კისერზე ნუ დაისვამთ, სოფლის, ქვეყნის, თქვენს ჯიშის და ჯილაგის გადასარჩენად იბრძოლეთ. ხელებს ნუ ჩამოუშვებთ, თორე რაც დაგემართოთ, თქვენს თავს დააბრალეთო!

# ვიზო თაჰაძე

## ველური ვარდები



ჯერ ტაქსის მძღოლი დავლალე კითხვებით, რომელსაც, ისეთი მშვიდი ნერვები აღმოაჩნდა, მხოლოდ ორ კითხვაზე (არადა, ათი დაუუსვი...) მიპასუხა:

პირველი: რომ იაპონური „ტოიოტა“ გაზზე მუშაობდა.

მეორე: რომ პროფესიით საგზაო ინჟინერი გახლდათ, რამაც ძალიან გამახარა და შვიდი პროფილური შეკითხვა დამასმევინა, თუმცა არცერთზე არ მიპასუხა და ერთი შეკითხვა აქეთ დამისვა:

– ავიამშენებელთა მარჯვენა დასახლება გნებავთ ხომ? კითხვის დასმიდან ორიოდ წუთში, მწვანე სადარბაზოსთან (ვინ გადაღება მწვანედ?) ვიდექით.

ხურდა არ გამოფართოვი და კიბეებს ავუყევი.

კარი მიქაელმა გამიღო.

– სად წვიმდა? – მკითხა ირონიულად.

– მხატვარ ჯუანშერის დაბადების დღეზე...

– აბა ითამაღებდი.

– კი, თანაც, არცერთი ქალი არ იყო სუფრასთან...

– რატომ, ირანში ვართ?

– სულანში... სიგარეტი გამომიტანე აივანზე!..

მიქაელი საძინებელში გაუჩინარდა.

დიდი უცნაურობები ჭირს ჯუანშერს, ჯერ იყო და ორმოცდაათ წლამდე ცოლი არ შეირთო, შემოქმედებაში შემეშლის ხელსო, მერე ამოიჩემა და ყოველ ზაფხულს მთებში (ძირითადად კარაუში) ატარებდა, რაზედაც ლელა ხუმრობდა, მარტო ყოფნა თუ უნდოდა, რას მირთავდა, რაუა, ძალად შეგუხტი სახლში თუ რაო? ჰოდა, დღევანდელი დღეც ხედ მიამატა, არც დედა და არც სხვა ქალთაგანი რესტორანს არ გააკარა.

– აიღე, კუბური პაპიროსია, გურიმ ჩამომიტანა ჰავანიდან.

– მოდი, დაჯექი, ვისაუბროთ.

– ა, ბატონო, ვზივარ. – დაწული სავარძელი გამოიტანა მიქაელმა.

– დედა ნახე დღეს?

– კი, ხვალ გამოვწერთო, ექიმმა.

– კიდევ კარგი, დროზე რომ დაუწვინეთ, ანთება ორივე ფილტვში მძვინვარებდა...

– ლალო ექიმმაც ეგ თქვა, მკურნალობა დროზე დაიწყო.

– გოგა, ბაბუა ენაცვალოს, სამის ხდება ხომ?

– გახდა უკვე, ერთი თვის წინ არ აღუნიშნეთ, დაგავიწყდა?

– აა, ესეიგი ოთხი წლის წინათ დაქორწინდი ხომ?

– რაებს მეკითხები მამა, დაწექი, დაისვენე!

– მომისმინე შეილო!

– გისმენ მამა!

– თქვენ ხომ სიყვარულით შეუღლდით, მგონი ორი წელი დადიოდით ხელჩაკიდებულნი...

– ახლაც ხელჩაკიდებულნი დავდივართ...

– ნინისთვის გიღალატია?

– მთვრალი ხარ მამა და დაიძინე!

– არა, მითხარი, ხომ არ გიღალატია, ხო იცი სამარე ვარ, ანკი სად ვიტყვი, ეგ რა სათქმელია, რა ჯილდოა,

რა საქებარია, სად უნდა ვთქვა, მაგრამ, მაინც მითხარი ვაჟკაცურად...

– დაისვენე მამა!

– გრცხვენია ხო, შეგირცხვა ნამუსი, მართალი ბიჭი მეგონე...

– არ მიღალატია მამა და არც ვაპირებ...

– მოდი ჩამეხუტე, უნდა გაკოცო, მაგარი ბიჭი ხარ, უმართლესი კაცი...

– კარგი მამა, დავიძინოთ აწი!

– იცი რა, ხვალ მაგარ პიჯაკს გიყიდი, ისეთს, პრემიერსაც რომ შემუშრდება, დღეს ჰონორარი ავიღე, ხუთასი ლარი...

– ხუთას ლარად მაგარ პიჯაკს ვერ ვიყიდით!..

– ვიყიდით, ნამუსის და ერთგულების პიჯაკს, რადგან, მართალ კაცებს მართალი პიჯაკები აცვიათ...

– მეზობლები გაიგონებენ, დაისვენე!

– არა, ახლა სხვა რამ უნდა გითხრა და მომისმინე!

– გისმენ ბატონო!

– აი, ჩემი პიჯაკი... მომეცი მაგ პაპიროსი, ჩემი პიჯაკი, რა პიჯაკი, ჯინსის, დახეული ქურთუკია, მეტის ღირსი არ ვარ...

– მოიწი, მოგიკიდებ!

– ჰოდა, მე სულ ქალებში ვიყავი გადავარდნილი...

– შენ გვიან დაქორწინდი მამა...

– მერეც...

– მერე რატომ, შე კაცო?!

– იმიტომ რომ ბრყვი ვიყავი...

– კარგი, დავიძინოთ და დავისვენოთ!

– დედაშენისთანა ქალს რომ კაცი უღალატებს, ხომ უნდა დაკიდო ყვერებით!..

– კარგი, მეზობლები გაიგონებენ...

– გეწყინა შეილო, ხო, გატკინე გული არა?

– მაგრად მეტკინა...

– დედაშენს უსაზღვრო პატივს ვცემ და არც მიეჭვიანებია ოდესმე, მაგრამ...  
 – ვიცი, სინდისმა შეგაწუხა სიმთვრალეში...  
 – სიფხიზლეში უფრო, თანაც არ მინდა, ოდესმე შენაც ასე მოუყვე გოგას, ბაბუა ენაცვალოს და შენაც ასე იტირო, როგორაც მე ვტირი ახლა...  
 – მამა, დაწყნარდი!  
 – დალატი, უპატიებელი ცოდვაა შვილო!  
 – ვიცი მამა, გუარამ ეპისკოპოსიც აგრე ამბობს.  
 – ამას, შენს დებს ვერასდროს მოუყვები, ისინი მომაკალი ცოლები და დედები არიან და ვერ მაპატიებენ, შენ კაცი ხარ და უნდა მაპატიო, თუმიცა, ძალიან კი გატკინე გული...  
 – დამშვიდდი მამა, ხვალ ვისაუბროთ!  
 – იცი რას გეტყვი შვილო, ახლა რომ დედაზე გაიგო ასეთი ამბავი, რაც მე მოგიყვე, რას იზამ?!  
 – მამა, რას ამბობ, რა დალიე ასეთი?!  
 – გეკითხები და მიპასუხე!  
 – თავს მოვიკლაგ...  
 – რატომ, ცუდი დედის შვილობა არ გინდა, თან სირცხვილია სამეგობროში დ სამეზობლოში არა?  
 – არ ვიცი, მივდივარ, ხვალ ადრე უნდა ავდგე...  
 – მოიცა, არც ცუდი მამის შვილობაა საამაყო, დალატი, დალატია, გინდა კაცს უცოდავს და გინდ ქალს, არცერთს არ ეპატიება!  
 – ჰო, ეგრეა!..

– კაცი, ცოლს რომ დალატს აპატიებს, ის კაცი არაა, უჯიშოა, სამარცხვინოა, ანდა სხვასთან ნაწოლ ქალთან როგორ უნდა იძინო?! ასეა ქალის საქმეც, როცა ქმრის დალატს გაიგებს და სახლში შეუშვებს, ის ქალი დამარცხებული და თავლაფდასხმულია, დასცინიან კიდევ, ანკი, სხვასთან ნაწოლ კაცთან, როგორ უნდა იძინო?!  
 – თავმოყვარე კაცები და ქალები ღირსეულად იქცევიან...  
 – საბედნიეროდ, არავინ იცის ჩემი უკეთური საქციელი, შენს გარდა, ვერც მამა ბართლომეს ვერ გავენდე, შენ უნდა მაპატიო, შვილო!  
 – კარგი მამა!  
 – ახლა, საჭესთან ჩემი დაჯდომა არ შეიძლება, არ დაიძინო ამდამ და მექსაზურე პირადი მძლოლივით...  
 – სად მიდიხარ ადამიანო?  
 – ყვაილებზე...  
 – რა დროს ყვაილებია, შუაღამეა...  
 – ზემოთ, აგარაკებისკენ მეგულება ველური ვარდები, რცხილნართან, გზის პირას, სულ წითლად ხასხასებდნენ ორი დღის წინათ...  
 – იქ უნდა ავიდეთ?  
 – ჰო, შვილო, შენ ოღონდ ამიყვანე!  
 – ტყეში, შუაღამისას?  
 – ტყის პირას, მე დაკვრეფ...  
 – მერე?  
 – კლინიკაში, დედასთან!

### ემა ძანძაძე

#### სიკვდილის ველი

გიორგი ქვის ჯებირზე ავიდა, მდინარეს გახედა. ენგური აღიდებულიყო და მღვრიე ტალღებს მიაგორებდა, რუხის ციხესთან იტოტებოდა. იქ ძალას ჰკარგავდა, გაშლილი-ლად ვიდოდა. გიორგის უნდოდა მეუღლესთან ერთად ეს ფონი გადაეღახა და მშობლიურ სოფელში მალულად შესულიყო.

ნისლში მცურავ სოფელს გადახედა და ფიქრმა გაიტაცა. იქ, მდინარის გაღმა, ჭუბურხინჯში ორი წლის წინ ცხოვრება დუღდა, მერე მტერმა გაანადგურა ყველაფერი. შეეცადა ამოემანთა ქართული ფესვი კოლხური მიწიდან... ომის ცეცხლმა, ტყვიების წვიმამ რამდენჯერმე გადაიქროლა სოფელზე და სიკვდილი თესა. ცხვრის ფარასავით გაირეკა მთელი სოფელი, სიკვდილს გადარჩენილები კი დევნილებად აქცია.

მოჩვენებას დამსგავსებულნი შემორჩნენ სოფელს, საკუთარ კერას მოწყვეტილნი მხოლოდ აქა-იქ ქურდულად შემოიპარებიან ხანდისხან ჯერ სოფელში, მერე გადაბუგვას გადარჩენილ სახლიდან ხან რა გამოაქვთ და ხან რა, რაც დატაცებას გადაურჩა.

ო, რა საშიშია მდინარის სანაპირო — სიკვდილის ველი, მანძილი მდინარიდან სოფელამდე, სადაც დამპყრობელი მტრისაგან ფეთქებადი ნაღმებია ჩაფლულ-ჩასაიდუმლოებული...

აუპ, ვინ მოსთვლის რამდენი სიცოცხლე შეეწირა საზ-



ღვრის გადაღახვას, რამდენი აფეთქდა დანაღმულ მინდორზე — სიკვდილის ველზე.

მაგრამ ძლიერია მშობლიური მიწის ყივილი, სიყვარულია ძლიერი. ამიტომაც მიდიან საკუთარ კერას მონატრებულნი სევდაჩამდგარი თვალებით, მოკლული გულით მიდიან...

შემოდგომაა სოფელში: ნაღვლიანი, მწუხარე შემოდგომა. ამოდ ელოდება დახუნძლული „ადესა“ პატრონს. სიმწიფისაგან სკვებიან მარცვლები, ცრემლად იღვრებიან...

ყანებს მღრღნელები და ფრინველები შესევნიან... ხეხილის ბაღი მოფენილია მწიფე მსხლებითა და ვაშლებით.

ჰაერში უსიამოვნო სუნი ტრიალებს, ერთმანეთში არეულია დამპალი ხილის, კვამლისა და გახრწნილი საქონლის სუნი.

ნასახლარები სჭარბობს. სოფელში მომრავლებულია ნერეული ნაშთი.

ნეტავ, როდის აღდგება და განახლდება სოფელი, როდის?

ახლა წვიმს... ცა გაიხსნაო თითქოს, კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

გიორგი და მისი მეუღლე ფონისაკენ დაიძრნენ. სწრაფად გაიარეს რიყე. წყალს მიაღვინენ... ახლა სიფრთხილეა საჭირო. ფონწყალიც ქმნის ზოგჯერ მორევს. კაცის ჩათრევაც სჩვევია.

ორნი ერთმანეთს მიჰკვრიან. თითქოს ერთ არსებად ქცეულან, ისე მიიკვლევენ ფონს. ცივია წყალი, ძვალსა და რბილში ატანს. მდინარის ფსკერზე ქვები დახერგილა, ფეხი უსხლტებათ. ხან ერთი წაიბორძიკებს, ხან — მეორე, მაგრამ ისევ სწორდებიან, ნელ-ნელა წინ მიიწევენ. ქვები ქანაობენ ფეხქვეშ... წყალმა კლება დაიწყო, მალე ნაპირს მიუახლოვდნენ.

შეჩერდნენ. სული მოითქვეს. ნელი ნიავი ქროდა სიკვდილის ველზე. აქა-იქ გვირილები და გულყვითელები

გაბნეულიყვნენ მინდორში.

აი, მიწა, მშობლიური მიწა! ჩუმად წაიჩურჩულა გიორგიმ. სველ ქვიშას ფეხი რომ შეახო, სიხარულისგან აკანკალდა, ახალფენადგმული ბავშვივით აბანცალდა. ადგილის დედა მისთვის ყველაფერია. ხშირად იტყოდა ხოლმე, სჯობია კაცს ორივე ხელი მოაჭრა, ვიდრე საკუთარ მიწას მოსწყვიტოვო.

— ორ ნაბიჯზე მომყევი, ნინო! ვინ იცის, რა მოხდება.

— თუ საშიშია, არ წავიდეთ! — ხმა გაეზარა ქალს.

— ორი დღის წინ გამოიარეს მეზობლებმა, არაფერი მოსვლიათ. მათი ნაფეხურებიც კი ჩანს. მშვიდობით გადავალთ, ნუ გეშინია.

ფრთხილად დგამს ნაბიჯებს გიორგი. მალე რკინის მავთულხლართებიც გამოჩნდა. საზღვარი! როგორ მოენატრა მშობლიური სახლი, ხეებიც კი მოჩანს უკვე შორიდან, აი, სახლის სახურავიც გამოჩნდა... გულმა ბაგაბუგი დაუწყო...

სიჩუმე ჩამოწვა. წვიმამ გადაიღო... მხოლოდ ნაბიჯების ხმა ისმის. გიორგიმ ერთი ნაბიჯი გადადგა ბილიკიდან, დაიხარა — უნდოდა გულყვითელა ყვავილი მოეწყვიტა...

საშინელმა გრუხუნმა შეახანხარა მიდამო. გიორგი იქვე ჩაიკეცა. ქალის შემზარავი კვილის ხმა გაისმა. სიკვდილის ველზე წითლად შეიღებნენ მინდვრის ყვავილები.

## ლეილა სიჭინავა

დავობადე 1952 წლის 19 სექტემბერს მესტიაში. დავამთავრე წალენჯიხის პირველი საშუალო სკოლა ოქროს მედალზე. შემდგომ სწავლა განვაგრძე თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სრული კურსის დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი წალენჯიხაში რაონული განათების რედაქციაში ლიტ.მუშაკად. ამჟამად ვმუშაობ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში. მყავს მეუღლე და ქალიშვილი.

### ... და თმენით დამაქ საჩემო თიხა...

დღემ გაიხადა მზის დარბაზები,  
და ახლა ნისლის თალხებში ვსახლობ,  
ფიქრის კარს მიმტვრევს ცა გაბრაზებით,  
და გღია ბინდი ფეხებთან ახლოს...  
მიაქვთ ფიქრები ქარებს, ფეტვივით,  
და სულს განზე ვწევ, როგორც კარადას...  
თავს მუდამ იგრძნობ იქ ზედმეტოვით,  
სადაც საშენოდ სკამი არა დგას...  
გულზე ტკივილი მწყდება ღილოვით,  
ბებერ ძვლებს დარდი ჩრჩილივით მიხრავს,  
და ბალახებზე დილის თრთვილივით.  
მე თმენით დამაქვს საჩემო თიხა...  
...და ვვედრებ უფალს ფესვებს ივერთა,  
მკერდიდან ასე, ცხელ ჯვრად, რომ მიჩანს,  
დღე მუხლებს იმტვრევს დასალიერთან,



სადაც ცას ტერფებს უკოცნის მიწა...  
...კვლავ მითვლის წუთებს  
მევახშმე-მუნწი, ჟამი და  
მაინც, მივკეცავ ბილიკს,

ტკივილებს ვათლი სულს,  
 და ვინ უწყის, ვით გადვურჩები  
 საწუთროს ქილიკს.....და, კანშემტკნარი  
 ლექსის ხელები მიწვევია მკერდზე,  
 მლოცველი ცამდი და ცოვ წვიმებით,  
 შემდგარით ცერზე, იმედის წვეთებს  
 მე, მაინც ვსვამდი... ჟამი — კენტავრი  
 ისევ მოგელავს... ღრუბელიც იცვამს  
 წვიმის მანტიას... დრომ ბალახით  
 ისიც მოცელა, ვინც არ დათმო და  
 ვინც აპატია... განტოლებასებრ  
 ჟამია რთული, გასიფრიფანდა  
 ნეკნი — სატივე, ყუნწს დაკიდული  
 ფოთოლი — გული, ვერ ვაპარილე,  
 მხოლოდ ვატკინე....  
 სულს მივაბიჯებ ზეცის თანხლებით...  
 აღარ დამირგავს მზე, ქვენა მიზნით,  
 თვალები — ჩემი სევდის სახლები,  
 კარებს ხუჭავენ წამწამთა ისლით...  
 ...მე მხოლოდ ლექსი მერგო მზითევში,  
 სამყაროს ექოც მოვპარე ქარებს...  
 ზეცა კი, იღებს გულის ჯიბეში  
 ცხვირსახოცივით გაკეცილ მთვარეს...

**...და ვაერვ სულის, რომ მზე არ  
 ნაიქნეს...**

ქარმა პლედით აკეცა ბინდი,  
 მზეს ცის კაბიდან წვივები უჩანს.,  
 გაცრეცილ ტერფებს მიათრევს, მიდის,  
 და გუშაგვით სულ ფხიზლობს ქუჩა...  
 შუბლი კვლავ ფიქრის გვირგვინებს მიწნავს,  
 ჟამმა ნეკნამდე დამთალა ხორცი,  
 და ღრუბლებს შორის გაჩრილი მიწა  
 მაწვიმს და, დგება ცრემლების ბორცვი...  
 ვერ ვიცვამ დღეებს ატლას-ფარჩიანს,  
 ამ წვიმებით ვარ დაწრეტილი,  
 და ჟამი სულზე ისე მაჩნია,  
 ვით სტროფის ბოლოს მრავალწერტილი...  
 გადავაბიჯე ამ მიწის სამანს,  
 და ფეხაკრეფით დავდივარ ცაში,  
 დაუინიშნები ვარსკვლავზე სანამ,  
 სველ ზურგზე მიგდებს ღრუბელის რაში...  
 ჩამოვიტოვე სხეული უკან,  
 გამოქცეული სიმძიმეს მიწის,  
 და ხელისგულზე გააკარულ რუკას  
 ხომლივით ვწყდები და გზაზე ვიწვი...  
 და ვით წვიმა შლის ტილოზე ნახატს,  
 ისე მშლის ჟამი ნელა, სარკიდან,  
 და ახლა, მხოლოდ პოეტი ნახავს  
 მზემ გასაშრობად ცას ვით გამკიდა...  
 ...პილატესავით არ ვიბან ხელებს,  
 ყოველი არსის ტკივილით ვიწვი,  
 და სევდის ბაღში ქარნატირ ხეებს  
 დაღურსმნული აქვთ ტერფები მიწით...  
 და მუდამ ფეხზე დგანან ხეები

გაჩენის დღიდან, დაღალულ ტანით,  
 და ადართ ნისლის ამოხველებით  
 დაშაშრული აქვთ ხორკლებით კანი.  
 მეც ნეკერჩხალი ვიყავ ოდესღაც,  
 და მზეკაბანი მემოსა ტანზე,  
 მაგრამ მშოლტავდა ჟამი როდესაც,  
 ფოთლებს ზვარაკად ვგზავნიდი ცაზე...  
 ...მერე ვახელდი სიზმრებს წვლებით,  
 და ფოთოლივით, სხეულს ვწყდებოდი,  
 ცვარნამსხვრევ თვალთ და წამწამებით  
 ბალახს მუხლამდეც ვედარ ვწვდებოდი...  
 მაინც გავთენდი... და ვიხდი ღამეს,  
 და სასთუმალქვემ ვინახავ სიზმრებს...  
 თითქოსდა ცოდვებს ვმაღავდე, რამეს,  
 დილაც, ღრუბლიდან, მოღუშვით მიმზერს...  
 ...და ვკეცავ სულს, რომ მზე არ წაიქცეს,  
 დღე არ იქნება, ვხედავ, საჩინო,  
 ამ ცოვ ჩარჩოდან უნდა გაუიქცე,  
 რომ ჩემში დმერთი გადავარჩინო!..

**...და, აშლის ქარი სევდის კლავიშებზე...**

დგას რიბირაბო-ფერმკრთალი ქალი,  
 მოიბალახა შუქმა საესე ცა,  
 ამოათენა მზემ ცხრავე თვალი,  
 და ღაწვზე წამწამთ ჩრდილი დაეცა...  
 იდგა სიჩუმე, როგორც ტაძარი,  
 სული, ვით ლოცვა, ცისკენ მიმქონდა,  
 სიზიფეს ლოდი ვედარ დაგბარი,  
 და მუხლდარეკით ვდგავარ იქორთან...  
 მზის თმებით ვიშრობ თვალის სველ კედლებს,  
 სულის წვიმაა, სტრიქონებს რომ შლის,  
 და ვფურცლავ დღეებს, ვით წიგნის გვერდებს,  
 ყველა გზა, თურმე არ მიდის რომში...  
 ...და ვით ხის ძირში ნაჯაფი კაცი,  
 ისე ვისვენებ ლექსების ძირას,  
 ვამტვრევ ფიქრებს და ნაჭუჭებს ვაცლი,  
 და ცა უნიჩბო ნავით მიძირავს...  
 სველ ლაქაშებში, დაღლილ წერომდე  
 ვერ მიიტანა ცის ფრთები, ვერვინ,  
 და გულს ფესვიდან, ზედ კენწერომდე  
 გასდევს ხვიარა-ნატანჯი ნერვი...  
 ...და დამაქვს მიწა, ტკივილის მხრებით,  
 სულსაც კაემნის მაკრამე აკრავს  
 და ტირიფივით ჩამოშლილ თმებით  
 სველ ბაზალეთში დავეძებ აკვანს...  
 და მკოცნის წამი, სევდით განბანილს,  
 არ სურს, ქვრივით, მზერა გლოვობდეს,  
 ქარმაც, სარკმელზე მორზეს ანბანით,  
 გადმომიწერა სივრცე ბოლომდე...  
 ფეხისწვერებზე შედგება ქარში  
 ღამეც და მის ტანს სულით ვეხები,  
 და წარბებს შორის, ფიქრების ღარში,  
 მოჭრილ ხესავით ჩავიჩეხები...  
 მე ავირჩიე „სამოთხე“ ქოხში,  
 თვალეში წერო ბუდეს იმენებს,  
 და ეს სიცოცხლე — ნათხოვი გროში,

სხეულზე თიხით შემოვიშენე...  
 ...და ქარი სევდის კლავიშებს აშლის,  
 სიზმრების ცაზე დავტოვებ მე ფრთებს,  
 და სინანულის ცრემლების თასში  
 ვბან მაცხოვარის დაღუსმნულ ტერფებს...  
 მივართევ ჩრდილებს თვალებით, გვიანს,  
 ღამის ტოგებით ვდგავარ მითებთან,  
 და ვით ფერდობზე, ცის ცრემლი — ია,  
 თვალს მორცხვად იფშენეტს ლექსი თითებთან...

**...კვლავ ჩემი მინის ფესვები მტკიავ...**

სევდის თმებისგან მომქსოვა ბედმა,  
 ვარდი შეაჭკნა თვალზე სათვალეს,  
 ვით ლაქაშებში ყელთლილმა გედმა,  
 ცისკენ მანძილი ვეღარ გაუთვალე...  
 ვეღარ გაუთვალე საწუთროს სუსხი,  
 ფრთებს იკარივით შეაღწა ცვილი,  
 ნატერის ხეს ცრემლი წყალივით ვუსხი,  
 ცას ტანზე სულით მოვწმინდე თრთვილი...  
 ...და მაინც, ვეღარ მოვეგრე ამ დროს,  
 მის ორპირ ქიმზე გამეჭრა ფრთები...  
 ახლა ამ ბარათს ღამეს თუ ვანდობ,  
 და მთვარის ზურგზე ცას ვეფიცხები...  
 თუმც სასთუმალზე სამყაროს სძინავს,  
 ათასმეერთეს ქსოვს სიზმრად ზღაპარს,  
 მე, მაინც, ვერც ერთს ვერ ვირებ მძივად.  
 ვერც ალაღინის ვაბოულობ ღამპარს...  
 ...კვლავ ჩემი მიწის ფესვები მტკიავ,  
 დროც ცივ მარჯნებად მიფერავს ბაგეს,  
 სულში ბავშვს კედლის იმ მხარეს სცივა,  
 რომელსაც, უკვე, მზითაც ვერ ვაღებ...  
 ახლა ჩემ დღეებს ალაგ და ალაგ,  
 ცას აწვეთებენ ფრთებით მერცხლები,  
 ვით დარჩენილი ირემი ცალად,  
 საწუთროს, მალე, მეც გავეცლები...  
 ...მე ცხადში ბილიკს ისე ვიგნებდი,  
 ფარჩები აღარ მიღირდა ჩირად  
 და საყელოსაც ისეთს ვირგებდი,  
 რომ თავი მუდამ მაღლა მეჭირა...  
 ...დღეს ცოდვად მაწევს სისხლი ოცნების,  
 მზის სახვევებით ვეღარ მშველიან,  
 ცრემლები — ლექსის სტიქაროსნები,  
 უკვე, შენდობას აღარ ელიან...  
 ...და ცამორღვეულ სულის სახურავს  
 შარშანდელ ფოთლებს მოვაყრი ხმელებს,  
 ახლა ისეთი ჟამი მახურავს,  
 მხოლოდ ღვთისკენ თუ გავიწვდენ ხელებს...

**ამაოება ჟამისა მტკიავ...**

ღუმილნაყლაპი მოწვეთავს ღამე,  
 და ლექსის ნეკნებს ნერვით ვკრავ ტივად,  
 ისრებს ჩამომწყდარ, მუხლნატკენ წამებს,

ამაოება ჟამისა სტკიავთ...  
 რა უჭირს, თუკი, ცრემლით და ელვით  
 სულის სახურავს ზოგან თუ აწვიმს...  
 და ლექსი, ასე ნაშობი დეღვით,  
 კოჭლობით მისდევს ჩემივე გზაწვირის...  
 ორსულ ღრუბლების და წვიმის ნაცვლად,  
 ზოგჯერ, ქმარივით, ცაც მზეს იმეტებს.  
 გათიბულ სულში არ ცელქობს არსად,  
 გვირილა ჩემად რომ გავიშებ...  
 ჩამოწიოკდა ქარიც მთებიდან,  
 შარიშურებად მოხვეტა ნისლი,  
 და ჩამოვერცხლილ მთვარის თმებიდან  
 სონატის ლურჯი აკორდი ისმის...  
 ...ახლა ის დროა, ვიკრეფდე სხეულს,  
 ზეცამდე მანძილს ფრთებით ვზომავედე,  
 ვხურავდე ღამის ფოთლების რვეულს,  
 და თმენას ვწნავდე ქართან ომამდე..  
 ...მუხლი იქამდე უნდა გაშალო,  
 სანამდეც სხეულს პლემი ფარავდეც,  
 ახლა ხეებზე მთვარე თავშალობს,  
 ვიდრე ცა ღამეს მოიპარავდეს...  
 ...ყველა თავისთვის აჭედებს გრდემლებს,  
 სხვისი ცოდვებიც ეკლად მუხება...  
 და... წამწამებზე ჩამომხრჩვალ ცრემლებს,  
 მზეს შესანდობად ვუფენ ფეხებთან...

**აღარ ეგების, რომ გახმეს ფესვი...**

მეგრდში კვლავ სევდის ხნულს ავლებს კავი,  
 სულს ვეღარ ვატყვ სხეულში, მკივანს  
 და არსაკიძის მოჭრილი მკლავი,  
 მე ორთავ მკლავის ადგილას მტკიავ...  
 დარდს ვაკმევ ბილიკს გზაწვირის და ტყიანს,  
 თუმცა მერჩინის ის სხვის დარბაზსაც,  
 ილიასათვის ნასროლმა ტყვიამ  
 ეს საუკუნეც შეაბარბაცა...  
 თითქოს, დამიგეს ეკლის ხალიჩა,  
 ყველა ნერვიდან ლურსმნები წვეთავს,  
 ახლა, სულიდან ხორცი არ მიჩანს,  
 დამტყდარ ნეკნებით გადვიღლი ღეთას...  
 ახლა, მზისფერი წარსული მიშხერს  
 და მწყურვალ ბაგეს აკვდება ღოცვა...  
 ო, ალბათ, ცრემლი სდიოდა იმ მზეს,  
 ქამებოდნენ ქართველნი, როცა...  
 სისხლის მდინარედ მომკივის ახლაც  
 გიორგი, ცოტნე, თვედორე ბერი,  
 რწმენად, დავითის დიდგორი მახლავს,  
 ჯაჭვთოროსანი მუხლს არ დრეკს ერი!..  
 ...მე ვით განვჭვრიტავ მტყუანს და მართალს,  
 თუ კი სიმართლეს უკვდება სხივი,  
 სამყაროს უფლის განგება მართავს,  
 თუმც ჟამის მღვრიე მდინარე ხივის...  
 აღარ ეგების, რომ გახმეს ფესვი,  
 ვიდრე ბებერი მუხა კვლავ უფლობს,  
 ვიდრე ტაძრიდან სინათლე გვესმის,  
 და ღვთისმშობელი ღოცავს საუფლოს!

**დიან დღეები მზისგულა შვილთან...**

დაკვიცილ წიგნში ჩამრჩა თვალები,  
 გულიც და ფიქრიც იქ ისვენებენ,  
 როს გადამტეხენ წელში ქარები,  
 ლექსის შვილებიც გამიხსენებენ...  
 რიჟრაჟი თიბავს ღამეულ ჩრდილებს,  
 დაყრილებს გზებზე, თითქოს ფიხებად,  
 სული თვალებში სიმშვიდეს ივლებს,  
 და იქვე, მზის გულს მიეფიცება...  
 ვხსნი ზეცის თავანს მილურსმულ მზერას,  
 ფიქრებს და სევდას და ხურჯინს ვავსებ,  
 და სულის რტოზე ლექსის სიმღერა  
 გადმინის ძარღვს და ვილვეი ასე...  
 ახლა ისე ვარ, თითქოს ამ მთაზე,  
 თითქოს, ამ ცაზე უფრო დიდი ვარ,  
 ფიქროვით ვიხდი მთვარის ცივ ფაზებს  
 და მზის ჩამოშლილ თმებზე ვკიდევარ...  
 ...და დუმილიდან ვიყვირო მინდა,  
 ცაო, ეპეჰე, გესმის, ვხივი რად?  
 ამოუცვია მზეს ზეცის წინდა  
 და სხივებს მახლის გულზე ხირიმად...  
 ხან ჩიტებს ვაკმევ თვალებს და ხან ვის,  
 გაიწვდენ სულს და ზეცაც აქ არის...  
 და დნება ლექსი ფინჯანში ყავის,  
 როგორც ძილი და კოფი შაქარი...  
 მერე... აგვისტოს ვუსწორებ კაბას,  
 ზედ შემოტმასნილს ზვატისგან ტანზე,  
 გულიდან მზერა ძაფს ცამდე აბამს  
 და ზეცის ცვარი უბრწყინავს თვალზე...  
 ღამეებს სძინავთ ღია თვალებით  
 და მზით ახელენ ცისმარე დილას,  
 რადაც უცნაურ ფერისცვალებით,  
 ცრემლი უშრება ღრუბელის ფთილას...  
 საღამოები, გრილები ათწილ,  
 ნიათა სუნთქვას სულს თან ატანენ...  
 და ნეკერჩხლები ქუჩების გასწვრივ,  
 ზაფხულის ბოლო პორტრეტს ხატავენ...  
 ...და დიან დღენი მზისგულა შვილთან,  
 გულში დანთებულ სამოთხის ბაღში,  
 ვიდრე დადგება წუთი, რაც მშლიდა  
 და განშორების მარცვლებად დაშლის..

**იალ-კიალი**

დამაქვს სიცოცხლე იალ-კიალით  
 და ამ უნდო ჟამს ქედს აღარ ვუხრი,  
 შეუჩერებლივ წრეზე ტრიალით  
 ზოგჯერ ისრებსაც სტკივდებით მუხლი...  
 ფიქრი არ მიჭრის წამსვლელად არსად,  
 შემოვხვეულვარ ჭიგოს ხვიარად,  
 ფრთიდან ჩავარდნილ ოცნების მსგავსად,  
 სულმა კოჭლობით, მაინც იარა...  
 ქვეყნის ცოდვების ტვირთის ტარებით  
 ჩაზნექილი მაქვს გულის ფიცარი,  
 ისე გამშოლტა დრომ ცივ ქარებით,  
 ჩემივე თავი ვეღარ ვიცანი...

...და თუმც თავს მადგას ლექსი, ვით მეღდა,  
 სევდაზე მწინდავს ღრუბელის ფთილა,  
 დღისით მზის ბროში მიკოცნის მკერდს და  
 ღამე — მთვარის დისკს ვიკემსავ ღილად...  
 და მაინც, მუდამ, ჩრდილივით მახლავს  
 დარდი, რომელიც ბინდს ჰფენს მზის ქონგურს,  
 რადგან ქვეყანა მიაგავს ახლა  
 სიმებდაწვეტილ უსულო ჩონგურს...  
 რადგან ჩაჟანგდა ჯურხაის ხმალი,  
 რადგან კრწანისის ყაყაჩო არ გვწვავს,  
 და მზერა, ასე ჩამქრალი თვალის,  
 ველარა სწვდება ჩვენზე წამწამს...  
 ცამ ჩამოცვარა ფერებად ღილა,  
 მიწამ მოჰგავა ლანდები ღამის,  
 და კლდეთა მკერდზე შემდგარი დილა  
 მსხვერპლად მონიშნულ კრავივით ბღავის...

**როდემდე?**

მზემ თმით მოგუდა ღამე — აფთარი,  
 სულის ჭას წყალი ისევ ამოშრა...  
 აღარსად ხარობს აქ სამართალი,  
 ჭეშმარიტებაც შორით არ მოსჩანს...  
 შვებით ეყრდნობა ცის კედელს მხრებით,  
 ქუსლზე შემდგარი კავკასიონი...  
 მე კენწეროდან ფესვამდე ვხმები  
 ხმაგაბზარული ზარით სიონის...  
 მარჯნად მაკვდება ბაგეს ღიმილი,  
 სინათლეს თიბავს ღრუბლების ცელი,  
 ცვარზე ფეხშიშვლად აბა, ვინ ივლის,  
 როცა ეკლები გაცვია ველის...  
 ...ახლა, მავანნი ისე არ ბჭობენ,  
 არ აფერადონ აზრები რითმით,  
 და სამშობლოთი ჩუმად ვაჭრობენ,  
 როგორც დახლის ქვეშ შენახულ ნივთით...  
 მკერდზე იყრიან იუდას ვერცხლებს,  
 ვით ზღვის ნაპირზე გაბნეულ სილას,  
 და თუკი დილა მოჰქონდათ მერცხლებს,  
 ახლა ყვავები კორტინიან დილას...  
 რად ვათნვეთ დღეებს ასე ზოზინას,  
 თვალში ცაც ცრემლად აღარ ჩაგვიდის...  
 ჟამმა ისეთი თიხით მოგვზილა,  
 რომ სისხლის ნაცვლად ძარღვში წყალი გვდის...  
 მოგკეკეთეს ძირში ხე საჩრდილობლით  
 და სიტყვასავით აგვადეს ბანზე  
 და გაუკერავ ყველა ჭრილობით  
 ყაყაჩოს სისხლი გვაცხია ტანზე...  
 ...ჩიტვით მფეთქავ გულით და მაჯით,  
 დაუათრევთ ჩვენ წილ მიწას და ზეცას,  
 და მკერდში ნაჟანგ ტკივილის ხარჯვით  
 ბუმბულგაცვნილ ფრთებს უხმოდ ვაკეცავთ...  
 როდემდე???

**უძისამართო ზარათი...**

დავხუჭე ღამე — ქვეყანა სიზმრის...  
 და აფახულეებს ფარდის წამწამებს,  
 სარკმელი და მე საწოლთან მიზის

ნაღველი, თვალში რომ დაწანწალებს...  
 ღრუბლის ერდოზე შემომდგარ დამეს  
 ეს დედამიწა ქალამნად უჩანს  
 და ყაჩაღივით პირაკრულ ქარებს  
 ჯიკავით მიჰყავთ ბინდბუნდში ქუჩა...  
 ახლა იმედიც კოჭლობით დადის,  
 ვერ გავუმაგრე ნატკენი მუხლი,  
 როს მირონივით მზე სულზე დამდის,  
 თავს სინანულით ტერფამდე ვუხრი...  
 ვერ ვწურავ ბადაგს ამ ლექსისაგან,  
 დამე ცას ვარსკვლავთ მჭიდვით ცხრილავს...  
 ქარების მწველი ალერსისაგან  
 ცახცახი უვლის ვნებიან რცხილას...  
 გაცრეცილ ტერფებს ვაზომებ მიწას,  
 ხან, ბალახსა ვტკენ, ხან, მკაწრავს ღორღი,  
 ლექსს, ფუტკარივით, ვაწვეთებ ფიჭას,  
 ხანაც, ხარივით ხმელ დამეს ვლოღნი...  
 ...და გზა-გზა ვაბნევ სიცოცხლის ნაწილს,  
 სულს ვაბნევ, ნაფარცხს ღიმილით, სევდით...  
 ზოგჯერ, ვარდობას იჩემებს ანწლიც,  
 ზოგჯერ კი, ჩვრებსაც სჯერდება დენდიც...  
 ...წამწამებზე ვფენ ცრემლებს ფარდებს,  
 და მარაოში ჩარჩენილ ნიავს,  
 საკინძეჩახსნილს, ვასხურებ ვარდებს,  
 და ზეცის ნატქეს – რაფაზე, იას...  
 ...წიგნებში უწვევთ ჟამი თაროებს,  
 მინდვრების კაბა მთვარის თმით ვაშრე,  
 და მხრებშემცვივულ ჩემ საღამოებს  
 მიწაზე დასთრევთ ნისლეების კაშნი...  
 ბალახს შერჩენილ ხის ნაფოტვიით  
 თვალელებში ჩამრჩა დროის ხელწერა,  
 დამემ გაკემსა ყველა მოტვი,  
 მე გულზე ცრემლად რომ დამეწერა...  
 ეს უნდო ხანა ვით უნდა მართო,  
 ვეღარ დავდევი ამ გულთან ზავი...  
 და სულის ბარათს უმისამართოს,  
 მე, ლოცვასავით, ზეცაში ვგზავნი...  
 ...და ვახელ დილას ლურჯი ზმანებით,  
 ქალადაიას ნისლეებად აშლილს,  
 და კლდეთა მკერდზე ცისკრის ზარები  
 სიჩუმეს ბროლის მარცვლებად დაშლის...

**...ღმერთო, ნუ მოჰკლავ ჩემში მინდიას...**

ისევ მაცვია დღეთა ძონძები,  
 ბებერი ჟამის გამონაცვალი,  
 რომც დავიძალო, მაინც მომძებნის-  
 დრო, ეს, გულცივი დედინაცვალი...  
 ისევ დამიდის მარღვში მდინარე —  
 ჟანგმოდებული, ადამის სისხლი...  
 მელნის ცა მარწვეს მკლავზე,  
 მძინარეს,  
 და სულში ტაძარს ვუშენებ მზის სხივს...  
 ...  
 მიზიდავს ღონიც, ტემზაც, ვფრატიც,  
 მაგრამ უთერგოდ, მაინც ვერ ვივლი,  
 და დამაქვს სული, როგორც ეტრათი,

ჩემი ცისაგან გადმოწერილი...  
 ზეცის ნაგლეჯი სალბუნობს გულზე,  
 ხომლებიც თვალთა ისრებს მიშენენ,  
 მინდვრის ჩითებით მოქსოვილ სულზე  
 სხეულის ქოხი შემოვიშენე...  
 „ირმის ნახტომი“ ტანზე მახურავს,  
 გრილი მარაო მოვპარე ტირიფს,  
 კვლავ, ოთხფოთლიანს ვემებ სამყურას,  
 და უშედევო ძებნისგან ვტირი...  
 სევდის ჩიტები ესევა წამწამს,  
 და ლექსში ვაწნავ დარდის ნარჩენებს,  
 აღარ ვინაღვლებ უფრთებოდ წაწაღს,  
 ოღონდაც, ცაო, ღმერთი მაჩვენე...  
 ოღონდ, ვით დალის დაწული თმები,  
 ჩამომიშალე კიბე, შენამდე,  
 ლექსშემცვივული, კვლავ შენით ვთბები,  
 ახალი ლექსის გამორჩენამდე...  
 ოღონდ, მირჩიე, გზა ვით არ ვთელო,  
 როგორ ჩაკვიდო სული მზის ნაწნავს,  
 დღეს ობოლ ცრემლში წვეს საქართველო,  
 და ლამისაა ჩამოსწყდეს წამწამს...  
 ... დაჭორფლილი მაქვს სული ლექსებად,  
 სიკვდილ-სინათლე გადანახადი,  
 ტანში მაყრია დაღლა ნემსებად  
 და მჭირს სიცოცხლე, როგორც სახადი...  
 თან ვგრძნობ სიმციერს ჩემი სხეულის,  
 და მას თითქოსდა ციდან დავეყურებ,  
 ჟამისგან ისე ვარ დარხეული,  
 როგორც ბალახზე ნამის საყურე...  
 ცასა და მიწას შორის ვკიდივარ,  
 დადაღული მაქვს ჩემი მზით მხრები,  
 როცა ღმერთთან ვარ, ცაზე დიდი ვარ,  
 მაგრამ უღმერთოდ, კვლავ მწირი ვხდები...  
 ძლივს გაუთენდი და უკვე ბინდია,  
 თუმცა სულს ნისლებს აღარ ვაკარებ...  
 ღმერთო, ნუ მოჰკლავ ჩემში მინდიას,  
 ეს სიცოცხლე და მიწა მაკმარე!..  
 ...თორემ თვალელებში დაიმსხვრა ძილი,  
 და დამე სიზმრებს კენკავს გუგებში,  
 და ვით უეცრად გამწყდარი მძივი,  
 სხეული მცვივა ზეცის უბეში...  
 ...ეს სტრიქონებიც, გაუმართავი,  
 ცის ზაფერდებში, სადღაც დამრჩა და  
 ყველა ნაბიჯი იყო მართალი,  
 სანამ სხეული სულში არ სჩანდა!..

**წვიმების სეზონი...**

წვიმებმა ზეცით გააუსეს გუბე,  
 და მის კბოღეზე სული დამიცდა...  
 შიშის ბარტყებით მიფეთქავს უბე,  
 ჩამოაწვეთა ფიქრშიც ამინდმა...  
 წვიმა ჩიტვიით აწყდება სარკმელს  
 (უნდა ჩამოვხსნა ღრუბლის ფარდები),  
 მზერაგაუგნებ ფიქრებით ვაკმევ  
 თვალებს სისველეს და ვგვიანდები...  
 მზეს სიზმრით თვალი ვით აუუხილო,



და უფალოვით ვუხმო სინათლეს,  
 ყმუილით ნუღარ მკაწრავ ქუხილო,  
 მზე, ცისარტყელად, მაინც ინათებს...  
 ...და მე შტრაუსის ტყის ზღაპარს ვუსმენ,  
 გაჭაღარაუდა, თუმცა ფერები...  
 წვიმებს — სარკმლებზე მიჭვდილ ღურსმნებს,  
 ვხსნი და ტკივილზე მოუფერები...  
 მზეს ვივლებ თვალში, მაღამოს — ნაცადს,  
 სული მზის აბებს სხეულსაც უყოფს,  
 ასე მგონია, ამ მიწას და ცას  
 ცელის მოქნევის მანძილი თუ ჰყოფს...  
 კლდის ლავიწზე დგას დამე-ვიზაღი,  
 დროა, დღემ ბრძოლის ველი დასტოვოს...  
 გადაესილი აქვთ ღრუბლებს ჩინახვი,  
 რომ მერე დელგმის ტერფით დაგვტოროს...  
 ახლა, ცისკენ თუ გავიწვდენ ტოტებს,

ნეკერჩხალოვით, მაგრამ მანძილი  
 თხზავს მარტოობის მწუხარე ფორტეს,  
 და წვიმა ლოკავს ჩემს ჩუმ სამძიმილს...  
 ახლა, სულიდან მზერა არ მიჩანს,  
 ვერ მოიშალა ქარმა თარეში,  
 გადაჰკრავს დილა მზით სავსე სირჩას,  
 და მოიხედავს სულიც თვალებში...  
 ცის ნამსხვრევები ჩამოაქვთ გამებს,  
 სიზმრების ბაღიც იცვლის იერებს,  
 და წვიმის თმებით მოგუდულ დამეს  
 ხელოვნურ სუნთქვით ვასულიერებს...  
 ...მერე, დიმილებს შემოვხვევ მკლავებს,  
 დასაბამიდან თუმც სევდა მჭირდა...  
 და ცას დილივით ამწყდარ ვარსკვლავებს,  
 მზე ოწინარით ამოკრეფს ჭიდან...


### ზოთა არაბული

დავიბადე 1957 წელს წითელწყაროს (დედოფლისწყარო) რაიონის სოფელ არხილოსკალოში. საშუალო განათლებაც ამ სოფლის სკოლაში მივიღე. 1990 წელს დავამთავრე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ვმუშაობდი სახელმწიფო საჯარო ქსელში; აგრეთვე მათემატიკის პედაგოგად საჯარო სკოლაში. ამჟამად კერძო მეურნეობით ვარ დაკავებული. ვარ დაოჯახებული.

ძალიან მიყვარს პოეზია და ლექსების წერა ყრმობიდანვე დავიწყე, თუმცა ერთი-ორი ადამიანის გარდა არავისთვის მიჩვენებია და არც გამოქვეყნება მიცდია. ასე, რომ დღეს ჩემი ლექსები პირველად მიდიან მკითხველამდე.

\* \* \*

ცეცხლს შეუნთებ გულის მადანს,  
 აგვირისტებ ყალიბში,  
 არ გჭირდება მოძმის გამტანს  
 თვალთმაქცობა, ყალბი შნო.  
 ამ ნათელით მეც ვივსებო  
 და ვაგრძელებ ყალმის სმას,  
 მელანი არ დამშრეტია,  
 წერტილი არ დამისვამს.  
 გულს ვიმშვიდებ, ჯერ წინ არის  
 საწერი, სანახავი,  
 მაგრამ ვახთუ ვერ დავლახე  
 გზები დაულახავი...  
 ლაღად ჟღურტულებს სადღაც მხეწვია,  
 შორს, ჰორიზონტზე მზე წამოწვება,  
 ჩემი საგალი ერთი ბეწვია,  
 ჯურხას ფარივით დავილწვები...



\* \* \*

დიდხანს ვუმზირე იასა,  
 მარტოდ მდგომარეს ველადა,  
 აემ გულს გამიხარებდა,  
 მენახა უღარდელადა.  
 თქვენ ფიქრობთ მონადირე ვარ,  
 თემა ვარჩიე სალექსე?  
 ვუმზირე, გულმ ვერ გამიძლა,  
 მიველი, მიუჟალერსე.  
 ცას ჯანდი გადაეყარა,  
 ღრუბელმაც გადაიარა,  
 მეც გული გამიხალისდა,  
 მეტად იამა იამა.

\* \* \*

ო, როგორ მოვიჩქაროდი  
 შენკენ სავალი გზებითა,  
 რად მომიკეტე ჭიშკარი,  
 დანამული ვარ ცრემლითა.  
 არაფერ მითქვამს იმგვარი,  
 გულს გასავლები წყენითა,  
 ეს ჩაგჩურჩულე ყურშია,  
 ვერ გაუძლე შენის ხვევითა...  
 აღარ გახსოვსა ქალაო,  
 თმებში ჩაწული იები,  
 პეშვით მოწვდილი ციფყარო,  
 გალობდნენ ჩიტუნები.  
 აქამდე გულით მხედავდი,  
 ახლა ვერ მამჩნევ თვალითაც,  
 თითქოს და ვიყო უცხო რამ,  
 თავს არ იბრუნებ წამითაც.  
 უხმოდ გაგყვები ჩემს ბილიკს,  
 ბილიკს ნაბანსა ცრემლითა,  
 ახლა სხვამ გიწნას გვირგვინი,  
 სხვა დატკბეს შენი მხერითა...

\* \* \*

ებ, ვინ რა იცის სით წაუა,  
 გზა-კვალი კაცის ბედისა,  
 როს ჩამაიშლის დალალსა,  
 ან როს დაიბანს მზე პირსა,  
 შენ მონატრულსა მუდამა  
 ერთ კოცნაც რომ არ მეღირსა.  
 სიზმრადაც შენ გეფერები,  
 ლურჯთვალას, ტურფა იასა,  
 სულ ვფიქრობ ანგელოსია,  
 არ ჰგავხარ ადამიანსა,—  
 ერთხელა რომ გაგეღიმა,  
 ცას ხო ვნახავდი მზიანსა.  
 ვერ შეგხსენ გულის საპირე,  
 ოცნებებს ავედევნები,  
 მოვალ და სულს აუკივლებ,  
 თვალთ დამინამაუს ცრემლები,  
 ერთს ვინატრიდი ქალაო,  
 შენთ ფიქრთა ვიყო ზიარი,  
 მაგრამ სად არის იგი ცა,  
 გაბრწყინებული, მზიანი.  
 როს ჩამაიშლის დალალსა,  
 ან როს დაიბანს მზე პირსა,  
 ებ, ვინ რა იცის სით წაუა,  
 გზა-კვალი კაცის ბედისა...

\* \* \*

კალამს ხელს ვკიდებ, ჭია მღრღნის,  
 იმის სურვეულით ვიყავი,

ლექს დამეწერა ეგეთი  
 თემ-სოფლის წასაკითხავი.  
 ვერა რას ვამბობ, არ ითქმის,  
 აუწერელი ენითა,  
 გტკიოდათ? გულთან მიმქონდა,  
 არ მიძხვრია ზვერითა,  
 მეც თქვენის თემის-წყლისა ვარ,  
 თქვენთან ჭირითა, ლხენითა.  
 თქვენთვის მინდოდა მხოლოდა,  
 რაც გაახარე, რაც დაურგი,—  
 მაინც ვერა ვთქვი სათქმელი,  
 ლექს ვერ გიწერეთ საკადრი.  
 ლექს უნდა იყვას ეგეთი,  
 სტრიქონ ებმოდეს სტრიქონსა,  
 გული აივსოს სილაღით,  
 თან ცოტა დაგაფიქროსა...  
 ბედმ გამიღიმა ნამდვილად,  
 ჩემ ბედზე მეც მედიმება,  
 ვკითხულობ, დამეებს ვათუვ,  
 წიგნზე ჩამამეძინება.  
 თითქმის ყოველდღე მსტუმრობენ,  
 ვხარობ, მითა ვარ ძლიერი,  
 მალე კარს მამიკაკუნებს  
 გოეთე, ალიგიერი;  
 იდინონ საუკუნეთა,  
 ვერ შეუცვალონ იერი,  
 ახლა სტუმრად მყავს რუსთველი,  
 ხე ბუმბერაზი, ძლიერი.  
 მხოლოდ ერთს შევსთხოვ უფალსა,  
 მომმადლოს თვალსაწიერი,  
 თუნდაც იოტის ოდენი  
 მეც ვიყო მათ ნაშიერი.

\* \* \*

სიკვდილი გვზარავს, გვაშინებს,  
 ხეირი ჰყრია მასში რა?!  
 სულის და ხორცის კავშირებს  
 ანგრევს და კი არ აშენებს.  
 მზე ჩაუა, დღე გაილევა,  
 დამეს სიბნელე ამშვენებს...  
 ნეტავ რად ვუფროთხით სიკვდილსა,  
 ვფროთხოდეთ სიცოცხლეს საშინელს!

\* \* \*

აგერ რიჟრაჟ კარსა მადგა,  
 მზეი თვალებს ახელავდა,  
 ნამუსის ქუდ დამიხურავს,  
 კაცი მქვია სახელადა,—  
 ან კაცი ხარ, ან და არა,  
 არ იქნების ნახევრადა...

ნაწახანები

\* \* \*

სიყვარული — შენში ღმერთის შეცნობაა,  
 რა კარგია, როცა გრძნობ და ამას რა სჯობს,  
 ისე მიყვარს, რომ ღუმილი შეცდომაა  
 და ვინცა ღუმს უნდა კოცნით „დაისაჯოს“.  
 სიყვარული — სულ არაა მოთარეშე,  
 მზის სხივი და მთვარის დაპკრავს კდემა, რიდი,  
 ისე მიყვარს, ვერასოდეს მის გარეშე  
 ვერც სამყაროს და ვერც ჩემს თავს ვიპოვნიდი.  
 სიყვარული — ჟანგბადია, მისით ვსუნთქავთ,  
 სიმდიდრეა, ულატაკეს თუნდაც ყოფის,  
 ბევრი რამეც დაწერილა, ბევრიც უთქვამთ,  
 მაინც ვფიქრობ, რომ სიტყვები არა ჰყოფნის.  
 სიყვარული — მზერის არის ლაპარაკი,  
 ღიმილია, ყვაილები ციდან თოვსა,  
 სიყვარულმა არც დრო იცის, არც ასაკი,  
 სიცოცხლეში ის ყველასთან ერთხელ მოვა.

\* \* \*

მოდი, დაიბედე ჩემი ნახვა,  
 ვატყობ ზამთრის სუსხს არ შემოვზრები,  
 ამდამ მთვარის კაბას ჩავიცმევ და  
 მერე შენს სარკმელში შემოვძვრები.  
 კალთით შემოვიტან ვარსკვლავებსაც,  
 მე ხომ ეს ლაქვარდი შენთვის ვზიდე,  
 ჩვენი ცხოვრება თუ სიზმარია,  
 მაშინ აღარ მინდა გამოვფხიზლდე.  
 თმებზე შეპარული ვერცხლისფერი,  
 მხატვრის ტილოსავით ნაყალმევი,  
 უერთმანეთობით სევდიანი  
 ჩავლილ წლებსა ნაკვალევი.  
 მოდი, დაიბედე ჩემი ნახვა,  
 ლექსებს მარცვალ-მარცვალ ავიმიძიებ,  
 ამდამ შენს სარკმელში შემოვალ და  
 მერე შენს სიზმრებში დავიძინებ.

ავაზაკი

1. „მე ვარ უფალი, ღმერთი შენი“, რას ამბობ, ღმერთო,  
 როგორ გარდამქმნი ეშმაკის გზად მავალს უეცრად,  
 მე ის ცეცხლი ვარ, ჯოჯოხეთში რომ უნდა ვენთო,  
 ვერ შეგიცანი და ამიტომ დავრჩი უმეცრად,  
 2. ვინ არ ვიღმერთე, ვიგონებდი ხატებს საოცარს,  
 ანგარიც ვიყავ, ამაყიც და ხშირად უძლები,  
 არ მოუდრიკე მოკრძალებით მუხლი სალოცავს,  
 ამხელა ცოდვის ფარას ახლა წინ მოუძღვები.  
 3. ვეცემოდი და გაბრალებდი შენ, როგორც გამჩენს,  
 ცრუ რიტუალად მივიჩნიე წმინდა ნათლობა,  
 ვამბობდი, ღმერთი კარგს ავისგან თუ კი ვერ არჩევს,



რას ვეთაყვანო, რა ვიწამო, უსამართლობა?  
 4. კვირის მეშვიდე დღეს მინდოდა ეშმა მეხატა,  
 მომჩერებოდა დაჟინებით მზერა ცისფერი,  
 განა არ ვიცი, რომ შემქმენი ღმერთო შენს ხატად?  
 ვერ დაუდარცხე ჩემში მაინც ლიუციფერი.  
 5. იქ სადაც ავციდი ჭეშმარიტ გზას, ავციდი მშობელსაც,  
 უღმერთო ვყავდი, უარესსაც რაღას ნახავდნენ,  
 ზურგი ვაქციე, სალოცავად ვაჩნდი რომლებსაც,  
 არ ვენდე ხელებს ყოველდღე რომ პირჯვარს მსახავდნენ.  
 6. უფალო, იცი, რომ შენდობას შენგან არ ველი,  
 მომხსენ ნიღაბი, რაც ჩემს ნამდვილ სახეს არ აჩენს,  
 ვინც ჯვარს გაგაკრა, მართოდენ ის არაა მკვლელი,  
 პილატე ვიყავ, დაუეთანხმე დასჯის განაჩენს.  
 7. არ აყოვნებდა უღმერთობა ჩემი, არც შედეგს,  
 ვერ გადაადგავ ნაბიჯსაც თუ რწმენა გაკლია,  
 სასაცილოა, დახვავებულ ცოდვების შემდეგ,  
 ვთქვა, რომ მრუშობა დანარჩენზე მეტი ნაკლია.  
 8. „არა ვიპარო?“ მომიპარავს რამდენიც გინდა,  
 ამდენი „ჭუჭყი“ მა საიდან, ამდენი „შმორი“,  
 სიხარბით ვხვეუტდი სიმდიდრეს და შიშს არა მეგვიდა  
 განკითხვის ჟამს რომ დავრჩებოდი პირისპირ ორნი.  
 9. მოყვარეც ბევრჯერ გამიწირავს, თან ისე, სინდის  
 ერთი ვაიც არ დასცდენია, არ თუ გოდება,  
 ყველა გზა მაინც საბოლოოდ სიკვდილთან მიდის.  
 წინასწარ ვინ წუხს, იმის იქით რა ელოდება.  
 10. თავზე საყრელი ჩემიც მქონდა, სხვისიცა მსურდა.  
 თვალი ყოველთვის გამიბრბოდა სხვითა ყანაზე.  
 არა ჰქონოდა შესაშური, მე მაინც მსურდა  
 რადგან ბოროტი ძლიერობდა ამ ქვეყანაზე.  
 P.S. ვხედავ ეშმაკის „პალატებში“ ცეცხლი მზა კია,  
 სულ ერთი წუთით, ღმერთო, წუთი მადროვე ერთი,  
 ხომ შემეცანი, შენს წინ დღეს ის ავაზაკია,  
 ჯვარზე გაკრულმა რომ იწამა თავისი ღმერთი.

\* \* \*

\* \* \*

ცას ვუყურებ, ფიქრი ლექსად მონიავდა,  
 ვარსკვლავებში იკარგება ხელები,  
 ლაქვარდები ბევრს უმწიკვლო ჰგონია და  
 მასაცა აქვს იღუმალი ხვრელები.  
 ჭალა-ჭალა მოგოგმანე ღამის მთვარე,  
 ჩამოზიდულ სიკამკამეს ურმებით,  
 სახეს როცა მოაბრუნებს, დაითვალეთ,  
 ამჩნევია წლების ნათითურები.  
 გზა-გზა ყველა ვიკაფებით, როგორც ახო  
 და ჭიდილში ბედისაა იპონი,  
 მთავარია სილამაზე დავინახოთ,  
 თუ კი გვინდა, ნაკლს ყოველთვის ვიპოვით.

\* \* \*

ადარ გაჩერებ, ადარ გაყოვნებ,  
 რასაც ვიტოვებ, მყოფნის ის სევდაც,  
 ლექსებს დაწერ, გულს გადავყოლებ,  
 შენ ლექსი იყავ ჩემთვის ისედაც.  
 შავი ღრუბლები მარტყია არედ,  
 ცაში ვარ, მიწა კვლავ ვერ მოვირგე,  
 მე ვაღიარებ, წაგაგე მწარედ,  
 მაგრამ მითხარი, შენ რა მოიგე?

### მიყვარხარ

ვერ მოვასწარი წასვლისას მეთქვა  
 ათას მხეს შენი მერჩია ჩერო,  
 ჩემი ხარ სუნთქვა და გულის ფეთქვა,  
 ახლა იცი და მშვიდობით ჩემო.  
 ჯერ ისევ ზამთრის წვიმები მნამავს,  
 სუსხიან ამინდს შლიან მარტყები,  
 გზა-გზა ცრემლებს რომ გიტოვებ ამას  
 გამოყევ, თუ კი მოგენატრები.

მოთმინებას აუწყვეტავს სადავე,  
 სანაპიროს ქარი მოსდევს მარშებით,  
 საზღვრებიც კი გადმოვლახე სადამდე,  
 ვინ ხარ მითხარ, მე რომ მეთამაშები.  
 რა მინდოდა კუნძულზე, სად გამრიყე,  
 აქაური ჰავა სუნთქვას მიჩერებს.  
 ახლა მოდი იმ ბილიკზე გამიყევ  
 ისარი რომ საქართველოს მიჩვენებს.  
 დამცვენია ფრთები, როგორც წიწვები  
 და გაქცევის მოლოდინი სულს მიღევს,  
 ალაზნთან მხარ-თემოზე მივწვები,  
 ოქროს თევზსაც იქ ჩავუთქვამ სურვილებს.

### რა იქნა

რა იქნა წელს ჩემი ბელურა,  
 შარშან რომ სიცოცხლეს მივსებდა,  
 ყოველდღე ვუწერდი ლექსებს და  
 მე ასე მჯეროდა, მისმენდა.  
 გართული ოცნებით, ფიქრებით,  
 ვერც ვიგრძენ, ფრთებს თურმე რომ შლიდა,  
 ნეტავი საითკენ გაფრინდა,  
 გზად ნეტა ხომ არვინ მოშვილდა.  
 რაფაზე დაუტოვ სიყვარულს  
 და სითბოს, აქ მალე დაითოვს,  
 იქნება შესცივდეს, მოფრინდეს,  
 გულს თუ ვერ, ფრთებს მაინც გაითბობს.  
 დარდებმა თან გადამიყოლა  
 და პოვნის იმედიც გამიქრა,  
 სუყველგან დავეძებ სად არის,  
 რა იქნა, რა იქნა, რა იქნა?!..

## ზაირო ფრუიძე

### ამღერდა გული

დილამ იცვალა ფერი და  
 სახე დამალა მტირალი,  
 ქუჩას უღიმის ოქროსფრად,  
 მზე ციდან გადმოშინრალი.

სულში ინათა მზის სხივმა,  
 ამღერდა გული მღუმარი,  
 მე შენი მასპინძელი ვარ,  
 შენ ჩემი გულის სტუმარი.

ნიავე მეაღერსება,  
 მხრებზე მიკოცნის თმა-გიშერს,  
 წასვლასაც ნუ მოიჩქარებ,  
 იცოდე, ადარ გაგიშვებ...



დაბრუნებას დაგპირდით

თითქოს, უცებ მიგვატოვა,  
თითქოს, უცებ დაგვშორდა,  
ცხრა მთას იქით გაფრენილა  
უდარდელი ბავშვობა.

მენატრება სოფელი და  
ცხენისწყალის ნაპირი,  
მე უთუოდ დაბრუნდები,  
დაბრუნებას დაგპირდით.

თქვენც ბავშვებო, დამელოდეთ,  
მოვალ სვენებ-სვენებით,  
ძველებურად მოვიბრინოთ,  
მინდვრები და სერები.

ერთად აყვებით გვერტყევს და  
ვინახულოთ ლასხანა,  
აღრეულად შემოსულა  
ტყეში ჩვენი შავმსხალა.

მოთმინებით ვიცი მელით,  
გოგოს მწვანე თვალეხას,  
გოგო გაქრა, ვერ გაუძლო  
წუთისოფლის წვალეხას.

აღბათ, შუკებს კვლავ ეტყობა  
ჩვენი ნაფეხურები,  
სხვადასხვა გზით ავიარეთ  
სოფლის საფეხურები.

ბავშვობაში დაბრუნდეთ და  
არ ვიდარდოთ არა რა,  
მერე რა თუ დრო გასულა,  
შეგვერია ჭალარა...

აღბათ, გველის ჩემო ზაზა,  
წყაროს თაუზე ეკალა,  
ველარ დაგაგემოვნებთო  
არ იფიქრო ეგ, არა...

მაღე მოვალ ჩემო ზაზა,  
აღუდა და ბედიკა,  
თუ ვიბავშვებთ რა გვექნება,  
სამღურავე ბედისა?

სოფლის მოკლე გზებით მოვალ,  
ცხენისწყალის ნაპირით,  
მე უთუოდ დაბრუნდები,  
დაბრუნებას დაგპირდით.

დრო გამეპარა

ობლად მდგარ სკამზე წუთიერად ჩამოვისვენე,  
და ვეფერები შემოდგომის არეულ ფოთლებს..  
ხელზე ვაგროვებ მიმოფანტულ ჯადოსნურ ფერებს,  
და გულმოდგინედ ვხატავ ჩემი ბავშვობის პორტრეტს.

თვალეხს მივეცი ელვარება გაფრენილ წლების,  
სახეს კი ვერა და ვერ ვარგებ ბედნიერ ღიმილს,  
და თვალეხიდან წამოსული ცრემლების წვეთით,  
გულს მივაბნეო ოქროს ფერი პატარა ღილი.

არ მოგეწონა? ხელთავიდან მოდი დამხატე,  
ისე რომ სახეს არ დაეტყოს სევდა და დარდი,  
რა? განა მართლა უდარდელი ვიყავი დღემდის?  
ვირგებლი ნიღაბს... გარეგნულად ასეთი ვჩანდი.

ლექსად მხატვადი, თუმც მხატვარი შენ არ ყოფილხარ,  
მგონია მოხვალ, მოლოდინმაც როგორ დამდალა...  
მეგონა სკამზე წუთიერად ჩამოვისვენე...  
დრო გამეპარა... ღმერთო, როგორ მაღე დაღამდა!..



ჯამბარ უთრუთაშვილი

\* \* \*

გინახავთ ქვევრის ღვინო კახური,  
წინწკლებს რომ ისერის ოდნავ მომწკლარტოს;  
ხირსის, ენამთის ყურძნის ნაწური,  
მისი სურნელი დაგატრობს მარტო.  
ენამჭვერობა გხიბლავს თამადის,  
ყველი თუშური და თონის პური,  
სვავ, არ ითვრები, იტყვი — რა მამდის?!  
სისხლი იყივლებს მამა-პაპური.  
ჟრჟოლისმოგვერული ლექსი-შაირი  
და ოხუნჯობა ძმური, უხინჯო,  
საჭმელ-სასმელი ათასნაირი;  
გსურს გემო მაინც რომ გაუსინჯო.  
ჰა, მასპინძელიც ქცეულა თაფლად,  
მიაქვს და მოაქვს ხელადა სველი,

ქართული მიწის მადლს იგრძნობ მძაფრად  
და გიხარია, რომ ხარ ქართველი.

\* \* \*

ლექსო, იმედით შენ მავსებ,  
მიქარვებ დარდს და იარებს,  
ვით მოძღვარს ძე შეცდენილი  
ცოდვებსაც შენ გიხიარებ.  
შენა ხარ ჩემი ნუგეში,  
გული შენ გამიქვიტიკირე,  
ვით ბაღღმა დედის უბეში,  
მეც შენთან ბევრჯერ ვიტირე.  
რითმით რომ გაგალამაზებ,  
სული სიამით ბრწყინდება,  
შენთან ყოფნა და ალერსი  
ძილშიაც არა მწყინდება.

\* \* \*

გული ლექსითაც ვერ დავიაბე,  
მუხასთან დევნაც ყოფილა ყალბი,  
ნუთუ ღმერთს ვკადრე მე ავი რამე?!  
მისი მადლი რომ ჩემგან შორს გარბის.  
იქნება მუხაც ევას მსგავსია,  
ანდა სატანის ხრიკი და მახე,  
ჩემი სული რომ დაუთარსია,  
ლექსის წერით რომ კარგი ვერ ვნახე.  
ახალ გზის დაქნა აღარ შემეფერის,  
ისევ მუხის გზით უნდა ვიარო,


რითი სულდგმულობს გული ბებერი,  
მინდა ლექსს მაინც გაუუხიარო.

\* \* \*

მუხაც აღარ მეკარება,  
აიცრუა ჩემზე გული,  
ხმალ-კალამი მეუხანგება,  
უქმად სხვენში შენახული.  
იქნებ მუხა მით არ მწყალობს,  
ყამი რომ გვაქვს სიბერისა,  
ძველებურად რომ ვერ მძღავრობს  
ჯიმ-ჯილაგი იბერისა.  
იქნებ მიტომ დამეკარგა,  
ხალისი და აღმაფრენა,  
რომ წავბილწეთ და გავსვარეთ  
ღვთის რწმენა და დედა ენა.  
რაც გინდ მწარე დრო დამიდგეს,  
მე სიცოცხლე არ მწყინდება,  
ღმერთო, გვედრი, მომასწარი  
საქართველოს გაბრწყინება.

\* \* \*

თუ შეეხება შენს ლექსს სხვის ხელი,  
დაგეკარგება განცდა ნეტარი,  
გულიც, სიცოცხლის სათნო მრიცხველი,  
აგტიკვა თითქოს გჩხვლეთდეს ეკალი  
და ხალხის ქებას ანდა ძაგებას  
უცხო კაცობით ისმენ ატორი,  
სულსაც წარუშლელ ლაქად აჩნდება,  
ლექსში შეჭრილი, ყალბი, სხვა ტონი.



### ვლადიმერ გიორგაძე

გაუმარჯოს ფიროსმანის ფიალას

წარწერა ფიალაზე:

„ღმერთმა გაუმარჯოს პურმარილიან კაცსა  
ნიკო ფიროსმანაშვილსა.“

გალაკტიონმა ამ ფიალას შიგნიდან

პატარა ლექსი წააწერა:

„აიტაცე ფიროსმანის ფიალა,

აადვინდი ათეთრებულ ღრუბლებს.“

გ. ტაბიძე.

ყოველდღიური გაზეთი „ახალი თაობა“,

ორშ., 4 მარტი, 2013 წ.

გაუმარჯოს ფიროსმანის ფიალას,  
მისით მსურდა სუფრაზე მეტრფიალა,  
ნიკოს ხიბლმა გალაშიაც იალა,  
შემაჟრჟოლა, ღრუბლებს ამაფრიალა.

მომეწყურა ღვინის სმა იმ ფიალით,  
მეგობრებთან მამულში ხეტიალი.  
აიტაცე ფიროსმანის ფიალა,  
ამამღერა საქართველოს ტრფიალით.

ერთადერთმა ფიროსმანის ფიალამ,  
ვით ტოროლა, ცაში ამაწკრიალა,  
ერთად შერწყმამ ხელოვანთა მუზისა  
გამაოგნა, ცამდე შემაფრთხილა,

ტოლუმბაშო, მომე ნიკოს ფიალა,  
მინდა, მამულს ფიალით ვეტრფიალო.

**მე მდინარე ვარ...**

მივედინები ჩემი ხმაურით.  
მე სიზმრებისთვის სადა მცალია,  
წერენ სიზმრებით რომანებს, ზღაპრებს,  
მე კი ცხოვრებას ვირჩევ ალიანს.

ვარ ნაკადული, ვარ მე მდინარე,  
ოცნებებიდან გამომდინარე.  
მერე ზღვის ტალღებს შევეურთდები,  
გავძლიერდები პირმომცინარე.

რამდენჯერაც სურთ მსვარონ ტალახით,  
მდინარე ვარ და დავილექები.  
არასდროს არსად არ შევჩერდები,  
ვერც დაემუნჯდები, სხვების შეხებით.

უნდა ვივინო შეუჩერებლად,  
არ მომეკაროს არსაით ხავსი.  
მე ჩემი კვალი უნდა დაეტოვო,  
ისე რომ ვიყო არავის მსგავსი.

**ვარ გავაძრავი...**

ვერ გავექცევი წლების ქარავანს,  
ჩემი მგზავრობით გადავიღლები,  
ქარი გამშოლტავს როგორც ბარაბანს,  
ილიდგულებენ მწარედ ნისლები.

მუზას კალამი შემოუცვდება,  
ვერ ვიამაყებ ჩემი უფლებით,  
პატარა გულიც გამიცოცხდება,  
მაშინ სიკვდილო დამეუფლები.

განსჯის საგანი გავხდები მერე,  
ზოგი კარგს იტყვის და ზოგი — აუსა.  
ჩემო ლექსებო, მაშინ მიმდერეთ,  
მე იქ გავიგებ თქვენს ტკბილსა ხმასა.

**ზურაბ ქობალია**

**გავაერთგულვალამაზოთ**

მე მინდა და შენ გინდა და  
მას უნდა და ჩვენ გვინდა,  
ეს სამყარო ისეთია,  
ჯერარც, რომ არ შეებნდა!  
თქვენც გინდათ და მათაც უნდათ,  
სიტყვა გვეთქმის ქართულად,  
მეგრულ-ლაზურ ოდაბადე  
კაბადონად ჩართულა.  
ეს სამშობლო გვინდა ჩვენი,  
მე მინდა და შენ გინდა,  
გავაერთგულვალამაზოთ  
და დაუდგეთ შევირდად.  
მაინც ვფიქრობ, სიყვარულით  
გადგვარჩენს მზე შინა,  
ისე უნდა ვალამაზოთ,  
მე რომ მინდა, შენ გინდა.

**სხვა ნეტარება**

სიყვარულისთვის კაცი დასაჯო,  
ვის გაუგია ან სად?  
ერთი მითხარი, ვის რა ვასწავლო,  
აღარ დავდივარ არსად.  
ღალატისათვის არვინ ისჯება,  
სიყვარულისთვის — ყველა.



თუმცა ჭკუაში არ დაგიჯდება,  
მაგრამ მე მაინც მე ვარ.  
კაცობრიობა სამყაროს ვერ ცვლის,  
მაგრამ პირიქით ხდება,  
სიყვარულისთვის მრავალჯერ დასჯილს  
მუდამ თან დასდევს სევდა.  
ღალატისათვის წახლისებულთ  
რა ენადვლებათ, ნეტა,  
ამქვეყნიური ყველა სიკეთით  
ისარგებლებენ მეტად.  
მაგრამ არსებობს სხვა ნეტარება,  
სხვა სამართალი კიდევ,  
ცოდვა და მადლი რომ იწონება,  
მე იმ სამართალს მივდეგ.

**დუმილი ოქროს**

დუმილი თუ ოქრო არის,  
 საუბარი — ვერცხლი,  
 სიმართლე თუ სიცრუეს ჰგავს,  
 გაუჩნდება ცეცხლი.  
 დიდი ზღვარი უნდა იდოს  
 ავს და იმ კარგს შორის,  
 როგორც ვიცი, ვერცხლს ხომ ოქრო  
 უფრო გადაწონის...  
 ახლა სიზმრეთს ვესტუმრე და  
 ბევრი აზრი მომდის,  
 უნდა მიხვდე, როდის თქვა და

ან დადუმდე როდის.  
 სიყვარულის ახსნაც ხომ კი  
 შეუძლია დუმილს,  
 თუ დარეკავ და იმ მხარეს  
 ის აიღებს ყურმილს.  
 სულ არ გინდა არაფრის თქმა,  
 იგრძნობს ოქროს — დუმილს.  
 ვერცხლი ანუ ზედმეტი თქმა  
 მას გაგიხდის გულგრილს.  
 ამიტომაც ვირჩევ ოქროს,  
 ანუ იგივე დუმილს.  
 ვერცხლი არა, არ მჭირდება,  
 ვერ მისრულებს სურვილს.

**ზურაბ მამულაშვილი**

**ისევ გვეძახის დიდგორი**

ისევ გვეძახის დიდგორი,  
 ისევ გვეძახის მარაბდა,  
 ეს დიდი რწმენა რომ არა  
 ვერავინ დაგვიფარავდა.

ის საშინელი ამბები  
 მეგონა წარსულს ჩაბარდა,  
 ამდენი უსამართლობა  
 ბოლოსდაბოლოს დამთავრდა.

თურმე არ სძინავს ვერაგ მტერს  
 მოქმედებს თავისუფლად,  
 ჩვენი ძირძველი მიწები  
 თავისკენ მიაქვს ურცხვად.

გამოიღვიძეთ, ქართველნო,  
 გადავარჩინოთ მამული,  
 უსპეტაკესი ღვთისმშობლის  
 სიწმინდით გადანამული.

არ მიაჩნიათ არაფრად,  
 ჩვენი სიმართლე ამგვარი,  
 უნდა ვიბრძოლოთ, მა, რა ვქნათ,  
 რაღა გვაქვს დასაკარგავი.

ისევ გვეძახის დიდგორი,  
 ისევ გვეძახის მარაბდა,  
 ეს ჩვენი რწმენა რომ არა  
 ვერავინ დაგვიფარავდა.

**რწმენა, დიდისნის დავინწყებულო**

ცამდე აზიდულს და უსასრულოს,  
 როგორ გიხდება მკვრივი გუმბათი.



მე რომ შემეძლოს, მთელ საქართველოს  
 მზის შარავანდით გადავხურავდი.

და ჩამოვრეკდი ყველა სამრეკლოს,  
 მიძინებულ მთებს სულს ჩაუდგამდი,  
 მტერსა და ორგულს უნდა გაეგო,  
 რა საოცარი რწმენით ვსუნთქავდი.

ო, წმინდა ჯვარო, გუმბათზე მდგარო,  
 მუხლმოდრეკილი გვედრი მავანი,  
 მხოლოდ შენ უწყვი ქართველი ერის  
 დიდი წარსულიც და მომავალიც.

დაგვიმწყალობე, ყოველი მართვე,  
 გაგვიმთლიანე დაჭრილი გული  
 და დაუბრუნე თვითველ ქართველს,  
 რწმენა, დიდი ხნის დავიწყებული.



# თამარ ნასრაშვილი

## დავხატავდი

დავხატავდი ლერწმის კვილს...  
 თუთის ჩრდილის მაგვარ სევდას...  
 იმ წუხილს და იმ ღრმა ტკივილს,  
 სულ რომ... სულ რომ თან დამსდევდა.  
 იმ სიყვარულს დავხატავდი...  
 გულმოსული ცხენის ჭიხინს...  
 მე, რომ ჩემს თავს არა ვგაგდი...  
 მე, რომ დავიწყებაც მიჭირს...  
 ასე... ერთი ხელის მოსმით  
 დავხატავდი ქარს და გრიგალს...  
 რა მომქონდა ჩემი მოსვლით?..  
 —ის, რაც მწამს და ასე მიყვარს...  
 თვითონ მხატვარს ერთი პეშვით  
 გულის დარდი დაეღწეა...  
 დაეძებდა უღრან ტყეში  
 ლერწამს... ოღონდ მართლა ლერწამს.

## ამჯერად...

ვასათაურებ სიზმრებს ამჯერად...  
 ვაშრობ სათუთად ხელისგულებით.  
 შენი ნახვის თუ მხოლოდ აქ მჯერა...  
 ამ სიზმარს ჰქვია: „აქ მეგულები.“  
 ამას დავარქვი „შენიღბულები“...  
 და მზის ნაჭუჭი თავზე მაცვიფა...  
 ცხვირს ვიმტვრევ ხშირად უკან ყურებით...  
 სიზმარში წვიმს და ვიცმევ საწვიმარს.  
 ო, როგორ დათბა ჩემს ზარდახშაში...  
 ამ სიზმარს ჰქვია „მცდელობა დიდი.“  
 უკვე გზაში ვარ... გზაში ვარ... გზაში...  
 ვარ უჩვეულოდ ჩუმი და მშვიდი...  
 გამომეღვიძა გულდაწყვეტილი...  
 ანგელოზებმა გამომაცილეს...  
 ამ სიზმარს ჰქვია: „სამი წერტილი.“  
 სარკესთან ვდგავარ, ოღნავ მამცივნებს...  
 ...  
 ერთხელ, ორჯერ და უკვე სამჯერაც...  
 ვასათაურებ სიზმრებს ამჯერად.

## „დავტოვებ თებეს“

აწყვეტილი ვარ სიმი გიტარის...  
 არ გამოვდექი, არც, საქდარუნოდ...  
 ნუ იტყვი... გული მაინც მიხარის,  
 ჩემთვის ვქანაობ... რენო-რანუნო...  
 ნუ მკითხავთ ვინ ვარ?.. მოსულს სიზმრიდან...  
 ან აქ რა მინდა, რა მაქვს მისია?



რატომ მეგონა ვინმე მიცდიდა...  
 ან ეს გზა ახლა რის მაქნისია?!  
 მე დავიამე ყოფის ტკივილი.  
 და სიმსუბუქე აუტანელი...  
 დავიარები უძღები შვილი  
 და გზის მკვლევარად დამაქვს „გრანელი.“  
 ალბათ ამიტომ დავალ მწუხარე...  
 დავალ არ ეთქმის, ვინც მუდამ ეძებს...  
 თუმცა თვალები ვერ დავითხარე...  
 აუცილებლად დავტოვებ თებეს...

\* \* \*

ტკბილო უფალო,  
 მამყოფე შენთან!  
 მე ის ცნობილი ავაზაკი ვარ  
 ჯვარზე გაკრული...  
 ორივე ხელს შენსკენ  
 რომ იწვიდის...

## სალვთო სიმთვრალეში

მხოლოს სიყვარული მოსჩანს  
 ამ თაღის იქეთ და აქეთ...  
 თითქოს ყველაფერი მორჩა,  
 ალბათ, ყველაფერი ვნახეთ.  
 ამ ბილიკს ხომ გავცდი მარა,  
 იმ ბილიკს არ უჩანს ბოლო...  
 აქ სიკამუკამა მარად...  
 აქ სიყვარულია მხოლოდ.  
 ვუაღს მოვაშორე სახე...  
 აღარ დამჭირდება ფრთები...  
 აქ თუ ყველაფერი ვნახე,  
 სალვთო სიმთვრალეში ვრჩები.

# ზურაბ ხუბიაშვილი

## ვასილ ზარნოვის მითოსური გააზრებანი

ქართული მითოლოგია ხალხური ზეპირსიტყვიერების უადრინდელესი საფეხურია

წარმართობის დროს მრავალმერთიანობა გარესამყაროსადმი მხოლოდ რელიგიური რწმენის გამოხატულება არ იყო. შხის, მთვარის, ვარსკვლავებისა თუ სხვა ასტრალურ სხეულთა და ბუნების ძალთა გაღმერთებას თან სდევდა შემოქმედებითი, მხატვრული აზროვნების ჩამოყალიბება-განვითარება, რაც გამოინახებოდა შესაბამისი მითების, თქმულებების, ლეგენდების, საგმირო ლირიკისა და ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრთა ნიმუშების შექმნით.

უძველესი ხანიდანვე ქართულ ლიტერატურულ(მათ შორის, ნათარგმნ) ძეგლებში მეტ-ნაკლებად ასახვას პპოვებდა ზეპირსიტყვიერების მითოსური ტრადიციები, მითოლოგიური პასაჟები და ცნობები ცალკეულ ღვთაებათა შესახებ.

მართალია, ბერძნულ-რომაული მითოლოგიისგან განსხვავებით, ქართულ ენაზე არ შემონახულა წერილობითი სახით ლეგენდებისა და მითების ისეთი კრებული, როგორც ეს, მაგალითად, არის ბერძნულ ენაზე(ან ვერ მოაღწია ჩვენამდე მან), სამაგიეროდ, ქართული ფოლკლორი, ხალხური ზეპირსიტყვიერება მწერლობის მითოსურ-სახეობრივი აზროვნებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მკვებავი წყარო აღმოჩნდა. განსაკუთრებით თვალსაჩინო შეიქმნა ეს მას შემდეგ, რაც ქართულ ისტორიულ რომანს ჩაეყარა საფუძველი.

დღეისათვის, შედარებით გავრცელებული აზრით, ასეთ პერიოდად ითვლება XX საუკუნის დასაბამი, ხოლო ვასილ ზარნოვი(1856-1934წწ.) ამ ჟანრის დამამკვიდრებლად ქართულ მწერლობაში.

თუმცა ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ვ. ზარნოვის შემოქმედება თავისი იდეურ-თემატური ასპექტებით უდაოდ ღრმა და მრავლისმომცველია, ვიდრე ეს ისტორიული რომანებისთვის, როგორც ჟანრისთვისაა, დამახასიათებელი.

მკვლევარები, როდესაც ეხებიან მწერლის შემოქმედებას, გამოყოფენ ერთ მნიშვნელოვან მხარეს მისი მხატვრულ-შემოქმედებითი აზროვნებისას. ესაა მწერლის ბელეტრისტულ მაღალმხატვრულობასთან ერთად, ნაწარმოებთა იდეური სიღრმე და გარესამყაროსადმი ის მთლიანი კონცეფცია, ღრმა ფილოსოფიური ხედვა, რომელიც ადამიანის არსის, მისი რაობის, პიროვნების საზოგადოებრივი მისიის, არსებული და ირეალური სამყაროს ღვთაებრივი საწყისისადმი დამოკიდებულების პრობლემებს ეხება. მართლაც, ვ. ზარნოვი არაა ისეთი შემოქმედი, ისტორიული ქრონიკების გადმოცემას, ისტორიული მოვლენებისა თუ ფაქტების ასახვას რომ ახდენდეს მხოლოდ, თუნდაც მაღალი მხატვრული ფორმით; ვ. ზარნოვი მათი აღწერისას წარმოგვიდგება, ამავე დროს, როგორც მწერალი-მოაზროვნე, მწერალი-ანალიტიკოსი, კომენტატორი, რომელიც სიღრმისეულად, მთელი სიგრძე-სიგანით ხედავს



კონკრეტულ პრობლემას, რაზეც იგი წერს და ნაწარმოების დასასრულს ვგრძნობთ, რომ მასში მოცემულია ამ პრობლემის განზოგადებული შეფასება. გ. ქიქოძე 1912 წელს ამასთან დაკავშირებით შემდეგს წერდა: „ის(მწერალი-ზ.კ.) ხშირად უბრალო სიტყვებით უბრალო ამბებს მოგვითხრობს, მაგრამ ამ სიმარტივეში მსოფლიო არსებობის ამოცანებს გვაგრძნობინებს. ბარნოვიც სწორედ ასეთ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის“-ო.

ვ. ზარნოვის შემოქმედების პირველწყაროა ქართული სინამდვილე. ისტორიული თემატიკის ამსახველ თხზულებებში, — რომანებსა თუ ცალკეულ მოთხრობებში, — ჩვენ ვგრძნობთ იმ ეპოქის სუნთქვას, რომელსაც ეხება მწერალი და რომელიც ასულდგმულებს მთლიანად პერსონაჟთა მოქმედებას, მათ არსებობას და ქცევათა მოტივაციას, თხზულებაში განვითარებულ მოვლენებს კი დამაჯერებლობას ანიჭებს. მწერალი იმდენად ღრმად იცნობს საქართველოს ისტორიას, იმ კონკრეტულ მოვლენას ან ფაქტს, რომელზედაც გვესაუბრება, რომ, მიუხედავად ავტორისეული გამონაგონისა, რაც მოსალოდნელია ხოლმე ისტორიული ჟანრის მხატვრულ ნაწარმოებებში, ჩვენ ამა თუ იმ ეპოქის რაობის ანდა მათი მნიშვნელობის შემეცნების საშუალებაც გვეძლევა. ასეთია ის ნაწარმოებებიც, რომლებშიც ავტორს ასახული ჰყავს ქართული მითოლოგიური პერსონაჟები და გამოყენებული აქვს მათ გარშემო არსებული მითები და გადმოცემები. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა რომანი „არმაზის მსხვერვა“(1925წ.). მასში საქართველოს გაქრისტიანების ამსახველ მოვლენათა გვერდით შეტანილია მითოსური პასაჟები და ქართული მითოლოგიური წარმოდგენათა ის გარკვეული ციკლი, რომელიც უძველეს ქართულ წარმართულ ხანას ეხება.

ვიდრე მათ შესახებ მსჯელობას შევუდგებოდეთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვ. ზარნოვის შემოქმედებაში ქართული მითოსური ასპექტების გამოყენება შემთხვევით არ მომხ-

დარა. როგორც ჩანს, იგი საკმაოდ კარგად იცნობდა ქართული ხალხის მითოლოგიურ წარმოდგენებს(მის დროს არსებული მასალების მიხედვით). მან 1919 წელს გამოაქვეყნა „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები“, რომელშიც ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი დათმობილი აქვს ქართული მითოლოგიის საკითხებს; ამავე დროს, მასში ავტორის მიერ ჩამოყალიბებულია შეხედულებები ქართული მითოსის, კოსმოგონიისა და მითოლოგიურ პერსონაჟთა შესახებ, გამოთქმულია ზოგი, მეცნიერებისათვის ამჯერადაც საინტერესო, თვალსაზრისი მითოლოგიის გარშემო. ვ.ბარნოვი ზეპირსიტყვიერების ამა თუ იმ საკითხის სწავლებას ყურადღებას უთმობდა სემინარიასა და სხვა სასწავლებლებში პედაგოგიური მოღვაწეობისას, მსჯელობდა მათზე პერიოდულ პრესაში(„მწვემი“, „დროება“, „განათლება“ და სხვ.).

ვ. ბარნოვი ქართულ მითოლოგიურ მასალებს, — მითებს, ლეგენდებს, თქმულებებს, გადმოცემებს, — სიყრმიდანვე ეზიარა, იმ დროიდან, როდესაც მისი მამა ზაქარია ბარნაველი გამწესებული იყო მღვდლად ხევსურეთში, შემდეგ კი ერწოში, ტოლათ-სოფელში, სადაც იმყოფებოდა მისი ოჯახიც და პატარა ვასილი იქაურ თანატოლებსა და ადგილობრივ მკვიდრთაგან ისმენდა გადმოცემებს კოპალას, იახსარის, პირქუშის, მინდვრის მეუფისა და დედოფლის, აგრეთვე სხვა მითოსურ პერსონაჟთა თუ ღვთისმშვილთა შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვასილ ბარნოვს ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში წერა-კითხვა დაუწვია ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით. მისი დედა, მაია სამსონის ასული იაშვილი, წარმოშობით ქიზიყიდან იყო, ბუნებრივ სილამაზესთან ერთად, იგი თავისი დროისათვის საკმაოდ განსწავლული ქალბატონი ყოფილა, კარგად სცოდნია ქართული ლიტერატურა და საქართველოს ისტორია, ხშირად კითხულობდა „ქართლის ცხოვრებას“ და ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, დაუფლებული იყო, აგრეთვე, კარგად რუსულ ენას და თარგმნიდა კიდევ რუსულიდან; მასვე შეუდგენია ქართული ენის სახელმძღვანელო. დედამ შეასწავლა პატარა ვასილს, ისევე როგორც სხვა შვილებს, ქართული და რუსული წერა-კითხვა, შეაყვარა ქართული ლიტერატურა. ამდენად, ბარნოვის ოჯახში მისი ყრმობის პერიოდიდანვე გარკვეული ინტელექტუალური ატმოსფერო იყო შექმნილი.

ვასილის მამას, ზაქარიას, ხშირად მძიმე პირობებში უხდებოდა საეკლესიო მოღვაწეობა იქაური ხატის დეკანოზის დაპირისპირების გამო, ზოგჯერ უსიამოვნებაც შეხვედრია მასთან ურთიერთობისას, მაგრამ ჯერ კიდევ ყრმა ვასილს ღრმად ებეჭდებოდა გონებაში მითოსურ(ზოგადი და სათემო) პერსონაჟთა სახეები და ზოგიერთმა განსახიერებაც ჰპოვა მის შემდეგდროინდელ რომანებში.

უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს საკითხთან დაკავშირებით ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმულია ზოგი საგულისხმო მოსაზრება ვ.ბარნოვის პროზაში მითოლოგიური ასპექტებისა და მითოსისადმი მწერლის დამოკიდებულების შესახებ (მ. ჩიქოვანი, შ. რადიანი, ვ. ცისკარიძე, ნ. მახათაძე და ა.შ.), მაგრამ, სამწუხაროდ, ქართული მითოსური აზროვნებისა თუ მწერლის მიერ მხატვრულ პროზაში მითოლოგიურ სახეთა ან პერსონაჟთა ასახვის თვალსაზრისით, აგრეთვე, ამ სახეთა იდენტიფიკაციის

პრობლემებთან დაკავშირებით ბარნოვის შემოქმედება ჯერაც შეუსწავლელია. თუმცა ეს არ ითქმის მისი შემოქმედების სხვა ძირითად თემატურ მხარეთაგან უმეტეს ნაწილზე, რომელიც შედარებით უკეთაა დამუშავებული და გამოთქმულია საგულისხმო მოსაზრებებიც(გ. ქიქოძე, შ. რადიანი, გ. ლეონიძე, ს. ჭილაია, ა. გაწერელია, ვ. ცისკარიძე და სხვ.).

\* \* \*

ვ.ბარნოვი თავის გამოქვეყნებულ შრომაში(„ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები“, 1919წ.), მსჯელობს რა მითოლოგიის შესახებ, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორიას ყოფს სამ მთავარ პერიოდად: მითური, ბუმბერაზული და ისტორიული. ვ. ბარნოვს აინტერესებს მითოლოგიის დასაბამის საკითხი, მითოსის საზოგადოებრივ-ყოფითი მნიშვნელობა.

„ადამიანი ამ თავითვე სცდილობს, — წერს იგი,— შეიგნოს შეძლებისამებრ ყოველივე, განმარტოს იგი, თავისებურად დაასახულოს... ადამიანმა მაშინაც იცის... რომ ყოველივე მოძრაობა იგულისხმებს მოქმედ პიროვნებას და მის ნებისყოფას. ამის გამო სტიქიურ ძალთა მოქმედების მიზუნადაც სახავს ისეთსავე პიროვნებებს, რომლებიც, როგორც თითონ, შემკულნი არიან ცნობიერებით, გრძნობებით და ნებისყოფით“. როგორც მწერლის ამ სიტყვებიდან ჩანს, მისთვის მთავარია „მოქმედი პიროვნება“, მოაზროვნე ადამიანი, რომელიც იძიებს ზებუნებრივში ცნობიერებითა და გრძნობებით თავისივე მსგავსთ, ზოლო თუ რა განხვავებაა ადამიანსა და ამ სტიქიურ „ძალთა მამოძრავებელთ“ შორის, ვ. ბარნოვი იმაში ხედავს, რომ „ეს არსებანი იმდენად აღემატებიან ძლიერებით და სიდიდით მის საკუთარს პიროვნებას, რამდენადაც მძლავრი მოქმედებანი ბუნებისა აღემატებიან მის საკუთარ ძალებს და უნარს მოქმედებისას“.

აღნიშნული თემის ამგვარად განხილვა მწერალს აყენებს რეალისტურ პოზიციაზე: ვ. ბარნოვი ამ შემთხვევაში არა თეოლოგიური, არამედ მეცნიერული თვალსაზრისით სჭვრეტს ადამიანის მიერ თეოგონიის ისეთი კარდინალური საკითხის გადაწყვეტას, როგორიცაა ადამიანისა და მის მიერ „ასახული“ (გამოგონილი) „პიროვნებების“, ანუ ღვთაებათა ბუნებრივი ურთიერთობა და ერთმანეთთან დამოკიდებულება. როგორია ეს „ახალი“ პიროვნება ან მის მიერ ზებუნებრივი ძალების მქონედ დასახული ღვთაებანი? მწერლის დასკვნით, ეს ღვთაებანი, ერთი მხრივ, თუ ადამიანთა ბევრი თვისების მატარებელნი არიან, მეორე მხრივ განსხვავდებიან კიდევ მათგან ფიზიკური სიძლიერით და სიდიდით, რაც შედარებულია ბუნების სტიქიურ ძალებთან, რომლებთანაც ადამიანს გამკლავება არ შეუძლია.

მწერალი აგრძელებს მსჯელობას იმის თაობაზე, თუ სად აისახა, რაში გამოვლინდა ამ მითოსური პიროვნებების, ღვთაებათა კონკრეტული მოღვაწეობა, ერთმანეთთან დამოკიდებულებისა და ადამიანებთან ურთიერთობის ამსახველი ამბები. ამის შესახებ ვ. ბარნოვი წერს: „აღწერა ამ ღმერთების ცხოვრებისა და მოღვაწეობისა, მათი დამოკიდებულებისა ერთმანეთში და კაცთა ნათესავთან შეადგენს შინაარს მითიურის თქმულებებისას“. ამ თეზას მოსდევს მწერლის მიერ მითოლოგიის, როგორც სპეციალ-

ური დარგის, განსაზღვრებაც: „მითოლოგია არის ღმერთთა და მათის ცხოვრების მხატვრულად აღწერა ხალხის მიერ“. ამ განსაზღვრებაში, სხვათა შორის, ნათლადა გამოკვეთილი ზეპირსიტყვიერების ის ფუნდამენტური პრიციპი, რომ მითური თავგადასავლების, თქმულებების, ლეგენდების, მითოსური საზღაპრო ეპოსის და ამავე დარგის ლირიკული შედევრების უშუალო შემქმნელ-შემოქმედი, პირველ რიგში, ხალხია, რომელიც მხატვრულ ფერებში აღწერს მათ. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ მითოლოგიის ეს განსაზღვრება იმ დროს ეკუთვნის, როდესაც ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია ჯერ კიდევ გაუბედავ ნაბიჯებს დგამდა და შესაბამისი სპეციალური სახელმძღვანელოც არ არსებობდა. ამიტომაც დღეს ვერ უხვევს გვერდს ქართული ფოლკლორის ისტორია იმ წვლილს, რომელიც ვ. ბარნოვს მიუძღვის ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების შესწავლის საქმეში.

საჭურნალო წერილის სპეციფიკურობა არ იძლევა საშუალებას ვ. ბარნოვის ზემოხსენებული ამ უდაოდ საინტერესო ნაშრომის უფრო ვრცელი მიმოხილვა შევთავაზოთ მკითხველს, თუმცა მხოლოდ აღვნიშნავთ დამატებით მის ძირითად მკაფიო ღირსებებს ქართული მითოლოგიის უადრინდელესი ხანის არაერთი მწვავე, პრობლემატური საკითხების გაშუქების თვალსაზრისით. ვ. ბარნოვი როდი წყვეტს ღვთაებებს ხალხისაგან, პირიქით, შემდგომ ხანაში, — გვეუბნება მწერალი, — ხალხი უფრო „ცნობიერად და დინჯად“ შეისწავლის და აკვირდება ბუნებას, მართალია, ისევ აღმერთებს ბუნების ძალებს, მაგრამ ეს უკანასკნელნი ადამიანის ცნობიერებაში ჰკარგავენ „შემადრწუნებელ და ფრიალ საოცარ სახეებს“, უფრო ადამიანური ხდებიან და იქცევიან „ღმერთ-კაცებად“, მათ ისევ შენარჩუნებულ სასწაულებრივ ქმედებებს „დაერთვის უბრალო თვისებებიც“.

ღვთაებათა ამ სულიერ-ადამიანურ ტრანსფორმაციას ვ. ბარნოვი განიხილავს ქართულ წარმართულ ღვთაებათა გრადაციის შუქზე; მისი აზრით, ქართველები უძველეს ხანაში თავყანს სცემდნენ „ნათელს დაუსაბამოს“, რაც მწერალს ქართველთა თავდაპირველ რელიგიად მიაჩნდა. იგი თანმიმდევრულად ჩამოთვლის კიდევ წარმართობის დროის „ნათელთა შესაკრებლების“ ღვთაებებს, რომელთა შორის უმთავრესია მთვარე — „მფარველი საქართველოსი“ (განასახიერებდა მამრობით სქესს) და რომელსაც ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ ხანაში ჩაენაცვლა წმ. გიორგი.

მეორე ღვთაება იყო მზე(მდედრობითი სქესის განმასახიერებელი, „ღვთაება-ქალი“). ივენენ, ასევე, ანატორი, ქალ-ღმერთი დალი ოქროსთმიანი და სხვა. უცხოური კულტებიდან კი საქართველოში ცნობილი იყო: არმაზი, ზადენი, გაცი, აინანი, დანანი, ითრუჯანი და ა.შ.

ერთი სიტყვით, ვ. ბარნოვისთვის ქართული წარმართული პანთეონი ცნობილია, ერთი მხრივ, ზეპირგადმოცემათა გზით, მეორე მხრივ, წერილობითი წყაროების საფუძველზე. ნიშანდობლივია, რომ თეოგონიურ ღვთაებათა ტრანსფორმაცია ძირითადად ემთხვევა მსოფლიო მითოლოგიურ-რელიგიურ წარმოდგენებს ქრისტიანობამდელ ხანამდე ამ რელიგიურ ღვთაებათა საფუძვრებრივი თანმიმდევრობის შესახებ. კერძოდ, უძველესი ქართველი ადამიანისთვის უმთავრესი იყო შემოქმედი ღმერთი, ანუ ვ. ბარნოვის სიტყვით,

„ნათელი დაუსაბამო“, ხოლო შემდგომ დროს მრავალი ღმერთის თავყანისცემა.

საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელ საფეხურზე ქართველთა უზენაეს ღმერთად მთვარის აღიარებისა და მისი წმ. გიორგით ჩანაცვლების, აგრეთვე, ქართულ წარმართულ ღვთაებათა შესახებ მსჯელობისას ვ. ბარნოვს უნდა ესარგებლა, ამავე დროს, აკად. ივ. ჯავახიშვილის ცნობილი გამოკვლევი („ქართველების წარმართობა“), რომელიც ჩართულია მისი „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ ტომში.

ვ. ბარნოვის აზრით, საქართველოში კერპთაყვანისმცემლობა გავრცელდა სირიიდან. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ითქვა, მწერალი ზეპირსიტყვიერი თუ წერილობითი მასალებით კარგად იცნობდა მისი დროსათვის ცნობილ ძველ ქართულ ღვთაებათა პანთეონს, აუცილებლობად თვლიდა ქართული მითოლოგიის გაღრმავებულ შესწავლას, მითოსურ ღვთაებათა ვინაობის, საკულტო რწმენათა რაობისა და მათი ურთიერთობის უკეთ დადგენას. ამასთან დაკავშირებით იგი სინანულით წერდა:

„არ არის ცნობაში მოყვანილი ქართველთა თქმულებანი ყველა ამ ღმერთებისა (მის შრომაში ჩამოთვლილთაგან-ზ. კ.) და მათ მოღვაწეობის შესახებ. ვერ არის გამოჩვენებული, რა ურთიერთობა იყო ჩვენ ძირითად რჯულსა, ე.ი.ნათელის თავყანისმცემლობასა და ამ ძირითად კერპთაყვანისმცემლობას შორის, ან რა სახით დაუკავშირდნენ თქმულებანი ნათელ ღმერთთა შესახებ თქმულებებს კერპთა შესახებ“. ვ. ბარნოვს უეჭვოდ მიაჩნდა, რომ „უნდა კი ყოფილიყო ქართული თეოგონიაც, — მეცნიერება ღმერთთა წარმოშობაზე და კოსმოგონიაც, სწავლა ღმერთთაგან ქვეყნიერების შექმნაზე“ და ბოლოს შენიშნავდა: „ქართველნი(ქალდნი) ძველის-ძველად განთქმული ხალხია, რომელსაც იმ თავითვე ბრწყინვალედ ჰქონდა შემუშავებული თვისი რელიგია, სარწმუნოება“(თხზ.ტ.10,გვ.182).

ვ. ბარნოვი, როდესაც ამ სიტყვებს წერდა(1919 წ.), იმ დროისათვის უკვე არსებობდა ივ.ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი და მეორე გამოცემა(1908 წ. და 1913 წ.), რომლებშიც, ცნობილია, რომ გარკვეული ადგილი დათმობილი აქვს ქართველთა წარმართობის შესწავლა-დახასიათებას. როგორც დავრწმუნდით, ვ. ბარნოვი იცნობდა მეცნიერის ამ წიგნს და, შესაბამისად, მის აღნიშნულ ნარკვევს. გარდა ამისა, მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო აგრეთვე აღ. ხახანაშვილის 1904 წელს გამოცემული წიგნი „ქართული სიტყვიერების ისტორია“ (პირველი ტომი), რომელშიც მიმოხილულია ქართული მითოლოგიის საკითხებიც, იმ დროისათვის ასევე გამოქვეყნებულიც იყო ქართული მითური წარმოდგენების ამსახველი გარკვეული ფოლკლორული მასალა და ნაწილობრივ დახასიათებულებიც, მაგრამ ვ. ბარნოვი თუ გამოთქვამდა მაინც სინანულს ქართული მითოლოგიის შესწავლასთან დაკავშირებით, იგი, ჩანს, გულისხმობდა მისი საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლის აუცილებლობას და შესაბამისი ზეპირსიტყვიერი მასალების თავმოყრას და მათ ბეჭდურ გამოცემას. სხვათა შორის, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნეში საგრძნობლად დაგვიანდა და მხოლოდ ძირითადად 40-50-იანი წლებიდან გახდა შესაძლებელი ქართული მითოლოგიის კარდინალური საკითხების მეცნიერული შესწავლის დაწყება, ხოლო გა-

მოცემებს რაც შეეხება, მართალია, გამოქვეყნდა არაერთი უძველესი მითოლოგიური ხასიათის როგორც პროზაული, ისე პოეტური მასალა, მაგრამ ქართული წარმართული მითოლოგიის ბევრი საჭირობოროტო საკითხის შესწავლა ისევ მომავლის საზრუნავ ამოცანად რჩება. ამასთან, გამოცემებს თუკი ავიღებთ, ჩვენ დღემდე არ გავაჩნია ძველი ქართული მითებისა და ლეგენდების ანთოლოგიური გამოცემა, რომელშიც თავს მოიყრიდა ქართველი ხალხის მთელი მითოსური მემკვიდრეობა.

\* \* \*

როგორც ითქვა, ვ. ბარნოვი არ იყო კმაყოფილი იმდროისათვის(1919 წ.) ქართული წარმართული პანთეონის რიგი მნიშვნელოვანი საკითხის ჯეროვნად შეუსწავლელობის გამო.

ამ აზრს ეხმაურება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. მახათაძე, როდესაც წერს: „თავისთავად საინტერესოა ბარნოვის ეს დღევანდელ მეცნიერებაში მიღებული ვარაუდები და ვ. ბარნოვი „არმაზის მსხვერვაში“ თითქოს ხელს ჰკიდებს ამ სიცარიელის ამოვსებას. მაგრამ მას, როგორც ისტორიული რომანების შემქმნელს, ამ შემთხვევაში ხელში აქვს მხოლოდ მემატეიანეებისა და ჰაგიოგრაფის ნახევრადლეგენდური გადმოცემები ქართველთა უძველესი ღმერთებისა და ქრისტიანობის შემოსვლის შესახებ. და, აი, აქ ჩანს სწორედ ჭიდილი შემოქმედსა და ნახევრადცნობილ ან სრულიად უცნობ სინამდვილეს შორის“ („ძველი ქართული მწერლობის ტრადიციები მეოცე საუკუნის ქართულ პროზაში“, თბ., 1980, გვ.24).

ამ სიტყვებით როგორც მკვლევარი შენიშნავს, მწერალი „არმაზის მსხვერვის“ შემქმნისას სარგებლობდა ისტორიული თხზულებებით: მემატეიანეებისა და ჰაგიოგრაფის(იგულისხმება წმ. ნინოს ცხოვრება) ნახევრადლეგენდური გადმოცემებით. რაც შეეხება „სიცარიელის ამოვსებას“, ანუ წარმართული პანთეონის შესახებ მასალის გამოყენების საკითხს, იგი ძირითადად უნდა დაყრდნობოდა ზეპირსიტყვიერ მასალებს და შედარებით ნაკლებად — წერილობითისას. ამაში დასარწმუნებლად, ვინაიდან „არმაზის მსხვერვა“-ში ყველაზე მეტადაა წარმოდგენილი ავტორის მიერ სახე-ღვთაებანი ქართული წარმართული პანთეონიდან, ყურადღებას შევაჩერებთ ამ რომანზე და მათში ასახულ ზოგ მითოსურ პერსონაჟზე. გაირკვა ისიც, რომ მათ შესახებ არსებული ცნობები და გადმოცემათა სისწორე დამატებით კვლევას მოითხოვს, შეუსწავლეღია ზოგი ღვთაება — პერსონაჟის იდენტიფიკაციის საკითხიც.

მხედველობაში გვაქვს ამჯერად „არმაზის მსხვერვის“ შემდეგი ღვთაებანი:

**ჯიშაღის სატი**

ამ ღვთაების შესახებ ცნობები, რომელთაც მწერალი გვთავაზობს, რომანის დასაწყისშივეა: სპარსეთიდან თრიალეთის გზით მცხეთისაკენ მიმავალი მგზავრები შენიშნავენ ერთ-ერთ კონცხზე, კვარცხლბეკზე მდგარი ვაჟკაცის „აღალმას“ (ხატს, კვრპის ქანდაკს). მას შეკვიცილი ფრთები ნაბადოვით ჰქონდა მოსხმული, ირგვლივ მცირე კოშკიანი გალაგანი ერტყა. ეს ნიში აღმოჩნდა ღვთაებისა, რომელ-

საც ქართველთაგან უფროსი ასე მიმართავს: „მადლობა შენდა, სავალთ ბატონო ჯიშაღ ძლიერო! კეთილად გვიძლოდი გზათა ძნელთა, სვლა წარგვიმართე და მშვიდობით დაგვაბრუნე შენნი მონანი. ადგისრულოთ, დიდებულო, ალთქმა ყოველ!“.

მოხუცებული ეთაყვანა მას, ისევე როგორც მგზავრთაგან ყველა ქართველი. იქვე ირკვევა, რომ ჯიშაღ „ძლიერი“ არის „სავალთ უფალი“, „მოგზაურთა მფარველი“, რომელიც, ამავე დროს, განაგებს გზებს; ცნობილი ხდება ისიც, რომ ჯიშაღი „დიდებული დამკვლევია(მოთვალთვალე). ვერაფერი ასცდება მის გამჭრიახ თვალს“; მგზავრებმა ასევე მოშორებით, მთის კალთაზე, შენიშნეს „გელაზებით(ქვის მრგვალი ქვებით) ნაშენი მცირე ყუდე“(ხატი, სალოცავი), იგივე „ყვავის საყდარი“, რომელზეც ღამით გაშლილი ფრთებით გადმოფრენილი ჯიშაღი ისვენებს, „ცეცხლებივით უნათებენ უკუნში თვალნი“.

ასეთია რომანის მიხედვით ჯიშაღის შესახებ ცნობები.

იბადება კითხვა: რა ღვთაებაა ჯიშაღი, რა ფუნქციის მატარებელი იყო იგი?

ჯიშაღის ვინაობის თემას თავდაპირველად შეეხო პოეტი რაფიელ ერისთავი და აღნიშნა, რომ ხვესურები თავყანს სცემდნენ, სხვა ხატებთან ერთად, ჯიშაღის ჯვარს, თუმცა რის ფუნქცია განეკუთვნებოდა მას, პოეტს არ აღუნიშნავს.

აკად. ივ.ჯავახიშვილმა, რომელმაც უფრო ვრცლად განიხილა აღნიშნული საკითხი, მიიჩნია, რომ ჯიშაღი შესაძლოა იყოს კვირის ღვთაებანი ოთხშაბათის დღისთვის განკუთვნილი ღვთაების სახელი, რასაც ადასტურებს ოთხშაბათის დღის სახელი: მეგრულად „ჯუმაშხა“, ჭანურად „ჯუმაჩხა“, ხოლო სვანურად — „ჯუმაშ“. ამასთან მეცნიერმა მიუთითა, რომ, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ოთხშაბათი ქართველთათვის „ერმის“ დღედ ითვლებოდა, ხოლო ერმისი იგივეა, რაც ბერძნული მითოლოგიის ჰერმესი, რომაულისა კი — მერკური. ივ.ჯავახიშვილმა, აგრეთვე, აღნიშნა: „თუმცა ხვესურებს ამ ჯიშაღის ვინაობა სულმთლად დავიწყებული აქვთ. მაინც ამ „ჯიშაღ“-ისა და „ჯუმა“-ს იგივეობა ცხადია“(„ქართველი ერის ისტორია“, I, თბ., 1979, გვ.177, შდრ.გვ.120). ამ შემთხვევაში მეცნიერს მხედველობაში ჰქონდა სიტყვები: „ჯუმა“-სა და „ჯიშა“-ს მსგავსებითი კავშირი. ივ.ჯავახიშვილის დასკვნით, „ჯუმა“ და, ამავე დროს, „ჯიშაღი“ შეიძლება ჰერმესის, ანუ მერკურის ძველ ქართულ სახელად ვიცნათ“-ო. მეცნიერმა, ამასთან, ჯიშაღის ეტიმოლოგია ძველ აღმოსავლურ ენებში(ელამიტური, ვანური) შემონახული მერკურის სახელს („მუმუდუ“, „შიმიგიშ“) დაუკავშირა.

ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისი, როგორც ვხედავთ, ეფუძნება ძირითადად ლინგვისტურ-ონომასტიკური მსგავსების არგუმენტს. დიდი მეცნიერის ეს არგუმენტი ჯიშაღის ოთხშაბათის დღისთვის ღვთაებად გამოცხადებისა და მისი ჰერმეს-მერკურთან გათანაბრების საფუძველი.

ახლა თუ ბერძნულ და რომაულ მითოლოგიას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ჰერმესისა და მერკურის, როგორც ღვთაებათა, ერთ-ერთი, თუმცა არა ძირითადი ფუნქცია მგზავრთა მფარველობაც იყო: ჰერმესი („მაუწყებელი“), — ხვესისა და ატლანტის ასულის — ნიმფა მაიას ძე, სხვა ძირითად ფუნქციებთან ერთად, წოდებულია, როგორც „მგზავრთა და გზათა მფარველი“ ღვთაება, რის გამოხატ-

ულებაც იყო გზებზე მდგარი მისი გამოსახულებანი — ე.წ. ჰერმები. ის თავის თავში ითავსებდა როგორც კეთილ(მჭერ-მეტყველი, ხელოვნებათა მცოდნე და მფარველი, კანონმდებელი და სხვ.) ისე უარყოფით(ხარების ქურდი, ოინბაზი, ყაჩაღი, თვალთმაქცი) თვისებებს, მასვე ევალებოდა მდინარემდე მიცვალებულთა სულების გაცილება. მან ასწავლა გზა და საშუალება ოდისევს(ჰომეროსის „ოდისეა“), რათა ჯადოქარ კირკეს ის არ დაეღუპა.

რაც შეეხება მერკურს, იგი, როგორც ჰერმესის ორეული რომაულ მითოლოგიაში, იუპიტერის ვაჟი, იყო ღმერთების შიკრიკი, ფრთოსანი ელჩი, მაცნე, ვაჭრობისა და გზების ღმერთი ფრთოსანი სანდლებით, სამგზავრო ქულითა და კვერთხით.

მიუხედავად ივანე ჯავახიშვილის ზემოაღნიშნული შეხედულებისა, ვ. ბარნოვის რომანში არაფერია ნათქვამი ჰერმეს-მერკურისა და, შესაბამისად, ოთხშაბათის ღვთაებასთან ჯიშადის გათანაბრების შესახებ. ვინაიდან მწერალი იცნობდა ივანე ჯავახიშვილის შრომას ქართული წარმართობის თაობაზე, შეუძლებელია მისთვის ცნობილი არ ყოფილიყო მეცნიერის თვალსაზრისი ხსენებულ საკითხზე. მწერალი, როგორც ჩანს, უფრო იმ აზრისკენ იხრებოდა, რომ ჯიშადი უშუალოდ ნაციონალური ქართული წარმართული პანთეონის ღვთაება იყო, ხოლო მის, ვითარცა ღვთაების, ფუნქციას, ჰერმეს-მერკურის ფუნქციასთან განსხვავებით, მხოლოდ გზების დაცვა და მოგზაურთა(მგზავრთა) მფარველობა შეადგენდა. საკითხის ამგვარად მისეულად გადაწყვეტას კი, შესაძლოა, ზურგს უმაკრებდა მთაში გაკონილ-მოსმენილი ზეპირსიტყვიერი მასალა.

ისმება კითხვაც: იყო თუ არა თვით საქართველოში ძველად მოგზაურთა და მგზავრთა მფარველი ღვთაების არსებობის ტრადიცია? ვფიქრობთ, ასეთი ფუნქციის მატარებელი კულტი წარმართული პერიოდიდან უნდა არსებულებოდა, და ეს განპირობებული იქნებოდა ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობისა და სამიმოსვლო პირობების არსებობით. საქართველო უძველესი ხანიდანვე იყო ის სახმელეთო არეალი, რომელზედაც გადიოდა საერთაშორისო-სავაჭრო და სატრანზიტო გზები(მტკვარი და ზოგი სხვა მდინარის მარშრუტიც გამოყენებული იყო სანაოსნო-სატრანზიტოდ).

ასეთი გზები არსებობდა უშუალოდ იბერიაშიც, რომელსაც ისინი კვეთდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით. ცხადია, ეს გეოგრაფიული უპირატესობა სწორი და უსაფრთხო მოგზაურობისათვის შესაფერის დამხმარე ძალის არსებობის საჭიროებას შობდა უძველესი ადამიანის აზროვნებაში, და ეს შესაძლებელია წარმართულ ხანაში ყოფილიყო უშუალოდ გზათა დამცველისა და მოგზაურ-მგზავრთა მფარველი ღვთაების სახით. შორს რომ არ წავიდეთ, ქართველი ადამიანი ახლაც კი შორეული მგზავრობის წინ ღმერთს ახსენებს(„ვახსენოთ ღმერთი და გავუდგეთ გზას“-ო, იტყვის), პირჯვარს გადაისახავს, შესთხოვს უფალს უსაფრთხო მგზავრობას და შემდეგ შეუდგება გზას. ასეთი ტრადიცია, რა თქმა უნდა, განსხვავებული ფორმით, უფრო ძველად, წარმართობის ხანაშიც მოსალოდნელია. ამიტომ ქართველ ტომებს, შესაძლოა, მართლაც, ჰყოლოდათ მგზავრობისა და მოგზაურთა მფარველი ღვთაება. ძველ საქართველოში

ყურადღება რომ ექცეოდა მგზავრთა სწორი ორიენტირებისა და უსაფრთხო მიმოსვლის უზრუნველყოფის საკითხს, ეს დადასტურებულია მატერიალურადაც: თრიალეთიდან ფარანისაკენ მიმავალ გზაზე, უშუალოდ უღელტეხილზე, „თიქმადამი“, აღმოჩენილ იქნა ქვა-სვეტი, რომელიც გზის მიმართულების მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო. დ. ბერძენიშვილი მის შესახებ წერს: „რაც შეეხება ამართულ ქვას კავკასიაში უდიდეს ოფსიდიანის საბადოსთან, მის ირგვლივ არსებულ უძველეს რწმენა-წარმოდგენებს რომ თავი გაუანებოთ(ვეშაპი), იგი მართლაც, ნიშანსვეტი იყო ამ გზით მიმავალთათვის: უტყეო, ერთგვაროვან გარემოში მისი მაღალი სილუეტი ყოველი მხრიდან ჩანდა, განსაკუთრებით ზამთარში“ („თრიალეთის უცნობი წარწერები“, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VI, თბ., 1982, გვ.26). ნიშანდობლივია, რომ ჰერმესის კულტთან დაკავშირებით ანტიკურ საბერძნეთში გზებსა და გზავარდინებზე, მისასვლელეებში იდგა გზათა მფარველის სვეტი(ბიუსტი), რომლის საკურთხეველებზე მიჰქონდათ შესაწირავი ანდა მსხვერპლად სწირავდნენ ცხოველებს(აკ. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983, გვ.601). თრიალეთში არსებული ქვა-სვეტი, შესაძლოა, გზათა მფარველის კულტსაც განასახიერებდა.

ამრიგად, ვ.ბარნოვი „არმაზის მსხვერუა“-ში აღადგენს ჯიშადის ხატის(ღვთაების) უძველეს სახეს და მიაჩნია, რომ IV საუკუნეში, რა დროსაც ხდება რომანში ასახული ამბები, ჯიშადს შენარჩუნებული ჰქონდა გზათა მცველისა და მოგზაურთა მფარველის ფუნქცია; მწერალი ამ შემთხვევაში უნდა ეყრდნობოდეს არა წერილობით წყაროებს, არამედ თქმულებებს, მითებს, გადმოცემებს, რომელთაც ის ხვესურეთში ყოფნისას მოისმენდა. ჯიშადს, როგორც ღვთაებას, დასაშვებია, უძველეს ხანაში ჰქონოდა კიდევ, გზათა მცველისა და მოგზაურთა მფარველის გარდა, სხვა ფუნქციებიც. სამწუხაროდ, მათ შესახებ არაფერი შემოინახა ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. როგორც რაფიელ ერისთავი შენიშნავს, მას თავყვანს სცემდნენ ხვესურები და უწოდებდნენ ჯიშადის ჯვარს. ცნობილია, რომ ხვესურთა წარმოდგენით, „ხატი ფრთოსანი ანგელოზია, მხრებით მფრინავი, მლთოვანი არსება“(ნ. ურბნელი). საგულისხმოა, რომ რომანის მიხედვითაც, ჯიშადიც „მხრებით მფრინავია“, მას მხრებზე აქვს ფრთები და გადაფრენა შეუძლია შორ მანძილზე. რაც შეეხება მის გაიგებებას ღვთაება ჰერმესთან, აბრკოლებს ერთი გარემოება: ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჰერმესი ბერძნულ მითოლოგიაში ცნობილია უარყოფითი თვისებებითაც: შეძლო ქურდობაც, ოიმბაზობაც და ყაჩაღობაც. აქედან გამომდინარე, წარმართ მთიელ მორწმუნეებს განა შეეძლოთ იგი დაესახათ საკუთარ ღვთაებად, ხატად, მაშინ როდესაც ხვესურებს, ფშაველებს და მთის სხვა მკვიდრთ სათემო(ან საზოგადო) ხატი ყველა სიწმინდეზე უდიდეს სიწმინდედ მიაჩნდათ?

ხოლო კითხვას, თუ რატომ მიეცა დაიწყოებას ხვესურთა წარმოდგენაში, რა ღვთაება იყო ჯიშადი, ჩვენი აზრით, შესაძლებელია ასეთი პასუხი გავცეთ: ჯიშადის ხატი თავისი ფუნქციებით, ვინაიდან მას გარკვეული დროის გასვლის შემდეგ აღარ გააჩნდა მტკიცე საყრდენი, იგი შთანთქა უფრო ძლიერმა საკულტო რწმენამ, ანდა ტრანსფორმირებულ იქნა მასში, რასაც ადგილი ჰქონდა ხოლმე უძველეს წარსულში. ახლა ძნელია განსაზღვრა იმისა,

თუ რომელი უნდა ყოფილიყო ეს „ძლიერი“ საკულტო რწმენა, რომელსაც ის შეერია ან როდის, მაგრამ ჰიპოთეზის სახით დასაშვებად ჩანს, მივიჩნიოთ, რომ ეს უნდა ყოფილიყო უფრო მეტად ხანძარის ხატი. მისი ძალა და საომარი მოქმედების ასპარეზი შედარებით ფართოა, მას ემორჩილება ყველა ავის მოსურნე, ქურდი ავაზაკი და, რაც ნიშანდობლივია, „შორს მოგზაური აქ (ხატში-ზ.კ.) ლოცულობს“ (ნ. ურბნელი). ცხადია, მოგზაური, ხატს, პირველ რიგში, უსაფრთხო მგზავრობას შესთხოვს. აქედან: ხანძარის ხატი მოგზაურთა მფარველიცაა. შესაძლოა, ეს ტრანსფორმაცია მომხდარიყო IV საუკუნის, ანუ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ და იგი ბოლოს „ჯიშადის ჯვარის“ სახელწოდებით შენახულა ხეცურთა ხსოვნაში.

**ციშუბ-თარხუჯი**

ვ. ბარნოვის რომანში ციშუბი და თარხუჯი ერთ ღვთაებას განასახიერებს. მისი ცალია ითრუშანი. ციშუბი თუ საქართველოს ცის და ღრუბელთ ბატონი იყო და „ცვარს ადენდა“, ითრუშანი ნაყოფიერების ქალღმერთია, „ადმოაცენებდა უხვ ნაყოფს კეთილს“.

ციშუბს, განდევნილი მანგიურის თქმით, ციშუბის მთაზე ჰქონია ბინა, წინათ იქ მდგარა მისი კერპი, იგი ძლიერი ღვთაება ყოფილა, შეჭურვილი ბეგთარით, მუხარადით, ერთ ხელში ეკავა ნაჯახი, „ორპირიანი“, მეორეში — ელვა სატყორცნად, დარაჯობდა ქვეყანას და ერს.

ციშუბის მთა რომანში ლოკალიზებულია მცხეთის აღმოსავლეთით, კალას მიდამოებში(თანამედროვე თბილისში, ნარიყალის მახლობლად), სადაც განდევნილად ცხოვრობს ციშუბის ერთგული მანგიური. მას ღრმად სწამს, რომ ოდესაც ქართველთა ძლიერი ღმერთი ციშუბ-თარხუჯი, რომლის სახელი ამჟამად(იგულისხმება IV საუკუნე) დაკნინებულია არმაზის გამო, ისევ აღსდგება და დიდებით დაბრუნდება.

საკითხს, თუ რის ღმერთი იყო ციშუბი ქართველთა წარმოდგენით, ღვთაება „ვობი“-ს||„ვები“-ს ვინაობის გამორკვევისას შეეხო ივ. ჯავახიშვილი. მეცნიერის აზრით, ვინაიდან პარასკევი დღეს სვანურად ეწოდება „ვობიშ“||„ვებიშ“„შესადლოა პარასკევი ამ ღვთაებისთვის ყოფილიყო დაწესებული და „თავდაპირველად „ცა — ღრუბლის“, სეტყვა-აგდრის ღვთაების სახელად „ვობი“, ანუ „ვები“ იყო“, ხოლო ამ უკანასკნელთა და „ხეთური ელვა-ქუხილის ღვთაების „თეშუბ“-ის სახელთა შორის რაღაც კავშირი შეიძლება იყოს და „ვობ“-ი იქნებ ხეთური „თეშუბი“-ს მეორე ნაწილს წარმოადგენდეს“-ო, ასკვნიდა მეცნიერი(„ქართველი ერის ისტორია“, I, გვ.119-120).

სამეცნიერო წრეებისთვის მისაღები აზრით, დღეისათვის თეშუბი(ვ. ბარნოვის მიხედვით, იგივე ციშუბი) ერთ-ერთი მთავარი ღმერთია ჰურიტულ მითოლოგიაში, ამინდის ღვთაება, რომლის ცოლია ჰებატი. თეშუბი, ამავე დროს, მიჩნეული იყო ჭიშკრის მეომარ მცველად ხეთების სამეფოს დედაქალაქ ხატუხასში(ბოღაზქოი), სადაც გამოსახულია იგი ხელში ორღესული ცულით(„ამაზონური ცულით“).

რაც შეეხება თარხუჯს, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ამ სახელის ეტიმოლოგია უნდა უკავშირდებოდეს სამშაბათის დღეს: მეგრულში გვაქვს „თახაშხა“, სვანურში — „თახააშ“, ხოლო ჭანურში — „ტარკუნ“. ამავე დროს,-წერს ივ. ჯავახიშვილი,— სამშაბათი ითვლებოდა „არაის“, ანუ მარსის დღედ, მარსი კი მიჩნეული იყო ომის ღმერთად.

ამდენად, ეს ორივე დასახელებული ღვთაება — თეშუბი და თარხონ-ტარკუნ(რომანის მიხედვით თარხუჯი) თავისი მახასიათებელი ფუნქციებით უახლოვდებიან ერთმანეთს: ორივე მეტემოლოგია, ორივე ღვთაება ცა-ღრუბლის მბრძანებელია(„ტარხონ|ტარკონი“-დან უნდა ყოფილიყო მიღებული ამინდის გამომხატველი სახელი ტაროსი). შესაძლებელია, ამ ღვთაებათა ფუნქციების მსგავსების საფუძველზე მოხდა ვ. ბარნოვის მიერ ციშუბის(თეშუბის) და თარხუჯის(ტარკუნის-ტარხონის) სახეთა გაერთიანება ერთი ღვთაების სახელად. თუმცა წერილობით წყაროებში კი ეს ორი ღვთაება ყველგან ცალ-ცალკე იხსენიება.

ვ. ბარნოვის პოზიცია ნათელია: მახლობელი აღმოსავლეთისა და წინა აზიის(ასურულ-მესოპოტამიურ) არეალში ცნობილ უცხო მითოლოგიურ ღვთაებათა (ქართულ სამყაროსთან ახლო მდგომ) სახეებში ქართულ საწყისებს ხედავს, მისთვის ისინი უძველესი ქართული წარმართული ღვთაებანი არიან, ციშუბ-თარხუჯი „ღმერთთა ღმერთთა“, უხენაესი ღვთაება, ხოლო ითრუშანი(ითრუჯანი), ციშუბის ცალი, მწერლის თქმით არის „დედა ქართველთა“. ისტორიოგრაფიული წყაროები კი ამ ღვთაებას ქალღმერთად ღმერთად წარმოგიდგენს, ზოგჯერაც იგი ირანულ „ატროშან“-თანაა გაიგივებული. შესაძლებელია, მწერლის ეს თვალსაზრისი ემხიანებოდეს კიდევ იმ ისტორიულ-არქეოლოგიურ ცნობებს და აღმოჩენებს(ნაწილს „არამზის მსხვერვის“ დაწერამდე, ნაწილს მის შემდგომ), რომელთა ანალიზით მტკიცდება უძველეს ქართველ ტომთა სამხრეთით არსებულ სახელმწიფოებსა და ამიერკავკასიის მკვიდრთა მონათესავე ეთნიკურ ტომებთან კულტურული კავშირის არსებობა. ისტორიულ მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრებებით, ნივთიერი კულტურის განფენა ამ მიმართულებებით არაიშვიათად ხდებოდა სწორედ იმ ვრცელი ტერიტორიის კულტურული არეალიდან, რომელიც ახლა მტკვარ-არაქსის კულტურის სახელითაა ცნობილი. თავისთავად ცხადია, ეს კულტურული კავშირი შეეხებოდა მითოლოგიასაც, როგორც ხელოვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს შორეულ ხანაში. ამიტომაც ვ. ბარნოვისთვის ნათელი იქნებოდა ამ კავშირების არა მარტო არსებობა(რაც მისი დროისათვის იყო ცნობილი), არამედ მათი ზოგადღირებულიებათა მნიშვნელობაც. მართალია, იგი „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილებში“ წერს იმის შესახებ, რომ კერპთაყვანისმცემლობა ჩვენში შემოვიდა სირიიდან და ჩამოთვლის კიდევ, მისი აზრით, სემიტური წარმოშობის ღმერთებს(არამაზი, ზადენი, გაცი, აინანი, დანანი, ითრუჯანი და სხვ.), მაგრამ რომანში ქართული ნაციონალური პანთეონის უძველეს ღვთაებათა მიმართ გამოჩენილი მისი დადებითი დამოკიდებულება და ეთიკური სიმპათია(რაც შენიშნულია კიდევ ლიტერატურათმცოდნეობაში) ცხადყოფს მწერლის მიზანს გაცოცხლოს და სული შთაბეროს გარდასულ საუკუნეთა მიღმა ჩარჩენილ ნაციონალურ ღვთაებათა სახეებს და მკითხველს შთააგონოს ყოველი ღირებული ქართულისადმი პატივისცემის იდეალი.

რომანში ამ აზრის შესანიშნავი მაგალითია მანგიურის სახე, რომლის მიმართაც მწერლის დამოკიდებულება, მართლაც, პოზიტიურია.

რაც შეეხება საკითხს ქართულ-ხეთურ კულტურულ ურთიერთობათა შესახებ, შესაძლოა, ერთმა მცირეოდენმა დეტალმაც შეგვახსენოს უძველესი კულტურის მნიშვნელობაზე და იმაზეც, რომ ეს კულტურა არ იყო შემოსაზღვრული გადაულახავი ზღუდეებით. კერძოდ, ხეშოთ ჩვენ ვახსენეთ

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. ბარნოვი, თხზ.ტ.7., 1962; თხზ.ტ.10, თბ., 1964.
2. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955
3. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1979
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I თბ., 1970
5. დ. ბერძენიშვილი, თრიალეთის უცნობი წარწერები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VI თბ., 1982
6. აკ. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983
7. მითოლოგიური ლექსიკონი, შეადგინა ნოდარ გაფრინდაშვილმა, თბ., 1972
8. გ. კანკავა, ისტორიული რომანი და მისი ქართული ტრადიციები, თბ., 1969
9. გ. გიორგაძე, ათასი ღვთაების ქვეყანა (ხეთები და ხეთური ცივილიზაცია), თბ., 1988.
10. ვ. ცისკარიძე, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები, თბ., 1972.
11. ნ. ურბნელი, ეთნოგრაფიული წერილები, „გაზ...ივერია“, 1887, №158.
12. ნ. მახათაძე, ძველი ქართული მწერლობის ტრადიციები მეოცე საუკუნის ქართულ პროზაში, თბ., 1980.

ხეთების დედაქალაქ ხატუსასის მცველი თეშები, რომელსაც ორლესული ცული უკავია ხელში. ასეთივე ცულითაა შეიარაღებული რომანში ციშებიც(სხვათა შორის, წერილობითი წყაროებით და რომანის მიხედვითაც მცხეთაში მდგარ არმაზის კერპს ცულის ნაცვლად ხელში ხმალი უკავია). როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ხეთების თეშების მსგავსი ორლესული ამაზონური(კოლხური) ცულები მხოლოდ დამხოლოდ ამიერკავკასიის კულტურულ ფენებშია მიკვლეული და არ სცილდება ამიერკავკასიის საზღვრებს იქით. ამიტომ ხეთების დედაქალაქის მცველი მეთორის ცულის კულტურა სწორედ ქართველთა(კოლხთა) მატერიალური კულტურის მჩვენებელს უნდა წარმოადგენდეს. როგორც ჩანს, ვ. ბარნოვისთვის არც ამ კულტურული კავშირების, ახლო მეზობლისადმი ერთგვარი კულტურული გავლენის შესახებ არ უნდა ყოფილიყო უცნობი და მან უძველესი, მისი აზრით, ქართველების „ღმერთთა ღმერთი“ ციშები ორლესული ცულით შეაიარაღა.

ასეთია ზოგად ხაზებში ვ. ბარნოვის დამოკიდებულება უძველესი ქართული მითოსური პანთეონის მიმართ. ცხადია, ზემოთქმული ვერ ამოსწურავს მწერლის შემოქმედებაში მითოლოგიური ხასიათის პრობლემატიკის გაშუქებას. შემდგომი კვლევა უფრო ნათელს გახდის მისი შემოქმედების ამ მნიშვნელოვან მხარეს.

ზურაბ კუტიბაშვილი,  
ფილოლოგიის დოქტორი

## ლია ნადირაშვილი ფესვების ტკივილი



იყო დრო, სხვადასხვა ჟამს მუსლიმურ ქვეყნებში იძულებით გადასახლებულნი ათრთოლებული ხმით უიმედოდ ამბობდნენ: — „შორია გურჯისტანამდე!“ პირველ სიტყვაში უსასრულო სივრცე კი არა, სახელმწიფოებრივ — პოლიტიკური რუპრესიები მოაზრებოდა. ასეთი ზღვარდაუდებელი სიმტკიცის მიუხედავად, ქართველი ეროვნულ იდენტურობას ინარჩუნებდა; წინაპართაგან სათუთად შემონახული ტრადიციებით ცდილობდა, თავადაც ესაზრდოვა და თაობებიც „დაეპურებინა სულიერი და პატრიოტული შიშხილის“ დროს. ეს ძალიან რთული იყო, გმირობის ტოლფას გამბედაობას რომ მოითხოვდა. ოსმალური იმპერიის წლებში თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე დაცხოვრდნენ რუსეთის მიერ სხვადასხვა დროსა და საბაბით აყრილ-გამეფებული ქართველები. ეს, ერთი შეხედვით, მარტივი სათქმელია, თუძცა...

ამ სტატიით მოკრძალებით გადმოგცემთ ჩემს ემოციებსა და განწყობას მუჰაჯირთა შთამომავლობის, თურქეთის რესპუბლიკაში დაბადებულ-აღზრდილი მწერლების: ქეთი ხანთაძისა (ქვესერ რუჰის) და ფარნა-ბეჟა ჩილაშვილის (ფაჰრეთინ ჩილოღლუს) რამდენიმე მოთხრობის შესახებ, რომლებშიც სწორედ ეს ისტორიული ტრაგედიაა ასახული. ის, რაც მათ აღწერეს, მათს უშუალო წინაპრებს, ბებია-ბაბუებს გადახდათ თავს. ეს მტკივნეული ფაქტი უკვე ისტორიის ნაწილია, თუძცა ამ, „ისტორიაში მონაწილე“ ადამიანებისათვის — შეუგუებელი, მიუღებელი,

დამტრუნველი! ასეთ უძძძძეს შემთხვევებს ჭკუიდან გადაჰყავს ადამიანები, რადგან მათ მხოლოდ ის მიწა კი არ დაკარგეს, წინაპართა ნატურფალი რომ დასტყობია, უახლოეს ადამიანებსაც დაემშვიდობნენ სამუდამოდ. მოთხრობის „ტყე დაღუძდა“ (ავტორი — ქეთი ხანთაძე; მთარგმნელი — თამარ თევდორაძე) მთავარი გმირის პიროვნული ტრაგიაში სცდება პირადი განსაცდელით აღსაყვ განცდის საზღვრებს და საყოველთაო დრამატიზმის ტკივილით იტვირთება: „იმ დღიდან მოყოლებული მთა მტრად მოეკიდათ, ტყე დაღუძდა, გზა უმოწყალოდ გაიწეულა. ყველაფერი მწვანე ფარდის მიღმა დარჩა და გაიყინა“. ფატის (მოთხრობის გმირის) განცხადებით დასტურდება, რომ სამყარო („ყველაფერი“) მხოლოდ მისთვის კი არა, უდიდესი სახელმწიფოებრივი დანაშაულის ყველა მსხვერპლისთვის შეჩერდა ( „გაიყინა“) და რომ ამ მსხვერპლთა ემოცია, სულიერი ტკივილი მძაფრია, რადგან კაცობრიობას მოწყვეტილნი ( „მთა... ტყე დაღუძდა“) სამუდამოდ კარგავენ ერთმანეთს ( „გზა... გაიღწეა“). ფატიმ სამ (ეს ციფრიც საკრალურია და გარკვეულ ალეგორიული



მნიშვნელობას იძენს) დღეში უნდა გადაწვევით, სამ დღეში უნდა აირჩიოს, სამ დღეში უნდა დაემშვიდობოს ან ქმარ-შვილს, ამ მშობლიურ ოჯახს, დედ-მამას, დაძმებს. დახვეწილი ოსტატობითაა გადმოცემული გმირის ფსიქოლოგიური პორტრეტი მას შემდეგ, რაც უძიმესი გადაწვევებილის პირისპირ აღმოჩნდება: „ერთხანს უცქირა მძინარე შვილს, კიდევ ერთხელ ჩაისუნთქა მისი სურნელი. წამითაც თუ შეყოვნდა, ვეღარ წავა. ოთახიდან მკვდაროვით გამოლასლასდა. ყველაფერი დამთავრდა... უკან მოხედვას ერიდებოდა, წასვლას ვეღარ შეძლებდა... სახეზე სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა“; „ქალი ქვად ქცეულა, მიმქრალი ლანდივით ასვეტილა. ქალი ახლა ნანგრევია...“; „ქალს შორეთისათვის მიუმართავს მხერა“. ამ მხერის სიცოცხლემ გააუფასურა აწმყო და საკუთარ უსუსურობაში ჩაკარგულმა ქალმა თავის თავს უწურჩულა (თუმცა ეს ჩურჩული ღრიალზე უფრო ხმაურიანი იყო!): ღმერთო ჩემო, ბავშობაში დაბრუნება მინდა!“ ეს ჩურჩული თვითგლოვა უფრო იყო, რადგან საკუთარ თავთან მოკამათე ქალის საუბარი მოთქმად გაჟღერდა. ეს ხმა „ამბობებული სულის გამოძახილს უფრო ჰგავდა“, პროტესტის ნიშნად განწირულ კვილად რომ იქცა და ხანჯალივით სერავდა ცის ტატნობს: „ვინმე დამეხმარეთ...“ ვინაა ვინმე? სამყარო? ბუნება? კაცობრიობა? დიან, თითოეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად, რადგან თავად ავტორსაც უმნიშვნელოვანეს გლობალურ ტრანსგედიად აქვს წარმოდგენილი ის უძიმესი ვითარება, სახლგარის გავლენამ უახლოესი ადამიანები დაუმშვიდობებლად რომ დააშორა ერთმანეთს: „1353 წელი ჰიჯრით. მსოფლიო მეორე დიდი გადატრიალების ზღვარზე დგას. იმ დღიდან მოყოლებული... ყველაფერი... გაიყინა“.

საკმაოდ ემოციურია ქეთი ხანთაძის მოთხრობები: „გაღმა მხარე“ და „ის, რაც მახარებდა“ (თარგმნა თამარ თევდორაძემ). ერთი შეხედვით, მეორე პირველის გაგრძელებაა. ორივე ამბავი ძალიან სევდიანია, უნაპირო ტკივილით აპირთავებული. ამ ტკივილს ახლობელი და ძვირფასი ადამიანების მონატრება ჰქვია: „ამბობენ, რომ მსოფლიოს ყველა კუთხეში ბატკანი ერთნაირად ჰეტელობს, ბულბულის გალობა ყველგან ერთნაირად საამური მოსასმენია, ძალიან ერთნაირად ყვეს... სინამდვილეში სულაც არ არის ასე. აქ სულიერნი ორ, სამ ენაზე მეტყველებენ. მე ვიცი, მონატრება ყველა ენაზე როგორია, რადგან ცხოვრება ამ მონატრების ენის სწავლაში გავლიე“;



ქეთევან ხანთაძე (ქვესერ რუხი)

— ამბობს მოთხრობს გმირი, ხათუნა ბებია, და ამით ადასტურებს, რა უდიდესი სულიერი ტკივილი გადაიტანეს რუსეთ-თურქეთის მიერ გაავლებული სახლგარის იქით და აქეთ დარჩენილმა ქართველებმა, რომლებიც საკუთარ ამბებს მოჩვენებითად სიმღერით უმხელდნენ ერთმანეთს: „მთავარი წერილები ყანაში მუშაობისას აჟღერებული სიმღერები იყო, სახლგარეს რომ არად დაგიდევდნენ, თითქოს სიცარიელეში რომ იკარგებოდნენ, მაგრამ მისამართი არასოდეს ეშლებოდათ: ზოგადად, ცხოვრება მკაცრი მასწავლებელია და ადამიანს თავისი კანონების მორჩილად აქცევს, თუმცა მძიმე პოლიტიკური გარემო ინდივიდში ზოგჯერ დაუმორჩილებლობის განცდას იწვევს, რაც პიროვნებას უბიძგებს, ემოციებს გზა მისცეს და თამამად გამოხატოს ნაფიქრი: „ჩემო დაო, სადა ხარ?“ სიმღერას კი არა მოთქმას უფრო ჰგავდა“ — ხათუნა ბებოს სიტყვები. ანალოგიური განცხადებით გამოირჩევა ამავე მოთხრობის ( „ის რაც მახარებდა“) კიდევ ერთი გმირი: „ჩემს საბრალო ბებიას იმ მდინარისაც კი შურდა, რომელიც აქ იღებდა სათავეს და გაღმა მხარეში მიედინებოდა“, — ამბობს ჰალითი“. საყურადღებოა ერთი ფაქტი: მიუხედავად მძიმე პოლიტიკური ყოფისა და მრავალჭირნახულებისა, 100 წელს გადაცილებულმა ხათუნა ბებიამ ასე შეაფასა (შეაჯამა) თავისი ცრემლიანი და ახლობელთა მონატრებით გაჯერებული ცხოვრება: „სინარულის მეტი არაფერი აღარ მახსოვს, არაფერი...“

ფარნა-ბექა ჩილაშვილი თურქეთელი ქართველია, ნიჭიერი მწერალი და პუბლიცისტი. ნოსტალგიური ემოციურობით გამოირჩევა მისი მოთხრობები: „მეფე სოლომონი“ (მთარგმნელი — ზურაბ ბატიაშვილი) და „ბებიანქემის მოგზაურობა სტამბულში“ (მთარგმნელი — ნანა კაჭარავა). პირველი მოთხრობაში შთამბეჭდავადაა გადმოცემული მეფის რუსეთის მიერ დევნილ-გაძევებული, იმერეთის უკანასკნელი მეფის, სოლომონის ოსმალეთის იმპერიაში ცხოვრების ბოლო პერიოდი. ტექსტის მიხედვით, ქართველი გვირგვინოსნის ყოფა უცხო ქვეყანაში, ერთი შეხედვით, მორჩილ-შეშინებული ადამიანის მდგომარეობას გამოხატავს, მაგრამ თუ მის ფსიქოლოგიურ პორტრეტს დაუკვირდებით, მის მოკრძალებულობაში რაინდული ღირებულებებს უფრო შევნიშნავთ. სოლომონი, ქართულ-ქრისტიანული ფასეულობებით აღზრდილი მონარქი, დიდბუნებოვანი, ღირსეული პიროვნება, უცნობთა შორის უბრალოებითა და სისადავით იქცევა ყურადღებას და გარკვეულ მოწიწებასაც იწვევდა ხალხში: „რალაცნაირი სხვანაირი კაცი იყო, [ყავახანაში] შემოვიდა თუ არა, ძალაუნებურად ყველა ფეხზე დგებოდა. არ ვიცოდით, რომ მეფე იყო, მაგრამ ვხვდებოდით, რომ რალაცნაირი სხვა ადამიანი იყო. ჩაის არ სვამდა, ყოველთვის ყავას მიირთმევდა. სკამზე არაფრის დიდებით არ დაჯდებოდა, ერთ კუთხეში სავარძელი იდგა და მოსვლისას იქ დაბრძანდებოდა ხოლმე. ეტყობოდა, რომ მეფე იყო“. ავტორმა ლაკონურად გადმოგვცა ქართველი უმაღლესი რანგის არისტოკრატის უზომოდ მოკრძალებული (მე ვიტყვოდი, აბსოლუტურად შეუფერებელი!) ცხოვრება უცხო მიწაზე, ადგილობრივთა დამოკიდებულება სოლომონის (იქაურები რომ სულეიმანს უწოდებდნენ!) მიმართ და მისი სამშობლოში გადმოსვენების ამსახველი ფაქტი.

არანაკლებ საინტერესოა ფარნა-ბექა ჩილაშვილის

მოთხრობა - „ბებიაჩემის მოგზაურობა სტამბოლში“ (მთარგმნელი — ნანა კაჭარავა). ტკივილითა და მძაფრი ემოციებით გაჯერებულ მოთხრობაში ავტორი საკუთარი ბებია და თავის ურთიერთდამოკიდებულებას პატრიოტულ-ნოსტალგიურ ფონზე გადმოსცემს. თხზულება იმითაც გამოირჩევა, რომ ავტორის ბებიასთან ურთიერთობა ორ დროსა (ბებია — ახალგაზრდა, ბებია — მოხუცი) და ორ ვითარებაშია (ბებიას ბავშვობა სამშობლოს დატოვების მტკივნეული განცდა: „მაშინ პატარა გოგო ვიყავი. მოხუცი კაცები, ისეთები თეთრი წვერი მუცლამდე რომ ეფინებათ, გვეუბნებოდნენ და გვაჩქარებდნენ, რომ მაშინვე, სასწრაფოდ უნდა აგვეკრა გულა-ნაბადი და სახლებიდან წავსულიყავით. თუ მაშინვე არ დავტოვებდით იქაურობას, საიდანღაც მოვიდოდნენ ცუდი კაცები და სამსხვერპლო ცხვრებით დაგვაყრუებდნენ თავებს. ყველა, დიას, უკლებლივ ყველა აიყარა და ცხენით თუ ურმით, თუ ფეხით დაადგა გზას. ერთ მწვერვალს მალე მივადწიეთ. მთის იქითა მხარეს თუ გადავიდოდით, სამსხვერპლო ცხვრები ადარ ვიქნებოდით, მაგრამ თუ მთის აქეთ დავრჩებოდით, როგორც მოხუცი კაცები ამბობდნენ, ჩვენი აღსასრულის დღე დადგებოდა... მე რე მთის წვერზე ვიდექი. როგორც კი ერთ ნაბიჯს უკან გადმოდგამდი, ჩვენი სახლისა და ზღვის დანახვა ისევ შემემძლო. მთის წვერზე ერთი ნაბიჯით ხან წინ მივიწვედი, ხან უკან და ეს წინ და უკან სიარული მეგონა, საათობით გრძელდებოდა. იქაურობის დატოვება არ მინდოდა. ბოლოს უკან გადავედი ნაბიჯი და ჩვენს სახლსა და ზღვას ნაღვლიანად დავაცქერდი.

მოულოდნელად ვიღაც ცხენოსანმა სწრაფად ჩამომიქროლა, მკლავში ხელი მტაცა და ცხენის უნაგრიზე შემომომიგდო. ის იყო და ის, ზღვა, რომლითაც მამაჩემი უნდა მოსულიყო, ჩემი ბავშვობის სახლი და ცა სამუდამოდ უკან დამრჩა“ და ბებია — თურქეთში მცხოვრები, ოღონდ მარად შავი ზღვიდან მომავალი მამის მომლოდინე) ასახული. ავტორის ჩანაფიქრი, ამ მოთხრობის უჩვეულო სიუჟეტურ არქიტექტონიკასთან დაკავშირებით, თხზულებას არაორდინალურად გამორჩეულსა და მალანქოლიურს ხდის, რაც



ფარნა-ბექა ჩილაშვილი (ფაპრეთის ჩილოღლუ)

კიდევ ერთხელ ასაბუთებს მის მწერლურ ოსტატობას. ... ვინ იცის, კიდევ რამდენი თურქეთული ქართველი გაიმეორებს ფარნა-ბექა ჩილაშვილის სიტყვებს: „ბოსფორზე ნელ-ნელა ის სახელგანთქმული ნისლი წვება, რომელიც ერთი კონტინენტიდან მეორეზე გემების გადალახვას აფერხებს. ახლა მსგავსი ნისლი ჩვენს თვალებშიც (ავტორისა და ბებიაჩემის) ჩამოწოლილია და ნესტიან პაერს ჩვენს ცხელი თვალებში ცრემლების წვეთებად აქცევს“. ეს „ცრემლიანი წვეთები“ რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში უცხო მიწაზე შეყუჟულ მრავალ ქართველს დასდენია და საიდანღაც მონაბერ ქარს გმინვა-წუხილით ნათქვამი სიტყვები: „მორია გურჯისტანამდე!“ — ექოდ აუტანია ცაში!

დასასრულ, მოწინებულ მადლობას ვუხდი ქალბატონ ქეთი ხანთაძესა (ქვესერ რუჰსა) და ბატონ ფარნა-ბექა ჩილაშვილს (ფაპრეთის ჩილოღლუს) ღირსეული ქართველობისა და ასეთი პატრიოტულ-ემოციური მოთხრობების დაწერისათვის. ასევე მადლიერების გრძობით ვახსენებ ქალბატონებს: ნანა კაჭარავასა და თამარ თევდორაძეს და ბატონ ზურაბ ბატიაშვილს (დარეჯანაშვილს), რომლებმაც შთამბეჭდავად და პროფესიონალურ დონეზე თარგმნეს ზემოთ დასახელებული პროზაული ტექსტები.



## ვაჟა ოთარაშვილი

### პოეტური ღუკი

ციკლიდან : „ჯვრისწერა ღამით...“  
(გალაკტიონის და მერის სიყვარულის ისტორია)

#### I

ეს მონატრება არ მაძინებს, შენსკენ მეძახის, რომ სიყვარულის შემოვავლო შენს სახლს არშია... მომელოდება თეთრი მკერდის მწიფე ვენახი, ვიცი გიყვარვარ... ჩვენი ტრფობა ბარი-ბარშია... გარეთ კი წვიმამ ჩამორეცხოს ღამის ზესკნელი, მთავრობასავით ამინდებმაც სულ გააფრინა... შენა ხარ ჩემი პირველი და უკანასკნელი და შენმა ტრფობამ ეს სიცოცხლე გამიაპრილა...

აჰა, ეს ლექსიც შენ მოგართვი — გულს დაიბნე  
და სიტყვა აღწერს სიყვარულის ქორონიკონებს.....  
ეს, გაუმარჯოს,  
რუსთაველის უკვდავ ბიბლიას — თამარ მეფისთვის  
მიჯნურობით მიძღვნილ სტრიქონებს!...

II

ყოველწამს შენზე ფიქრები მთუთქავს  
და ვარსკვლავებში ვეძებ შენს შხერას...  
თებერვლის თქა ახურავს თუთას,  
შენ გულში მყევხარ როგორც ენძელა...  
ვფიქრობ შენზე და გულს უხარია,  
შენ რომ გიპოვე სულის ნაწილი...  
გახსოვს, ბაგრატზე ღამეს მთვარიანს,  
ცად გვატარებდა ტრფობის არწივი...

III

გიორგი სააკაძე სამეგრელოში 1619 წელს...

სამეგრელოს ჩაველ ლევან დადიანთან,  
რომ ვუშველოთ მტრისგან დაჭრილ ივერიას...  
ირანს მყოფი ჩემი ვაჟის დარდი დამაქვს,  
ერთაწმინდის ზარები რომ მიელიან...  
აქ, ოდიშის ჯგვეჯგვისფერი ვაჟკაცები,  
ოსმალთა უღელს აღარ დაიდგამენ!...  
„ოი, ნანას...“ აქ მღერიან გატაცებით  
და ღვთისმშობლის კვართს ჰფიცავენ: „ღმერთო, ამენ!“  
სამეგრელოვ... ნატანჯო და უტყუელო,  
ენგურის პირს ლხინი მიყვარს მაღლიანი...  
გული გიცემს საქართველოს მიწის ხელა  
და გმირული, როგორც ცოტნე დადიანი!...

IV

როგორ ხარ?... გული ისევ შენ გიხმობს,  
ფანჯრიდან ნაძვის გავხედავ წიწვებს...  
რად მეფარებით, ჰე, მთებო ლიხის,  
რომ ვნახო სატრფო თითებზე ვიწვევ...  
„ძილი ნებისა“ და მერე მლოცავ  
და მთელი ღამე შენი ხმა მესმის...  
სიზმარში ისევ გიხილავ როცა,  
დაიბადება ახალი ლექსი...  
ეჰ, შენთან ერთად ვცეკვავდი გუშინ,  
დღეს მონატრების ქარები მხრავენ...  
შენი ხატება მიფეთქავს გულში  
და გვედრები : „გამეცი ხმა მე...“

V

ქუთაისის ნიაო,  
იმერეთის ყაყაჩოვ...  
შენთვის მიაბნიაო—  
ღარღმა როგორ დამახრჩო...  
გულში რად დამიტოვე

ტრფობის სევდა დარგული...  
ეხლა ისევ მარტო ვართ —  
მე და შენი ფრანგული...

VI

ნეტა რისთვის ჟღურტულებს,  
ნეტა ვისთვის ლოცულობს,  
მონაზონის კულტურა,  
მონაზონის ოცნება...  
იქნებ შენი სიზმარი,  
ჩემზეც გადამდებია...  
ნეტავ ვისი მიზნებიც,  
შენი მკვრდით თბებიან...  
ისევ ქარი დაივლის კვირტებს მზისგან დამსკდარებს,  
შენმა ტრფობამ გართობა ლექსი, ჩემო ვარსკვლავო...

VII

შატობრიანი, ბაირონი და ნოვალისი,  
ჩემს სულიერ ძმებს მოუხმობდი ეხლა ხალისით...  
ჩვენთვის მოეძღვნათ რომანტიულ ლექსის კუპლეტი,  
ჩვენ ცაში ვიყოთ... ფეხქვეშ გვეგოს თეთრი ღრუბლეთი...  
წვიმას ჩამოვყვით... დაგიკრიფო იები ლურჯი...  
და მერე ისევ ცაში გავყვით ღრუბლების ხურჯინს...

VIII

რა საოცარი ქალია შენში,  
როგორ ამაყი, თანაც უბრალო...  
ხან მაწვიმს შენი ცრემლების თქეში,  
ხანაც კრიალა თვლებს ვუგალობ...  
შენამდე ვისაც ვეტრფოდი მორჩა...  
ზოგან წავედი, ზოგიც დამშორდა...  
რა გვიან შეგ ხვდი... შენს ხელში მოსჩანს  
გული, რომელიც ელის გაშოლტვას...  
მე შენი ყველა ძახილი მესმის  
და სიტყვის კედლის იქითაც ვხედავ...  
და იწერება ორივეს ლექსი,  
შეყვარებულთა გულების სევდა...

IX

მარიამის მზეო, მარიამის ძეო...  
ღვთიურ სიტყვის ძალა როცა შევიგრძნეო,  
იმის მერე სიერცეს და ფრთებს ვნატრობ მუდამ...  
ღმერთო, მაჰატიე!...გალას ფრენა უნდა...

X

მესიზმრე... თითქოს ნისლის ქულებით,  
მოგიერთე ყელი რძისფერ მძივებით...  
და მზისებრ კრთოდა სხივი უღვევი  
და ნეტარება კვლავ დამინების...  
ერთმანეთისთვის ჩვენ ვართ სანთლები  
და ვაძლიერებთ ამ ტრფობით ნათელს...  
ბოროტნიო სულნიო, რას გვემართლებით?  
ჩვენ მხოლოდ მამა ღმერთისა გემართებს...

# ენა ავანტალიანი

## პოეტური დუეტი

ციკლიდან : „ჯვრისწერა ღამით...“

(გალაკტიონის და მერის სიყვარულის ისტორია)

### I

იკრიბებიან ღრუბლის ქულები,  
 როგორც ბალები სოფლის წყაროსთან,  
 შენი სიტყვები დათაფლულები,  
 ქართლის სანახებს ჩემსკენ გამოსცდა...  
 მახსოვს მინდვრები, ყაყაჩო ნაზი,  
 ქვათახევიდან გრილი ნიაფი...  
 მწვანე მოლი და შორით არმაზი,  
 გადაგვაუწყდა ჟამთა სიავე...  
 „ჩემთვის პატარა საქართველო ხარ“ —  
 ამბობ და ცრემლებს ლექსში აბანდებ  
 და ივერიის ტკივილით ოხრავ —  
 ნიკოფსიდან დარუბანდამდე...

### II

შენზე დარდებს აღარ უჩანს მიჯნა,  
 არე თეთრმა ფანტელებმა მორთო...  
 თოვლი მოდის ისე წყნარად, დინჯად...  
 გაზაფხულის ყვავილივით ღორთქო...  
 ხელისგულზე ფიფქებს ბავშვურ ჟინით  
 ვიჭერ, თუძცა მიქრებიან ურჩად...  
 ქარი უსტვენს ვით ღამფიდან ჯინნი,  
 „Moulin Rouge“ — ის კაბარესთან ქუჩას...

### III

#### მოურავივით...

ყაყაჩოსავით ალწილა ქარში მარაბდა,  
 მარტყოფის ველზე შეწირული გმირთა გული ძგერს...  
 ბევრი ივერთა მიწას ბრძოლით მიეპარა და  
 უფალს ავედრებს მამულს ცხრა ძმა ხერხეულიძე...  
 სამშობლოს გარეთ სხვანაირად მოსჩანდა იქ ცა,  
 ცილის-წამება არ დასრულდა მამის, ხან ძისა...  
 მამულზე ზრუნვის უნაპირო სევდად გადაქცა  
 დარდი გიორგის თუ პაატა სააკაძისა...  
 საუკუნენი საუკუნეს გადადიოდა,  
 მზისკენ მიჰქროდა საქართველო, როგორც ტოროლა...  
 ბევრი გვეოლია შადიმანი, ბევრიც იულა —  
 მოურავივით ერთგული კი თითო-ოროლა...

### IV

სულის ტკივილი გადმოიღვრება რითმით,  
 წუხელ სიზმარში ნატვრის გვირგვინებს წნავდი...  
 ეს სიყვარული ცხადი და არა მითი,  
 ლექსებით ცდილობს ოცნების შეწვდეს წადილს...  
 გიცქერ თვალებში, შენს გვერდითაც რომ არ ვარ,  
 ვისმენთ გულის ხმას, ერთურობის ბავშვურ სიცილს...  
 დილით ეს ტრფობა მზის შეედრება ქარვას,  
 ღამით კი მთვარეს და ვარსკვლავეთის ციმციმს...



### V

„დაგინახეო და დავრჩი სახტად...“  
 იხსენებ ხოლმე ტრფობის ლექსებით...  
 ეს სიყვარული ამოიხატა,  
 ლოცვით გვიფარავს ტაძრის ფრესკები...  
 მწერ: „არ ვიდარლო შენზე...დავმშვიდდე...“  
 გელოდებოდი პარიზს არადა...  
 ევროპა ხედავს მხოლოდ სამშენიველს,  
 მე თბილისური მხიბლავს ბალადა...  
 ნახვის წადილი მიასკვცდება,  
 მონატრებების სევდაა შორით...  
 შენს ნახვას გული მუდამ ეცდება —  
 ერთსულ და ერთხორც ვიქნებით ორი...

### VI

ქარი მოიტანა სექტემბერმა,  
 წელში გადატეხა წვირები...  
 ზეცამ — განდევნილმა წმინდა ბერმა,  
 ლოცვით დააყენა წირვები...  
 ცრიდა... ეიფელთან ჩუმად ცრიდა...  
 მხერას ვაყოლებდი მე კიდევ,  
 ატმის ყვავილივით ერთი ციდა,  
 თვალზე ცრემლის წვეთი მეკიდა...

### VII

ისევ მინდა გაზაფხულით ლისი,  
 შენი ხილვა მეღირსება როდის?  
 პეიზაჟი ავსებულა ნისლით  
 და პარიზშიც ისევ წვიმა მოდის...  
 შენგან მოძღვნილ ლექსებს ნელა ვფურცლავ.

ვეფერები ფრაზებს გამორჩევით...  
შენი ლექსი ყველა მიყვარს თუმცა,  
რადგან სულის ნაწილი ხარ ჩემი...

## VIII

ნაღველი მუდამ სევდიან ფერებს ირჩევს,  
მონატრებების გულზე მაწვება ლოდი...  
ბელურა კენკავს ნაძვზე შერჩენილ გირჩებს...  
ზოგჯერ რითმები თვალზე ცრემლებად მოდის...  
შენ ამომიმრე დარდი დაღვრილი გუბედ,  
ძლივს გადავურჩი გარდასულ დროის ავდრებს...  
ჩვენი ლექსებით წარსულშიც ვისაუბრეთ  
და ერთმანეთის გულშიც ვიყავით ადრე...

## IX

მონატრების მოტივი  
ძველი მუხამბაზია...

ზეთისხილის ყლორტვით  
და ვაზით ნაზია...  
მელის კაბა შანელის,  
მწერ : „გიყვარვარ... ნუთუო...“  
ნაბიჯი შევანელე —  
მომელანდე უთუოდ...

## X

ნატვრა ყაყაჩოდ გადაიქცა, ლექსად ტიტები—  
სხვა რაღა უნდა ამ სიყვარულს დასაბუთება...  
მონატრებისგან, სიშორისგან კვლავ ავტირდები  
და თითქოს ყელში დაგროვდება ცრემლი ბურთებად...  
სარკე ინახავს პარიზის ცის ღამის ანარეკლს,  
ატმის ყვავილთა დაფენა მთაწმინდას მტვერი...  
ცისკრის ზარები მოისმიან, დარდი განა რეკს,  
გალაკტიონის ლექსებშია ლოცვებად მერი...

## ნუნუ ქამუაბვილი

## მამულის

მიყვარს ჩემი მამული,  
მისი მთა და გორები...  
და კეთილი ზღაპრები,—  
პაპას გამოგონებით...  
მიყვარს შენი სიმღერა:  
„მამრული“, თუ — „ლილეო“,  
სიხარულს რომ გაჩუქებს, —  
სევდაა მოილიეო.  
მიყვარს ყველა ლეგენდა,—  
ამ მიწამ რაც დაბადა,  
გაზაფხულზე — ზურმუხტის,  
ზამთარს — თეთრი ლაბადა.  
მიყვარს ყველა ყვაილი,  
რომ ამკობენ სამშობლოს;  
სიხარული — ულევი,  
სევდა ღმერთმა გვაშოროს.  
ყველა მიყვარს, რაც გავსებს,  
გამაღლებს, გადაიღებს,  
ლამაზ ლექსით მსურს შევხვდე  
სამშობლოს განთიადებს.

## შემოდგომა

შემოდგომამ მოირგო —  
სამოსი, სულ, ახლებით...  
სექტემბერი გვეწვია:  
სავსე,— ყურძნის თანხლებით...  
გამოფინა რა ხილი:



ვაშლი, მსხალი, ქლიავი,  
ბროწეული გულსა ხსნის,  
ატამს კოცნის ნიავი.  
გვეფერება მზე ციდან,  
მოსავალს ხომ დაგპირდით...  
ხან — დარს, ღრუბელს, ხან — წვიმას,  
გარჯას უნდა ამინდი!  
სიყოჩადეს რა უნდა?  
მარნის კარიც ჭრიალებს;

შემოდგომავე, ბარაქით  
გული გაგვიმზიანე.

**ბაკურიანი**

— ამ ზაფხულს, ბაკურიანში,  
დავისვენოთ, თებრო,  
— წელიწადის ყოველ დროს ხომ  
იქ თოვლია, ბებო?..  
სათბილობელი წავიღოთ,  
ცივაც, — სანაქებო...  
— ზაფხულში, იქ, თოვლს რა უნდა?  
ზამთარშია, — მარტო,  
ჰოდა, სახლში დაარჩინე —  
ეგ, ფუმფულა პალტო.

**საჩუქარი**

ეკას კაბა უყიდეს, —  
დაქარგული ნოტებით,  
დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი, —  
აამღერა კორდები.  
დაზტუნაობს სიმღერით:  
აბა, დელი-დელია,  
რა ლამაზი კაბა მაქვს,—  
ზედ ნოტები სხდებიან.  
მამიდამ თქვა: გიხდება,  
მორგებულა, — რა კარგად;  
ეკამ: რა იქნებოდა,  
დოლიც რომ დაექარგათ?..

**„შაშვისპირა“**

დაჩიმ მორწყა ყვავილები,  
დააუწყდა „შაშვისპირა“,  
შაშვი, იქვე, ახლოს იყო,  
დანმარება დააპირა.  
— ეგ, ხომ, ჩემი სეხნიაა,  
გეხვდება, ყველგან დანაგარდობს...  
არ წავიდეს ამ ბალიდან,—  
რომ არ მორწყეს, ხომ არ დარდობს?..  
მაგას „ლომისპირაც“ ჰქვია,—  
ლომმაც კი არ იცის ესო...  
მე რომ მოვრწყავ, ეამება,  
ყვაილებთან მორბის კესო.  
გუშინ, საყურე მაჩუქა,  
ხომ, მიხდება? — ნახე, დაჩი!  
აჰა წყალი, შაშვისპირაც,  
გვიყვარხარ და ჩვენთან დარჩი!

**მხიარული ზევშები**

გავიკაჟე სხეული,  
ხან, — ზღვას შევხვდი, ხან, — მთას.  
ბებომ, — გაკაჟებული  
შეხვდებიო ზამთარს.  
პაპა ცივას აკეთებს  
და მეც მარჯვედ ვხელოსნობ;  
შემოვისხამ ცივაზე:  
ლელას, თიკოს, ელოსო.  
— მიაჟ, მიაჟ, მეც მინდა —  
სეირნობა ცივითო,  
— ფისო, თაგვებს მიხედე, —  
წესითა და რიგითო.  
— ჰამ, ჰამ, მეც სეირნობა  
მურამ, — როგორ მინდაო...  
უთხრეს: სჯობს, რომ მიხედო  
წიწილებს და ინდაურს.  
ციკოც მოდის, ფუჩინაც,  
აგერ, ბექაც მოვიდა...  
ცივა ბავშვებისაა,  
თქვენ გვიყურეთ შორიდან!

**შემოდგომა ნავიდა**

მზემ დაკეცა სხივები,  
შემოდგომა წავიდა...  
გაზაფხული რომ მოვა, —  
კვლავ, გამოშლის თავიდან.  
ახლა, ზამთრის მზე არი...  
თბილი, ალერსიანი:  
ნაკადულიც ღიღინებს  
შეყინული, ცვრიანი.  
მანამ ცა ფიფქს მოკაზმავს  
ნეტავი, დღემ იდაროს...  
მალე, ფუმფულა ფიფქით  
გააბრწყინებს მიდამოს.

**პირველი თოვლი**

სიყვარულით ზეცისკენ  
იცქირება ცირა,  
მოდინაო ფიფქები და  
ზგავრიელად ცვივა.  
ჩვენთან ყოფნა არჩიესო, —  
მიატოვეს ზეცა,  
დაე, ახლა, მთა-ბარს თეთრი  
სამოსელი ეცვას...

## ზაურ გონაშვილი

დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროს-მანის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, შესანიშნავი პოეტი და მშენებელი ოსტატი (9 ტაძრის აშენებული და აღმდგენი) ზაურ გონაშვილი 2019 წლის 23 ოქტომბერს 82 წლის გახდებოდა, თუმცა სამწუხაროდ 2016 წლის მაისში გარდაიცვალა. პოეზიის მოყვარულ საზოგადოებას კიდევ ერთხელ ვთავაზობთ მისი ლექსებით ტკობის საშუალებას:

\* \* \*


ძილში პეპელას ვიჭერდი,  
ხელიდან მიძვრებოდაო.  
მეორე დილით შენ შემხვდი,  
სიზმარი მიხდებოდაო.  
მხრებზე გეყვარა ნაწნავი,  
ო, როგორ გიხდებოდაო.  
არ ვიყავ შენი რჩეული  
და გული მიკვდებოდაო.  
შენით მკრთალობდნენ მნათობნი,  
მზე, მთვარე, ვარსკვლავებიო.  
შენ საალერსოდ მიწვევდნენ  
შოლტივით ნაწნავებიო.  
გაზაფხული და აპრილი  
ხელახლა იწყებოდაო.  
ვერ გაგიბედე — მიყვარხარ!  
რა ღმერთი მიწყვრებოდაო?!

### ტოროლოა

ბევრი იხარა, იგალა, ცაში აჭრილმა ტოროლოამ,  
ასეთი მომღერალი ხომ გაჩნდება თითო-ოროლა,  
ნეტავ სულ ჩემთან ამყოფა, გაფრენილიყო შორ არა,  
დამატკბო მაგის ჭიკჭიკით, სხვა არა გამაგონა რა,  
ან ნეტავ დამაჭვრინა, ნისკარტზე მამბოროანა.

\* \* \*

ხორნაბუჯივით მაღალი, ხორნაბუჯივით ერთგული,  
ხორნაბუჯივით მაგარი, ქვეყნის უღელში შებძული.  
ხორნაბუჯივით ძლიერი, ბუნების ქმნილი კედელი,  
მამულის ბურჯად დამდგარი სიმაგრე გაუტყეული.  
ხორნაბუჯივით ბებერი, მუდამ სიკეთის მჭედელი,  
ხორნაბუჯივით მტერთათვის კარები გაუღებელი.  
ვდგავარ მამულის დარაჯად მტერთა ურჩი და უჯერი,  
მათი მიხნების დამქცევი, ზაური ხორნაბუჯელი.



\* \* \*

გზად გოგო შემომეყვარა,  
რად არ მიხსენი, უფალო,  
დამჭრა და გადაიკარგა,  
ვიყავ უაბჯრო, უფარო.  
გული და თვალი წარმტაცა,  
დაურჩი უგულო, უთვალო,  
იმას იმდენი ცოდვა აქვს,  
ვერ მოსთვლი, წლები უთვალო.  
იქნებ შენ რამე ასმინო,  
მე უძღური ვარ, უფალო,  
იქნებ შენ გააგებინო,  
ცოდო არის-თქო, უთხარო.  
უთხარი, რაც შენ გიხილა,  
მან ველარ გაიხარა-თქო,  
გახმა და გამოიფიტა,  
სულ ცრემლად დაიღვარა-თქო.  
დამეებს თეთრად ათენებს,  
სიცოცხლე გაიმწარა-თქო,  
თუ გკითხოს, ხომ არ შემიძულდა,  
არა, არა და არა-თქო.

\* \* \*

ერთხელ მეც მომკლავ სიკვდილო,  
შეწყდება ჰარი-ჰარალო,

სისხლო, ძარღვებში დაშრები,  
 გულო, მიმტყუნებ ალალო.  
 არ დამჭირდები რვეულო,  
 არ დამჭირდები კალამო,  
 აღარც შენ, ლექსო ნანატრო,  
 მკედარ გულს რად უნდა მალამო.  
 აღარც ქაფია და ჩაქუჩო,  
 აღარც შვეულო და ლარო,  
 არ დამჭირდები სახლ-კარო,

აღარც ქვევრო და მარანო.  
 აღარცა თიხის ხელადავ,  
 არც მარგალიტო და ლალო,  
 დაგტოვებთ მთებო-ველებო,  
 დაგტოვებ, გრძელო დალალო.  
 იქ მივალ, სად სამუდამოდ  
 მამა-პაპანი მყვანანო,  
 იქ არაფერი სჭირდებათ,  
 სადაც ისინი წვანანო.

### ნიწო წიხლაგვილი

60 წლის გახდებოდა 2019 წლის 23 ოქტომბერს. უყვარდა, იბრძოდა, შრომობდა, ლაღობდა, დარღობდა. ასეთი იყო ნიწო წიკლაგვილი. ერთ ლექსში წერდა:

„როცა მოგვედები, აღარ ვიქნები,  
 დამეხუჭება როცა თვალები,  
 ვისაც ვუყვარდი, თუ არ ვუყვარდი,  
 მერე სუვევლას შევებრალები“.

ადამიანის არსიც იმაშია, სიკვდილის მერეც ახსოვდეთ და უყვარდეთ.

\* \* \*

სიყვარულს დაულოცავ, უიღბლოს, იღბლიანს,  
 უიღბლო სიყვარულსაც თავისი ხიბლი აქვს,  
 უიღბლო სიყვარული ხან დარდი, ფიქრია,  
 უიღბლო სიყვარული უმანკო ფიფქია,  
 უიღბლო სიყვარული ხან დარდი, გლოვაა.  
 უიღბლო სიყვარული ხან ფოთოლცვენაა,  
 ხან სილის კოშკია, ზეცაში ფრენაა,  
 ლამაზი წვიმაა, პეპელას ფრთებია,  
 უძირო ზღვაა და ცისფერი მთებია...  
 ხან სველი საკინძით, ხან სველი ბალიშით,  
 ცრემლების ჩანჩქერი თავისას არ იშლის...  
 ქურდულად მოპარული უძილო აისი, —  
 უიღბლო სიყვარულსაც ხიბლი აქვს თავისი.

### ჩემი ცხოვრების შუადღეს შემხვდი

ჩემი ცხოვრების შუადღეს შემხვდი,  
 როცა დავიწყეთ ქვემოთ დაშვება,  
 რა სიხარულიც შენ მომიტანე,  
 რა აღმაფრენა, ვნება და შვება.  
 ვერც რა სიმდიდრე, არც რა ქონება,  
 ვერც რა ვერცხლის და ოქროს ზოდები,  
 რა შეედრება იმ ლამაზ გრძნობას  
 საღამოობით რომ გელოდები.  
 რა ფუფუნება, რის ფუფუნება,



ფუფუნებაა განა ფუფუნები?!  
 რა მომკლავს, ანდა რა დამაბერებს,  
 რაკი ამ ქვეყნად შენ მეგულები.  
 ჩემი ცხოვრების შუადღეს შემხვდი,  
 შემოდგომის ცივ, ცრიატ საღამოს,  
 ნეტავ სულ ერთად, სულ ერთად ვიყოთ,  
 შენს სიყვარულში შემომადამოს.  
 ნეტავ ეს ტკბობა, ნეტავ ეს თრობა  
 დიდხანს და დიდხანს, დიდხანს გაგრძელდეს,  
 როგორც ზღაპარში ათასერთ ღამის  
 შენს შაჰრაზადას შემომათენდეს.  
 სულ სხვა ძალა აქვს, სხვა ანდამატი,  
 ამ ცანცანს, ტრფობას და ამ ფორიაქს,  
 ღმერთო, ნუ მოშლი, ნუ გამომილევე  
 ამ სიყვარულის ეიფორიას...  
 ჩემი ცხოვრების შუადღეს შემხვდი,  
 როცა დავიწყეთ ქვემოთ დაშვება,  
 ამბობ, დავშორდეთ? — რაღა დროსია,  
 ტიალი გული ამას არ შვრება.



აბუ ალი იბნ  
სინა  
(980 \_ 1037)  
(ვეროპაში ცნობილია,  
როგორც „აფიცენა“)



როზაიენი

\*\*\*

თუმცა დაუქანცე ჩემი გული სხეულში ძვერით,  
თუმცა შევძელ და თმა გავხლიჩე თმისავე ღერით,  
თუმცა შევიცან მზის მიმოსვლის იღუმალება,  
ღმერთს ვერ მივაგენ ვერცა სმენით და ვერცა ენით.

\*\*\*

ღვინო თუ ბრძენის მოყვარეა, ბრიყვის მტერია,  
ზოგს წამლად ერგო, ზოგისათვის შხამი ერია;  
ბევრის დაღვეას თუ მცირედი ზიანი მოაქვს,  
ცოტას რომ დაღვე, სარგებელი ძალზედ ბევრია.

\*\*\*

შენი მოყვარე დღეს თუ მტერთან დაიარება,  
აღარ ღირს მასთან მეგობრობის გაზიარება;  
ფრთხილად იყავი, თუ სამოყვროდ გეწვია კვლავაც,  
ის იყო, გველის კუდს რომ ება, სხვა კი არ ება.

\*\*\*

ღმერთს განვუდექ და ვერ ვირწმუნე ზეცა და ზენა,  
მხოლოდ ის მწამდა, რასაც მისწვდა თვალი და სმენა;  
წუთისოფელმა მე გამანდო საიდუმლო და  
მეც რომ ურწმუნოდ მიმიჩნიეს, ვიღას აქვს რწმენა?!

\*\*\*

თუ მოხუცდი და დაგეწრიტა ჭაბუკის ვნება,  
ამ სიბერეში ცოდვათაქმნის აღარ გაქვს ნება;  
ღამის წყვიდში რაც შესცოდე, ალალი იყოს,  
დღეს ხომ გათენდა, გონს მოდი და ეძიე შევება.

\*\*\*

სანამ საწუთროს შზე დაგნათის ოქროცურვილი,  
გიჯობს მოიკლა სიყვარულით გულის წყირვილი;  
თუ რამ ძალა გაქვს, შენს სურვილებს დღეს მოახმარე,  
თორემ სულ მალე წაგერთმევა ყველა სურვილი.

\*\*\*

შენ სამი რამით დამაფიწყე მე სამი რამე:  
ღაწვებით — ვარდი, ბაგით — ღვინო და ზილფით — ღამე;  
მე კი სამი რამ ამ სამ რამეს შეეწირე მსხვერპლად:  
ოცნებას — ძილი, ეჭვს — გული და ჭმუნვას — სიამე.

\*\*\*

ქვესკნელ-ზესკნელში ვნახე ყველა დაღ და აღმართი,

ყველა სიძნელე გადავლახე — მრუდე და მართი,  
ყველა ცდუნების და მზაკერობის განხლართე ნართი....  
არ განხლართა მხოლოდ ერთი — სიკვდილის ხლართი.



ნაყანი  
პირვანელი  
(1120 \_ 1199)

როზაიენი

\*\*\*

ო, დაკარგულო, ნატვრისთვალო, სადღა გექებო?  
შეებად თუ ვეღარ მომეველინე, რადღა გექებო?  
ყველას ვკითხე და ვერსად გნახე და ისღა დამრჩა  
ამ წუთისოფლის უკანასკნელ გზადღა გექებო.

\*\*\*

ჩემს სულში შენი სიყვარულით რადგან იალე,  
სევდის მეჯლისში სანთელივით მეც მაბრიალე;  
სულ გაუებოდი ტრფობას, მაგრამ შენ, ვით ოსტატმა,  
მე ბრიყვ შეგიღრდად მაქციე და გამატიალე.

\*\*\*

არ მეგონა, თუ ვეღარასდროს დაგინახავდი,  
რომ დარდის ზღვაში ამაო ჩემი ღაღადი...  
გულიდან შეება ტრფობის ტალღამ წარიტაცა და  
ჩემს თვალში ძილი ჩანს ისე, ვით წყალზე ნახატი.

\*\*\*

სიცოცხლე, რასაც გუნდრუკს უკმევე, არაფერია,  
დანგრეულ სახლში ხსოვნა უკვე არაფერია;  
ნაღდ თუ ნისია საწუთროში მე სიჭაბუკით  
ვიხარე მხოლოდ... სიჭაბუკეც არაფერია.

საალი  
პირაზელი  
(1120 \_ 1199)

იგავენი „ზუსთანიდან“



\*\*\*

ერთმა ჭაბუკმა თავისი მეუღლის აშარობა და  
სიანხნლე მოხუცს შესჩვილა... ასე დაიწყო თხრობა და  
აკენესდა: „ცოლი კი არა, მტერი ყოფილა რამ ჩემი,  
თითქოს წისქვილის დოლაბში მე ქვედა ქვა ვარ საცემი“.  
მოხუცმა უთხრა: „ის გიჯობს, რაც ღმერთმა მოცდა, მოიერგო,  
ვინც მოითმინა ამქვეყნად, იმან ყოველთვის მოიგო.  
ღამღამობით თუ წისქვილის ზედა ქვა შენ ხარ, ყმაწვილო.“

დღე ქვედა იყავ... ეს ხვედრი არა გსურს გაინაწილო?!“  
ვარდის სურნელით თუ ტკბები, სიამით განახლები,  
ვარდის ეკლები ჩხვლეტასაც სჯობს მიაჩვიო ხელები.  
ხე, რომლისგანაც ტკბილ ნაყოფს მიირთმევ მთელი სიცოცხლე,  
ეკალს თუ გიჩხვლეტს ხანდახან, ამის ატანაც იცოდე.

\*\*\*

ნაცნობმა ნაცნობს უამბო ქალაქის ავან-ჩავანი,  
უთხრა: „ზურგსუკან ცუდ ამბებს ყვებო შენზე მაგანი“.  
სუფიმი თქვა: „წადი, გამშორდი, ძმაო, სათქმელით შენითა,  
სჯობს, არ ვიცოდე, რაც მტერმა თქვა ჩემზე ავი ენითა“.  
ჭორების მიტან-მოტანა ბოროტი კაცის წესია —  
ვინც მტრისგან ამბავს მოგიტანს, ის მტერზე უარესია.  
ვინც მოყვასს მისი მტრის სიტყვებს ამცნობს,

გეტყვი, რომ ცხადია,

ასეთ კაცს ქვეყნად მართოდენ შუღლის დათესვა სწადია.  
მაბეზღარს ის უხარია, ნაპერწკალი რომ აღდება  
და ცუდი ამბის მიტანით მსმენელი აკანკალდება.  
შენც დუშმანი ხარ მოყვრისთვის, მასთან თუ მორთე ქაქანი  
და ამცნე მისი დუშმანის რამე — ფარულად ნათქვამი.  
აუცი სიტყვით ახლდება დავიწყებული ომები,  
კარდაკარ დაატარებენ სიტყვებს სიავის მღომები,  
გამორდი იმ კაცს, თუ მიხვდი, რომ ავი ენა ჰქონია,  
ხიფათის შექმნით ამ კაცთან მტერიც კი მონაგონია.  
ავსიტყვა კაცი ორმოში სჯობს ჩააგდო და იქ ებას,  
თორემ ბოროტ სულს თავისას სხვის ლანძღვით გამოიკვებავს.  
მტრობა რომ ცეცხლს ჰგავს, ამქვეყნად ამას ხვდებიან ცოტანი  
და ცეცხლში თითქოს შემას ყრის ამბების მიმტან-მომტანი.

\*\*\*

გზად ერთი კაცი ჩიოდა, ქარაავანს ჩამორჩენილი:  
„მთელ უდაბნოში მე ვარო ასე უბედოდ შთენილი“.  
ბრძენკაცს, ჭირთავან გამოცდილს, ესმა ამ კაცის ჩივილი.  
უთხრა: „მისინე, თუ გსურს, რომ მოგშორდეს გულის ტკივილი,  
წადი, ღმერთს მაღლი შესწირე, რომ ტვირთს არ ზიდევ მთლიანად,  
რომ აგაცილა ვირობა და გაჩნდი ადამიანად“.



ხოსრო  
დეჰლავი  
(1253 \_ 1325)

ყაზალენი

ო, რა იქნება, სატრფომ მომიხმოს,  
ო, ნეტავ სახლის კარი გამიღოს,  
გამიზაფხულოს ეს შემოდგომა  
და მერე ბალის კარი გამიღოს.  
ჭაბუკი ვიყავ, სატრფოს ვენდე და  
მოხუცი კვლავაც მას ვეძინები,  
ოღონდ ერთხელაც გავახსენდე და  
მე, თმენით დაღლილს, კარი გამიღოს.  
ჩემო თვალებო, ცრემლები ღვარეთ,

ცრემლით დაბრძვადით, ჩემო თვალებო,  
გამოიხედოს მან ვეგებ გარეთ  
და თვალებდათხრილს კარი გამიღოს.  
ამდენი ეჭვით გული დაოსდა,  
მაინც არ ვიცი, რა ბედი მეღის,  
ან იმედის ბჭე დამიგმანოს და  
ან სივარდის კარი გამიღოს.  
მაგრამ ვაგლახ, თუ ტრფივალს არ იხდენს  
და ასე მართომ უნდა იაროს,  
სამარის კართან უნდა დამიხვდეს  
და მე, ვაგლახ, ის კარი გამიღოს?!  
ამაო ფიქრთა ზღვარს გადავედი,  
რისთვის ვიმრავლებ ნეტავ კაემანს?  
ხო სო, ვინ მომცა მე იმის ბედი,  
სატრფომ რომ სახლის კარი გამიღოს.

\*\*\*

ღამის ნიღაბი რომ შორდება დღის ნათელ სახეს  
და დედამიწა ალიონზე თვალებს რომ ახელს,  
ცისკრის ნიავი დაქრის მაშინ ცის ტატნობზე და  
აღმოსავლეთის ლამაზმანის სიტურფეს ამხელს.

მე მშურს იმ კაცის, სატრფოსთან რომ ხვდება განთიადს  
და ვნებით მთვრალი რომ იფიწყებს გამჩენის სახელს.

ჰე, მერიქიფევე, რად არ მნახავ მუდამ სევდიანს?  
რატომ არ მისხამ ჯამში ღვინოს, სევდისგან დამხსნელს?

დღეს, ვით ყაყაჩო, ცარიელი ჯამით ვდგავარ და  
ღვინოზე ფიქრი ჰკუას მიმღვრევეს და თავბრუს მახვევეს.

ამ განთიადზე ხელით დააქვს გული ხოსროს და  
მწარედ დასტირის მართლობის ვაების მნახველს.



ქამალ ხოჯენდი  
(1321 \_ 1400)

ყაზალი

ო, სატრფოვ ჩემო, როგორ მომბეზრდა  
კენტად თარეში უცხო მხარეში,  
შენ ხომ არ იცი, რა მწუხარების  
ზღვაში ჩავეშვი უცხო მხარეში.  
ჩემს სამშობლოს და ჩემს ტკბილ მეგობრებს  
ვნატრობ და ვტირი ყოველ ცისმარე  
და ვედარ ვუძლებ შემზარავ ნაღველს  
ჩემზედ დაგეშილს უცხო მხარეში.  
ჩემს უსასო და ვაგლახ ყოფას  
მართო ისეთი კაცი გაიგებს,  
ვისაც ჩემსავით უწაწალია  
ღვინით გაღვეშილს უცხო მხარეში.

ო, სატროფოე ჩემო, სიცოცხლე ჩემო,  
 რად არ გამხადე მე იმის ღირსი,  
 რომ ერთხელ მაინც გეკითხა — რა მჭირს,  
 სად ვარ, რა დღეში.... უცხო მხარეში.  
 მე ამ ქალაქში არავინ მიცნობს,  
 არავის უნდა ჩემი ლექსები...  
 რა იქნებოდა — შენთვის შემდგრა  
 და არ გაგემვი უცხო მხარეში?!  
 გაუსადღისდა საბრალო ქ ა მ ა ლ ს  
 მარტო ყოფნა და თავის გატანა  
 და უცხოდ დადის უცხო მხარეში....  
 უცხო მხარეში... უცხო მხარეში...



**ჰოვოი  
 შირაშელი  
 (1325 \_ 1390)**

**ყაზაღენი**

\*\*\*

ათასი გული შებოჭა სატროფომ თმითა და კავებით,  
 ჩვენც, მათ საშველად მოსულნი ათასნი, ოთხმხრივ გავებით.  
 ზილფებს აკმია ამბარი და ყველას მისწვდა ამბავი,  
 რომ მიჯნურთ სული წაგვართვა სურნელის მონანავებით.  
 წარბშებრით მოვარეს ჰგავს ახალს, უკეთეს თვალი რას ნახავს?!  
 მაგრამ დამალავს სახეს და გონს ვკარგავთ შმაგი თავებით.



**ანა  
 ახმატოვა**

\*\*\*

პირგაზაფხულზე დგება დღეები,  
 კორდს თოვლის ქვეშ რომ მიუძინია,  
 და ტკარცალებენ მშრალი ხეები  
 და ქარი თბილი და მოქნილია  
 და სიმსუბუქეს ჰკვირობს სხეული  
 და შენი სახლი ვედარ გიცნია  
 და ის სიმღერა, მობეზრებული,  
 რომ არ იმღერო, არ შეგიძლია.

მწდო, ღვინით როცა მოხვალ, ჯამი იმ ფერით მოხატე,  
 ღვინის ციმციმი რომ ხატავს ზედ ღოქის დაპირქვევებით.

ღმერთო, ეს სურა რას სცოდავს, რომ სულ აკვნესებს საცოდავს  
 ღვინო იმის ყელს ჯამებში ჩამოწრეტ-ჩამოთავებით.

ან ამ მუტრბობის რა ჰანგმა დაგვბანგა?! — მოსპო რა ბანგმა  
 მომლხენტა ღრიანცელი და ღუმილის ჯაჭვით დავებით...

ჰ ა ფ ე ზ, თუ ტროფობის გარეშე სიცოცხლე მოითარეშე,  
 გაგიმრუდდება ყველა გზა მომლოცველ-სალოცავებით.

\*\*\*

ჯამში ღვინო ჩამომისხი, მერიქიფევე, ხომ გათენდა!  
 ჩქარა, თორემ არ დაგვინდობს ეს საწუთრო მე და შენ და

საქმეს ისე ადასრულებს, რომ ამოგვხდის მალე სულელებს,  
 ღვინით ვპოვოთ შვება, სანამ ყველაფერი გადაშენდა.

ღვინით ცოცხლობს ეს სასმისი, თითქოს ღვინო მზეა მისი,  
 გაიღვიძე! შენი ძილით ულხინოდ ნუ დაგვარჩენ და

სხვას განგებას შეთხოვთ ნურას, ჩვენი მტვრით რომ შექმნის სურას,  
 იქ ჩაასხას მხოლოდ ღვინო, ჩვენ სიცოცხლის მადლს რომ გვეფენდა.

ჩვენში მლოცველს ვერვის ნახავ, ამის გამო ნუ დაგვძრახავ,  
 ალიონზე, განა ღოცვა, მხოლოდ ღვინა გვინდა ჩვენ და...

აჲ, ჰ ა ფ ე ზ ი ს სიტყვას ენდეთ, ფუჭად რომ არ გადაშენდეთ,  
 შვესვათ ღვინო, რაც ამ დილით სულ პირველად გაგვახსენდა.

**თარგმნა ალექსანდრე ელერდაშვილმა**

\*\*\*

შენ კი გეგონა — ვარ იმათგანი,  
 რომელსაც წასვლით გულს გაუხეთქავ,  
 რომ დავემზობი ხვეწნა-კანკალით  
 შენი ქურანა ცხენის მუხლებთან,

ან გრძნეულთაგან ჯადოს ვისწავლი,  
 შელოცვილ წყალში მოხარშვას ბანგის  
 და უცნაურ ძღვენს გამოგიგზავნი —  
 ინანთუულით ნაპკურებ მანდილს.

კრულ იყავ. მე კი ჩავიკლავ გზნებას  
 და შენს წყეულ სულს აღარ მიფწვდები,  
 თუმც, გეფიცები ანგელოზთა ბაღს,  
 სასწაულმოქმედ ხატს გეფიცები  
 და ჩვენს ღამეთა მწველ მზურვალებას —  
 რომ ვედარასდროს ვერ მეღირსები.



# ალექსანდრ ბლოკი

\* \* \*

ღამე, შუკა, ფანარი და აფთიაქი,  
უაზრო და უღიმღამო შუქი,

ან რად გინდა კიდევ წლობით ფორიაქი,  
გამოსავალს ვერ იპოვნი თუკი.

მოკვდები და თავიდან გაქვს დასაწყები,  
გარდასული მობრუნდება უკან:  
ღამე, თოშით მოცახცახე არხის წყლები,  
აფთიაქი, ფანარი და შუკა.

ფხიზლობს თბილისი, მოცლილი, ლაღი,  
ხმებით დასტათა და მოცინართა,  
შორს კი ციაგებს ალმასთა ჩაღი  
მთათა, ბინდებში ძლივს მოჩინართა.  
ჩრდილოეთით კი, სადაც მხარეა  
ყინულთა ხორგის და ნამქერების,  
უფრო პირქუში და მწუხარეა  
მთვარეულ კვამლში ტრიამელების.

## ყვავილები, ზზიკები, ბალახი და ყანები...

ყვავილები, ბზიკები, ბალახი და ყანები,  
ლაჟვარდი და შუადღის მცხუნვარება...  
ღრო მოუა და უძღვებ შვილს მკითხავს სათაყვანები:  
„საწუთროში თუ გერგო ნეტარება?“

დაევიწყებ ყოველს და თქვენდა გამახსენდებით,  
გაკვალული კორდი და ყანობირი,  
და პასუხად დავალტობ ნეტარების ცრემლებით,  
მის მოწყალე მუხლებთან დამხობილი.



# იოსიფ ბროდსკი

\* \* \*

შინ დაბრუნებას აპირებ. კარგი.  
მიმოიხედე, ვის უნდი კიდევ,  
ვისთვის იქნები მეგობრად მარგი...  
რაკი ბრუნდები, ვახშმად იყიდე  
რაიმე ტკბილი ღვინო. ფანჯრიდან

გახედავ, ფიქრში გაირინდები:  
ყველაფერ ამაღ ნეტავ რა გრჯიდა...  
კარგი. მადლობა. უფალს დიდება.  
კარგია, რომ ბრალს ვერავის დასდებ  
და არც თავად ხარ ხუნდდადებული,  
რარიგ კარგია, რომ სიკვდილამდე  
უყვარდე — არვინ გყავს ვალდებული.  
რარიგ კარგია, რომ სხვისი ხელი  
არ გაცილებდა ბნელში არასდროს,  
რარიგ კარგია, როს მარტოხელა  
ფეხით დატოვებ რუხრუხა სადგურს.  
როცა, შინისკენ აჩქარებული,  
შენს თავს დაუჭერ არაწრფელ სიტყვებს  
და უმაღ ხვდები, რომ შენი სული  
უკვე მომავალ ცვლილებებს ირგებს.

# მარინა ცვეტაევა



## ჩემს ლექსებს

ჩემს ლექსებს,  
ისე ადრე დაწერილს,  
როცა არც იცი,  
პოეტი რომ ხარ,  
ვითარცა შეფეხს, ჭავლზე აწყვეტილს,  
ჩინჩხლებს, რაკეტას მომწყდარს,  
ტაძარში, სუნში საკმეველისა,  
შემოსეულებს, ვით ციდა ეშმებს,  
ლექსებს ყრმობისა და სიკვდილისა,  
ჩემს წაუკითხავ ლექსებს!  
მოუკითხავენს და უჩინოებს  
(წიგნის დახლებზე რომ ფარავს მტვერი),  
ჩემს ლექსებს, როგორც ძვირფას ღვინოებს,  
მოუვა თავის ჯვერი.



# ივან ბუნიინი

\* \* \*

დასცქერის მთვარე  
ფორიაქს მტკვარის  
და ლამპიონებს  
მტკვარის გადღმით,  
თბილისი მთვარის  
ჩადრის ქვეშ არის,

სულშეხუთული ქუჩების ალხით.

# ათანას ფეტი

\* \* \*

ჩუმი სუნთქვა და ჩურჩული,  
ბულბულების ჭრინი,  
ძილმორეულ ნაკადულის  
ვერცხლის ანაბზინი,  
ღამის შუქი და ლანდების  
უსასრულო წყება,  
სატრფოს სახის ცვლილებების  
იდუმალი გრძნება,



კვამლა ღრუბლის ძოწეულზე  
ქარვის ქარცი კვალი,  
კოცნა, ცრემლი, ცისკიდურზე  
დაფიონის ალი.

\* \* \*

გაზაფხულის მთვარე  
გამოიჭრეტს ღრუბლით,  
სუნთქაეს ბაღის ფერი  
ვაშლით და ალუბლით,  
კოცნით გეტმასნება  
იღუმალი ვნება,  
ნუთუ სულ არ დარდობ?  
სულ არ გენაღვლება?

ვარდის ნატყვრით შლევო  
მაფშალია გოდებს,  
გუბურაში ცრემლი  
ჩასწანწკარებს ლოდებს,  
შენ კი დალალები  
მკერდზე ჩამოგცვივა...  
ნუთუ არ იღლები?  
ნუთუ არა გტკივა?



### სერგეი ესენინი

\* \* \*

ნუ მიღიმი ცივად  
და ნუ გითრთის ხელი,  
მე სხვა მიყვარს, ჩემგან  
ნულარაფერს ელი.

თვადაც ზომ იცი, იცი ძლიერ კარგად,  
არ მოვსულვარ შენთან დროის დასაკარგად.

ჩაგიარე, ამ გულს არა ჰქონდა ვალი,  
ისე, სხვათა შორის, გამომექცა თვალი.

\* \* \*

ცისაფერი კვართი და თვალები ლურჯი.  
არ გაუანდე სატრფოს, რაცა მქონდა გულში.

მან კი მკითხა: „რა ვქნათ ამ ბუქსა და ქარში?  
შევუკეთებ ღუმელს და ქვეშაგებს გავშლი“.

ვუთხარ: „ზეცა, თეთრი ყვავილებით სავსე,  
ვიღაც ონავარმა დაგვაპენტა თავზე.“

ჰოდა კარგსაც იზამ, ლოგინს გაშლი თუკი,  
უშენოდ ზომ გულში ქარია და ბუქი“.

### მაქსიმ გორკი

#### სიმღერა ქარიშხალაზე



ზღვის ჭადარა ჭველის თავზე ერე-  
კება ღრუბლებს ქარი. ღრუბლებსა და  
ზღვას შუა კი ამაყად ფრენს ქარიშხ-  
ალა, შავი ელვის დასადარი.

ხან რომ ტალღას შეეხება, ხან  
ღრუბლებში აიჭრება, თან ყივის და  
ამ ყივილში ესმით ღრუბლებს აღტაცება.

მის ძახილში სჭვივის ნება! რისხვის ძალი, ვნების ალი  
და საბრძოლო შემართება ესმით ღრუბლებს ამ ძახილში.  
თოლიები შიშით ყეფენ და დამფრთხალნი ფარფატებენ,  
მზად არიან ზღვის სიღრმეში გადაძალონ მათ ეს შიში.

ისმის იხვთა წიოკობა, სიცოცხლისთვის ბრძოლით  
ტკობა მათთვის არის უცხო ხილი. იხვს აშინებს ცის  
ქუხილი.

რეგვენ პინგვინს ქონიანი დაუმაღავს ტინში ტანი...  
მხოლოდ ყინი ქარიშხალა დალივლივებს ლაღად ზღვაზე,  
ტალღის ქაფით ჭადარაზე.

ღრუბლები კი, პირქუშები, უფრო დაბლა ეგებიან,  
ხოლო ზვირთნი ზეცის გრუხუნს მღერით მიეგებებიან.

ქუსს და ზვირთი, ქართმებრძოლი, რისხვას გმინვით  
აღაქაფებს, ხოლო ქარი ტალღის რემას ძალუმ ძალით  
აღიტაცებს და ველურის გავეშებით შეახეთქებს სალ ქა-  
რაფებს და ზურმუხტებს, უზარმაზარს, აქცევს მტვრად  
და ნამსხვრევებად.

ქარიშხალა ყივის და ფრენს, შავი ელვის დასადარი,  
ისარივით გმირავს ღრუბლებს, ფრთით აკაფავს ტალღის  
ქაფებს.

აი, დაჰქრის ეშმასავით. ქარიშხალთა ეშმა შავი იცინის  
და მოთქვამს გზნებით, ის დასცინის აუღრის ღრუბელს და  
ქვითინებს აღტაცებით!

მეხის ხმაში ფხიზელ ეშმას დალილობის ესმის ხმები  
და მას სჯერა — ვერასოდეს ვერ დაფარავს მხეს ღრუ-  
ბლები!

ქარი ღმუის... გრგვინავს მეხი...

ზღვას დაჰყურებს ლურჯი ალით მოელვარე ღრუბლის  
ჯარი. ზღვა იტაცებს ელვის ჭავლებს და მორევში ჩაა-  
ნავლებს და ელვათა ანარეკლი, ვით ცეცხლოვან გველთა  
წყება, ისახება ზღვის სარკეში, ვიდრე მასში დაინთქმება.

— ქარიშხალი ახლოვდება!

და მამაცი ქარიშხალა ელვით შორის მოთარეშე ვით  
შეაკრთოს აჟმა წყალმა. ყივის გამარჯვების მაცნე:

— დე, იმძლაგროს ქარიშხალმა!..

# იოჰან ვოლფგანგ გოეთე



## განმორებულის

რა ხდება,  
 ნუთუ მართლა დაგკარგე?  
 ნუთუ დამტოვე? ო, არა მჯერა!  
 მაშ ძველებურად ყურში რადა რეკს  
 შენი ყოველი სიტყვა და ბგერა.  
 როგორც მოგზაურს, დილაადრიდან,  
 ცაზე ამოდ დაურბის მხერა,  
 მისი უძირო სილაჟვარდიდან  
 როს ჩამოესმის ტოროლას მღერა,  
 მეც ასე გეძებ, თვალის ცეცებით,  
 მინდორში, ტყეში, ზემოთ და ქვემოთ  
 და ცრემლიანით გიხმობ ლექსებით:  
 დამიბრუნდიო, სიცოცხლევ ჩემო!

## ტყის მეფე

ვინ მოჰქრის ნეტავ დამეში, ქარში?  
 მამაა, მოჰყავს პატარა ბაეში.  
 აუტატია ბიჭუნა ფრთხილად,  
 გულში ჩაუკრავს მყუდროდ და თბილად.

— რად დაგიფარავს შვილიკო სახე?  
 — ტყის მეფე მოგვდევს მამიკო, ნახე!  
 ნუთუ ვერ ხედავ კულსა და გვირგვინს?  
 — შვილო, ეგ ოდენ ფთილაა ნისლის.

— წამომყევ ბიჭო, დაეხსენ მამას!  
 გეთამაშები უამრავ თამაშს.  
 ყვავილთა ფარჩა ამკობს ჩემს ხერთვისს,  
 დედას კი ოქროს კვართი აქვს შენთვის!

— მამა, მამილო, არ გესმის მართლა,  
 რა ჩამწურჩულა ტყის მეფემ ახლა?  
 დამშვიდდი, შვილო, რა გაწრიალებს,  
 ხმელმა ფოთლებმა გაიშრიალეს.

— პატარავ, რად არ შემორჩილები?  
 გელიან ჩემი ქალიშვილები,  
 ისინი ფერხულს მართავენ დამით,  
 არ მოგაკლებენ მოლხენას წამით.

— მამა, ვერ ხედავ ტყის მეფის შვილებს  
 გაღმა მდგომარეთ, ბინდით მოსილებს?  
 — ვხედავ, შვილიკო, ვერ ვხედავ განა,  
 იქ ნისლისფერი ძეწნები ღვანან.

— მონუსხული ვარ შენი მშვენებით,  
 ძალით წაგიყვან, თუ არ გსურს ნებით!  
 ისმის ჩურჩული პატარა ბიჭის  
 — ხელი ჩამავლო, მტკივა და მიჭირს!

შეშინდა მამა, ცხენს ქუსლავს დეზით,  
 შეძრული შვილის ბორგვით და კვნესით,  
 ქანცმილეული შეიჭრა კარში...  
 მკლავებში შერჩა უსულო ბაეში.

# ჰაინრიხ ჰაინე



## წარვედ

ოდესმე ქალი თუ  
 შეგაქცევს ზურგს,  
 უმალ მიეკედლე სხვა ქალს,  
 თუმცა კი ყველაფერს  
 აჯობებს, თუ  
 სულაც გაეცლები ქალაქს.

გზად მალე მიაგნებ კამკამა ტბას,  
 მტირალა ტირიფთა რკალში,  
 ცრემლებით გაანდე ეგ დარდი მას,  
 შენც შემსუბუქდები მაშინ.

მერე შეუყვები ციცაბო გზას,  
 უმატებ ქოშინს და ჩივილს,  
 მაგრამ როს კორტონზე შედგები მთას,  
 გაიგებ არწივთა ყივილს.

თავადაც არწივად შეიგრძნობ თავს,  
 ახლადშობილი და მშვიდი,  
 სილალეს იგრძნობ და მიხვდები თან,  
 არც რა დაგიკარგავს დიდი.

# ჰერმან ჰინე

## ბინდი

ბინდი უცხო ფიქრებს გახვევს,  
 ეულია მასში ყველა.  
 ხე ვერ ხედავს ახლა სხვა ხეს,  
 არის მარტოხელა,  
 მეგობრებით ვიყავ სავსე  
 ვიდრე შუქი გამეხარჯა,  
 ახლა ბინდი დაწვა გზაზე,  
 აღარავინ არ ჩანს.  
 არ ხარ სიბრძნის მქონებელი,  
 თუ არ იცი რაა ბნელი,  
 ასე ჯიუტად და ნელა  
 რომ გაკრიფა ყველა.



ბინდი უცხო ფიქრებს გახვევს,  
არც არსაით არ ჩანს შევლა.  
კაცი ვერ ცნობს კაცის სახეს,  
არის მარტოხელა,

ყვაილთა, ოქროფერთა,  
სველით საუსე უბეში,  
ჩაცხრა და ჩამობერდა  
სიჩუმეში, მრუმეში.

**პეპელა, წისფერფროთება**

ქარსმოყოლილი, ნახე  
პეპელა, ცისფერფროთება,  
სადაფად მოცახცახე  
კრთება, ციმციმებს, ქრება.

ცხოვრებაშიაც მდევლა  
ამგვარი გაელვება,  
დაგენახება სვე და  
კრთება, ციმციმებს, ქრება.

**გეორგ ჰაიმი**

**ნაბუნობა**

ნაბუნობა თიბათვის,  
მხრებზე ტალღები გრემა თმის,  
ოქროს და მოვის მსგავსი.

ხელი ჩამკიდე მაშინ და  
ჩვენს უკან მტვერი გახშირდა  
მინდვრად გათელილ გზაზე.

ხეები, ცინცხალფერება,  
თავდავიწყებით თქერება,  
მანანის სიხასხასე.

ირგვლე კი, რა სასურველი,  
ნაბუნობის სურნელი  
და ჩვენ, ერთურთით საუსე.

**გეორგ თრაქლი**

**მხესუმზირები**

ოქროს მხესუმზირებო,  
ჭკობად მიდრეკილებო,  
ლებო, ქედმოხრილებო  
ამგვარ მდუმარებაში  
გადის წელი მზიური  
მთიურ აგრილებაში.

და შუბლი, ნამთვრალეები,  
კოცნით ნაფერპკრთალები



**გობფრიდ ბენი**

**ასტრები**

ასტრები — მიმქრალი დღენი,  
ის ძველი ხიბლი და გრძნება,  
ფერხდება ზეარსთა ხელით  
დროების სასწორის რწევა.

ერთხელაც — რემათა ქობა,  
ოქროსი, ზეცა და შუქი,  
რას ჩეკავს ჩაუღილი ყოფა,  
ფრთები დამჭკნარია თუკი?

ერთხელაც — ვარდების მირქმა,  
მოხმობა ვნებათა ცეცხლის,  
სარკმელთან ზაფხული იდგა,  
და სველით გასცქერდა მერცხლებს.

ერთხელაც — რა ეჭვიც ამღვრევს,  
იხილავს ახდენილს ლამის:  
მერცხლები კაწრავენ ტალღებს  
და ნთქავენ სრბოლას და ღამეს.

**წრებრუნვა**

მეძავის გვამს, ამოუცნობს  
ერთი კბილი შერჩენოდა  
ისიც ოქროგადაკრული  
დანარჩენი შეთქმულივით  
გაჰპარვოდა.  
ეს ბოლო კი მორგის კაცმა მოგლიჯა და  
გირათი საცეკვაოდ გაემართა  
რამეთუ, თელის,  
მიწას ოდენ მიწა უნდა დაუბრუნდეს.

**რაინარ მარია რილჟა**

**ესჰანელი მოწყვავე**

როგორც გაკრული ასანთის ღერი  
ისვრის პირველწამს  
შუშუნა ბწყალებს,  
ის იწყებს როკვას, ყელმონადერი  
და მაცქერალთა მოჯრილი ჯერი  
მისი რიტმით და ვნებით ტორტმანებს.



აგიზგიზდება უცბად სხეული.  
 თმას ალს წაჰკიდებს მხერა გრძნეული,  
 და ჯადოსნური ფერისცვალება  
 კაბასაც აქცევს ცეცხლის ალებად  
 და ამ ცეცხლიდან, როგორც გველები,  
 აიკლაკნება მისი ხელები.  
 მერე კი ხანძარს იჩქითად ჩასხეპს  
 და გამეტებით ძირს დაანარცხებს,

ვით მბრძანებელი, ამაყად დასცქერს  
 მის აგონიას და მის განსაცდელს,  
 მის შეუპოვარ ბორგვას და ციგლიგს,  
 გამარჯვებულის თავდაჯერებით  
 ქელმალალ ღიმილს მოაფრქვევს ირგვლივ  
 და ღველფებს მუსრავს ფეხთათქერებით,

გერმანულიდან თარგმნა კობა ჭუმბურიძემ

## ქავსარ რუჰი (ქათივან ხანთაძე)

### სინარულის გარდა სხვა არაფერი

ორ მნიშვნელოვან ფილმში ვარ დაკავებული. ორივე, ეჭვს რომ არ იწვევს, იმდენად რეალური და თანაც იმდენად არაჩვეულებრივი იყო, რომ ცხოვრებაში მისი წარმოდგენაც კი შეუძლებელი გახლავთ. ერთი მათგანი კომედიია, ქორწილის ამბავი, რომელშიც მეგონა, მთავარ როლს მე ვთამაშობდი; ხოლო მეორე — ძალზედ სვედიანი ფილმი, რომელიც უსასრულობაში მოგზაურობის შესახებ მოგვითხრობდა. ორივე ფილმის მთავარი გმირი კი სინამდვილეში ხათუნა მამიდა გახლავთ. იგი გუშინ ჩვენი ხელით მივებარეთ მიწას. ჭეშმარიტებისა და ამოების შეხვედრის ადგილიდან — დასაფლავებიდან ვბრუნდებით...

ახლა როგორც იმ ორი ფილმის მთავარი მოქმედი პირები, ერთის გამოკლებით, გზას ვადგავართ. უთავბოლო, დამტკრეულ-დანაწევრებული წინადადებებით ორი უზარმაზარი ფილმი შეგვიქმნია. დიალოგები ერთმანეთში შერეულა, ჩემ თვალწინ ყველა კადრი სათითაოდ ცოცხლდება, ისევ თავიდან ერთმანეთში ირევა, ერთმანეთს ემატება, რომ მეგონა სცენები ერთმანეთს დაცილდა-თქო, ისევ შეკრულა და გვერდიგვერდ დამდგარა.

„მიცვალებული თქვენია, შეგიძლიათ თქვენი ადათ-წესების მიხედვით დაკრძალოთ...“

ვდგავარ და ტვინს მიბურღავს ეს წინადადება. ბათუმელმა მღვდელმა მიცვალებულს წესი აუგო საჭიროებისამებრ, მისი კუთვნილი გაპატიოსნება დაასრულა. შემდეგ მე და ჰალითს მოგვიბრუნდა და გვითხრა: „გარდაცვლილი თქვენია, თქვენი ადათ-წესები როგორიცაა, ისე დამარხეთ...“ წლების განმავლობაში „ჩვენი“ რომ არ ყოფილა, გაღმა მხარეს ჩარჩენილი მამიდაჩემი გამოდის უკვე ჩვენი? შემოქმედის ბრძანებას ქედს რომ უხრი, ისეთი მორჩილებით მივებარეთ მიწას. ახლა უკან ვბრუნდებით. სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტს გავცდით. ხოფისკენ მივემგზავრებით. მარჯვნივ შავი ზღვაა, არასდროს ყოფილა ასეთი მშვიდი და ცისფერი; არა ცისფერი კი არა, ფინისის თვეს რომ სჩვევია, ისეთი ზღვარგადასული ლურჯი, ლაჟვარდისფერი; მარცხნივ მიწაა, რომელიც ყველანაირ სიმწვანეს იტევს.

მიწა — სველი სიმწვანე. მწვანე ფერი აქ წყალთან ერთად გაბატონებული ღიმილი ძალაა. რომელიმე ხის ძირიდან თუ მსხვილი ფოთლების ქვეშ სწრაფად გადმოჩქეფარე



უამრავი პატარა ჩანჩქერი; ხანგრძლივი დროის, წლების განმავლობაში ჯიუტად, დაჟინებით, ერთიდაიმავე სიჩქარითა და ხალისით მორაკრაკე ნაკადულები; ასფალტისა და მიწის შეერთების ადგილზე, გზის პირას, თავისით, ბუნებრივად გაკეთებულ არხში რომ მიედინებია. ცოტაც და ბორჩხისაკენ შევუხვევთ, გზისაკენ, რომელიც თანდათან გვაშორებს ზღვას. ასფალტი ჩვენს წინ მიწასა და ზღვას შორის უმოძრაოდ გაწოლილ უზარმაზარ გველსა ჰგავს. ზაფხულის სეზონი, ჯერ რომ ვერ გოთნთავს, ფინისის დილის სიგრილით მიგვაცილებს. ხათუნა ბებია აღარ არის. მამიდა აღარ მყავს. ჩვენი ხელით მივებარეთ მიწას. უცნაური დაკრძალვა იყო. უცნაურად შეფასებაც უჩვეულოა პრინციპში. განსხვავებული იყო. და განა მხოლოდ დასაფლავება? ყველაფერი, რისი მოწმეც გავხდით, უჩვეულო იყო.

ჩვენი ახლობლების, ნათესავების გაჭირვებისა თუ მძიმე დღეების შესახებ თვეების, წლების მერე ვიგებდით. არაფერი ვიცოდით არც მათ შობადობასა და არც მათ სიკვდილიანობაზე. რომელიმე ნათესავის დაქორწინების ამბავს ისევ წლების მერე, გზაში დაღლილი კონვერტიდან ამოღებული, ჩიქორთული თურქულით დაწერილი წერილით ვიგებდით. კონვერტს გვერდები გაცვეთოდა, წერილიდან გამშრალი დადღაბნილი მელნით დაწერილი ასოები იმზირებოდა. ლათინური ასოებით დაწერილი სლაჟურ ზრდილობაგამოვლილი სიტყვები, თურქულსა და ქართულ ენას შორის ჩარჩენილიყო.



კონვერტი:

Куда/სად: თურქეთი, ართვინის ვილაეთი

მაჭახელი-ზედვაკე

ომარ ალა ბეგს

Отправитель/ ვისგან: სსრკ. საქართველოს სსრ

ბათუმი, სოფ. ქედა

ომარ ალა ბეგის ქალიშვილი ხათუნა

ჩვენი ნამდვილი წერილები კი ყანაში მუშაობისას თქვენი სიმღერები იყო; სიმღერები, რომლებსაც საზღვარი არაფერად მიაჩნდათ... ეს სიცარიელეში, სივრცეში ნათქვამი სიმღერები გახლდათ ჩვენი ჭეშმარიტი წერილები, რომელთაც მისამართი არავითარ შემთხვევაში არ ეშლებოდათ. ქარის წადებული წერილები... უკვე ეპოქა შეიცვალა. ამბები ქარს აღარ მოაქვს.

„მიცვალებული თქვენია, თქვენი ადამიანები როგორიცაა, ისე დამარხეთ...“

ჰალითი და მე, როგორც ამ პროცესის ყველაზე გაკვირვებული მკვლევარი, ბათუმიდან ჩამოყვანილი იმამის გვერდით გაშვებული ვიდეით და არ ვიცოდით ხელები სად წავგებო. მინე ცოტა უკან, ქალებს შორის იდგა. მის ცისფერ თვალებს ცნობისმოყვარეობისა და ნაღველის კალო მოსწოლოდა. იდგა და არ ტიროდა. მღვდელმა დაასრულა წესის აგება და ჩვენ მოგვიბრუნდა; მამიდაჩემის დაბადების ადგილის, რჯულის, რწმენის მიმართ პატივისცემა ამ ერთი წინადადებით გამოხატა. ხდება ხოლმე, ზოგიერთი სასულიერო პირის გამო ინერტული ატმოსფერო ისადგურებს. შესაძლოა ეს იმიტომაც, რომ ისინი სიკვდილის პირისპირ ჩვენზე უფრო ხშირად დგანან, სიცრუესა და სიმართლეს შორის გავლელზე იმ სიფრიფანა საზღვარს ჩვენზე უკეთ ხედავენ.

ნეტავ, მე იმ სიფრიფანა ხაზის რომელ მხარეზე ვარ? ხათუნა მამიდა დღეს სიკვდილით კი არა ქორწილით მინდა გავიხსენო. მამიდაჩემი, რომლის არსებობა ვიცოდი, მაგრამ არასოდეს მენახა, პირველად ჩემს ქორწილში ვნახე. საქმე კი ის გახლდათ, რომ ხათუნა მამიდა ჩვენს სანახავად იმ დროინდელ ათას ერთ დაბრკოლებას გადალახავს, განსაკუთრებულად დაშვებული სპეციალური ნებართვით საზღვარს გადმოლახავს და ჩვენს სოფელში ჩამოვა. რაღაი ჩამოვედი, ერთი ქორწილიც მანახეთო, ისურვებს. თხუთმეტი დღის წინ თითზე ნიშნობის ბეჭედწამოცმული ანუ დასაქორწინებლად გამზადებული ყველაზე უახლოესი კანდიდატი მე აღმოვჩნდი. ნიშნობის პერიოდი, რომ გვეგონა რამდენიმე თვეს გაგრძელდებოდა, გააზრებაც კი ვერ მოვასწარი, თხუთმეტი დღეში დასრულდა და მე სიძის ტანსაცმელში გამოწყობილი პატარძლის მოსაყვანად მივეშურები. ამ დაჩქარებული კადრით გადახდილ ქორწილს ერთადერთი მიზეზი აქვს:

„ბათუმიდან ხათუნა ბებია ჩამოსულა და ქორწილის ნახვა სურს.“

კი ბატონო, მე მინეს თვალები ჭკუას მაკარგვინებდა. რასაკვირველია, მინდოდა, უმოკლეს ვადაში ჩემი გამხდარიყო. მაგრამ ამ ახალგაშობილ მიზეზის მინესათვის, მისი შობლებისათვის ახსნა ადვილი არ იქნებოდა. თუმცა მოხდა ის, რასაც მე არ ველოდი... მინეს მამამ ქალების წუწუნს, რომ ჯერ „სამზადისი არ დაგვიმთავრებიაო“, რკინისებური სიმართლით წერტილი დაუსვა:

„პატარძლის სახლში სამზადისი სწრაფად უნდა დას-

რულდეს. ისინი ამხელა მასპინძლობას ასწრებენ ერთი ადამიანის ხათრით. შენ ხდები რძალი ოჯახისა, რომელმაც ადამიანის ფასი და პატივისცემა იცის.“

ჰალითი მართავს „მურათ 124“ მარკის თეთრ ავტომანქანას და პატარძლის სახლისაკენ მივეშურებით მინეს წამოსაყვანად. გაქირავებიდან გამოყვანილი „მურათ 124“ პატარძლის მანქანის პირობაზე ძალზედ უბადრუკად გამოიყურება. ყველაფერი ისე სწრაფად გადაწყდა, მანქანის მართვა არც კი გაგვხსენებია. ერთ-ერთ ქუჩაზე ჩავლისას ხელში ბუშტი მოთამაშე ბავშვი რომ არ დაგვენახა, მანქანის მართვა საერთოდ არც მოგვაგონდებოდა. მე და ჰალითმა ერთმანეთს გადავხედეთ. ორივეს ერთიადიმავე აზრმა გაგვიელვა თავში. გავითვალისწინეთ რომ ქალის სახლში დაგვაგვიანდებოდა, მაგრამ მაინც ბუშტების გამყიდველი დუქანი მოვძებნეთ. ორი წითელი და ორი ცისფერი ბუშტი მანქანის გვერდითა სარკეებს შევებით და ჩვენი მორთული „მურათ 124“ ასე უფრო საქორწილო მანქანისათვის შესაფერისად გამოპრანჭული მოგვეჩვენა.

იმ დღეს პატარძლის მანქანას ჰალითი მართავდა. დღესაც ის ზის საჭესთან. გზას თვალს არ ამორებს და ლაპარაკობს:

„მამიდაჩემის დასაფლავებით, პრინციპში ნახევრად დაუმთავრებელი ძალიან მნიშვნელოვანი მისია დავასრულე.“

ჰალითის მონათხრობი და ჩემს ბავშვობაში გაგონილი ამბები ნელ-ნელა ერთმანეთს ავსებს.

„ხათუნა მამიდა დაუნიშნავთ. მაგრამ მისით დამწვარ-დადაგული სხვაც ყოფილა სოფელში. ეს კაცი გაღმა სოფლიდან ხათუნას დანიშვნის გამო გამწარებულა. სიყვარული მოსვენებას არ აძლევდა. ერთ დღეს ხათუნა წისქვილში სიმინდს ფქვავდა. მარტოღმარტო... მისი გატაცება დაუპირებიათ, ექვსნი ყოფილან... მარტომ მოიგერია ექვსი კაცი. წისქვილის შუაში დედაბოძი ხომ არის, აი, იმ ბოძს მოქვია... ვერაფრით ვერ ააგლიჯეს... სწორედ იმ დროს ბაბუაჩემს წისქვილის წინ ჩაუვლია... ხმაური შემოესმა და მიშველებია... წამოიყვანა ქალი... თავის სახლში მოიყვანა და დამალა.“

მე ეს დეტალები არ ვიცოდი.

„დაღამდა, კარგად ჩამობნელდა... ბაბუაჩემმა ხათუნა ჩემად გაღმა სოფელში, დანიშნულის სახლში გადაიყვანა. ამ საქმის გაჭიანურება აღარ ღირს, ქორწილი გადავიხადოთო, უთქვამს. შემდეგ... რა მოხდა შემდეგ ყველასათვის კარგადაა ცნობილი. საზღვრები ჩაიკეტა. ის იქეთ დარჩა, ჩვენ აქეთ ბაბუაჩემმა გადაიყვანა იქეთ, პატარძლად დასვა, მე კი გუშინ წავედი და მიწას მივაბარე ხათუნა მამიდა. თითქოს ჩემი მისია დავასრულე.“

დაბადება და სიკვდილი. სიმწარე და სიხარული. მწუხარება და ბედნიერება. ქორწილი და დასაფლავება. ჭირი და ღვინი. რამდენადაც საპირისპიროდ არ უნდა მოგვეჩვენოს, სინამდვილეში ერთმანეთში გადახლართული ცნებებია. ერთი მეორეს ავსებს. იმას, რასაც ჩვენ ცხოვრებას ვუწოდებთ, არის საპირისპირო მოვლენების ზოგჯერ ერთმანეთის მიყოლებით, ზოგჯერ კი პარალელურ რეჟიმში განცდა-გადატანა. სიკვდილი რამდენადაც ცვი და კატეგორიული დასასრულია, სიცოცხლე იმდენად თბილი და მთრთოლვარე დასაწყისია: ცხოვრების გაგრძელება სწორედ იქიდან, სადაც შეჩერდი. ხოლო სიცოცხლისა

და სიკვდილის შეყრის ადგილზე გაუცნობიერება იწყება. გაცნობიერებული კი ისაა, რომ დარდი, ტანჯვა-ვაება, სიმწარე გრძება; ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ამ დარდსა და სიმწარეს, დროებითი, ხანმოკლე სიხარულისა და ბედნიერების ხელი შევახოთ. სიკვდილის ცნების წინაშე ბავშვობისას სხვა განცდა მქონდა, ახალგაზრდობისას სხვა და ახლა, ამ ასაკში სულ სხვა ვარ. ვგრძნობ, რომ გავგულცივდი — გრძნობა, რომელიც მეუფლება რაც უფრო წლები გადის...

ჰალითის მოკლე წინადადებებით ნაწყვეტ-ნაწყვეტ მონათხრობი, პაპიდან შვილიშვილისათვის მემკვიდრეობად დატოვებული ჭიდილია საკუთარ თავთან...

„ხანდახან ხმაძალდა ფიქრობდა ბაბუაჩემი. იტყოდა, ხათუნა რომ არ წამეყვანა, რომ არ გადამეყვანა გალმა და აქ დარჩენილიყო... აქ თავის მშობლებთან...“

ჰალითმა, მანქანის სიჩქარე რომ შეცვალა იმ ხელით, ცრემლი მოიწმინდა. უდროო სიკვდილს მეტი ტირილი ახლავს. დროული სიკვდილი, რომ იტყვიან, უფრო ასატანი ტკივილია. ზრდასრული ხალხი ვართ უკვე. რაღა დროს ტირილია? რაღაცა უნდა მეთქვა, ვერ შევძელი, ტუჩები მიკანკალეს.

გუშინ სოფელში მამიდაჩემის ცხედართან მოტირალი ქალები ალბათ ისტორიის დამთავრებასაც დასტიროდნენ. ყოველი თქმული წინადადება თითქოს იყო დატირება იმ უსახელო გმირებისა, რომელთაც გარკვეული დროის ისტორია შექმნეს. ეს სამგლოვიარო პროცესია ახლობლის დაკარგვით გამოწვეული ღრმა ტკივილის განცდასთან ერთად ჩემთვის სხვა რამეების ძიების მიზეზიც გახდა. ამიტომ მქონდა ისეთი დამოკიდებულება ჩემ თვალწინ მომხდარის მიმართ, თითქოს კინოსურათის კადრებს ვუცქერდი.

ეს ქალი ჩემს თვალში ზეადამიანი იყო; სიმბოლო, შეუდარებელი მაგალითი. იგი გარდაიცვალა, მაგრამ მისი ტკივილი ხელუხლებელი დარჩა, კვლავ ცოცხლობს და კიდევ დიდხანს იცოცხლებს. რადგან მისი ტკივილი უსასრულო და უკიდევანოა. ერთი ადამიანიდან მეორეს გადაეცემა. ამ გადასვლებში, მართალია, ტკივილის სიმძაფრე კლებულობს, მაგრამ კვალი ხომ რჩება. ორი წვეთი ცრემლი, რომელმაც ჩემი თვალები ნაკვერცხლებივით დაწვა და დაშანთა, სწორედ იმ კვალის ნაწილია, მე რომ მერგო. გარდაიცვალა იგი ისე, რომ არც კი იცოდა, რა დიდებული ცხოვრებით იცხოვრა. ზღაპრული ფასკუნჯი იყო მამიდაჩემი, ერთხელ კი არა, ბევრჯერ, მრავალჯერ აღდგა ფერფლიდან ფენიქსივით.

პირველი შემთხვევაა, რომ დაკრძალვაზე ასეთ საშინელ დღეში ჩავარდი. კარგად ვიცი, რასაც ახლა მე განვიცდი, ჰალითი პირიქით, იმის საპირისპიროს განიცდის. მისმა ბებამ (მამის დედამ), „ყველა და ყველაფერი“ გალმა დატოვა და ჩვენს სოფელში ჩარჩა. ბავშვები ვიყავით, მაგრამ ვხედავდით და ყველაფერს ვხვდებოდით... ცხოვრების ბოლო დღეებში საათობით აივანზე იჯდა გაუნძრევლად, შორს სივრცეს გასცქეროდა... გასცქეროდა და ტიროდა. ზოგჯერ ტკივილით სავსე სიმღერა გვესმოდა. ნამდვილად ის მღეროდა თუ ჩვენ გვეჩვენებოდა? ხანდახან „ჩემო დაო სადა ხარ?“ მისამღერ მელიოდიას გამოურევდა... კალამბურის მსგავსი რამ იყო: „ღელე გალმაში ჩვენი სახლები, მოკვდნენ ძველები, დარჩნენ ახლები...“

ჰალითის ბებიაც ხათუნა მამიდასავით იყო ერთ-ერთი

იმ მრავალთაგანი, იძულებული რომ გახდნენ გაეკეთებინათ საბედისწერო არჩევანი, რომელმაც მათ ცხოვრებას შემდგომ დიდი დადი დაასვა. ზოგიერთებმა მიიღეს გადაწყვეტილება და მთლიანად შეცვალეს საკუთარი ცხოვრება. სხვებმა გადაწყვიტეს და უსასრულო ტკივილის მარწუხებში იტანჯეს და იწვალეს. კიდევ სხვებმა გააკეთეს არჩევანი და შორს დარჩნენ ახლობლებისაგან. ჩვენ ძვირად დაგვიჯდა ეს ყველაფერი. ამ ბარაქიან მიწაზე ცხოვრების, ამ მწვანე ტყეების, ამ მაღალი მწვერვალების, წყალუხვი მდინარეების, ფერად-ფერად ყვავილებს შორის ცხოვრებისათვის ძალიან ძვირი საფასური გადავიხადეთ.

„ბებიჩემს აქედან იქეთა მხარეს მორაკრაკე ნაკადული-საც კი შურდა, გალმა გასვლის უფლება აქვსო...“ ამბობს ჰალითი.

ვინ იცის, ქალსაც და კაცსაც, იმ მძიმე დღეებში გადაუწყვეტელობის მარწუხებში მოქცეულთ, რა გასაჭირი ადგათ და როგორ ნემსის ყუნწში მოუწიეთ გაძვრომა? ჩემს ბავშვობაში მოხუცებულებს სახეზე ყოველთვის გამჩნევდი ღრმა დარდისა და სევდის კვალს. მათ სახეზე ხანებად დაჭდეული ნაღველის კვალი ახლა, მხოლოდ ახლა შევიგრძენი მთელი სიმძაფრით და თვალები დამეწვა. მე მამიდაჩემის გახსენება მინდა იმ მძიმე გაჭირვების მოგონებით, რომელიც მას თავს გადახდა, და თან იმ უსაზღვრო ოპტიმიზმით, რომელიც მას ახასიათებდა. მწუხარებისა და სიხარულის გზა, ორივე ცრემლებზე გადის.

პატარძალივით მივაბარეთ მიწას ხათუნა მამიდა. ბეგის ქალიშვილს რომ შეჭფერის ისეთი პროცესია იყო, დიდებულივით გამორჩეული... ადამიანი როგორც იცხოვრებს, თურმე ისე საფლავდება! ორივე რელიგიის მიხედვით რაც საჭირო იყო, ყველაფერი უნაკლოდ შესრულდა. დაკრძალვაზე მოსული ხალხის სიმრავლეს გზები ველარ იტყვდა; თურმე რა ბევრს ჰყვარებია იგი! ომარ ბეგის ქალიშვილი, ხათუნა. ჩემი მამიდა. ხათუნა, რომელმაც ზედ შუა გულზე გავლებული საზღვრის ხაზი გადაკვეთა და უკან აღარ დაბრუნდა. ხათუნა, რომელმაც ქრისტიესა და მუჰამედს განურჩევლად, ერთნაირად მიაგო პატივი. კავკასიის მთების ლურჯი ფრინველი, ზღაპრული ფასკუნჯი, ორი ქვეყნის მოქალაქე ხათუნა; დაიბადა 1900 წელს ბორჩხაში. გარდაიცვალა 2005 წელს ბათუმში.

ხანგრძლივი სიცოცხლე... და ამ ხანგრძლივი ცხოვრების მუდმივ აკრძალვებში გატარება. შემოდგომის ფოთოლს მიწისკენ რომ იზიდავს, ისეთი სიმძიმის შერძინება და ამის გამო დანაშაულის განცდა. მთებიდან დახმარების იმედი, რაღაც ხმის მოლოდინი, უსასრულო სიჩუმეში ექოს ხმის გაგონება. ერთიდაიმავე ცის ვარსკვლავებში ნუგეშის ძებნა. ვერ ნახვა, სიმშვიდის ვერ მოპოვება... ყოველ დილას ახალი ნაკლული დღის შეგებება და ისევ ვერ პოვნა სიმშვიდისა. ღამით ფერმკრთალი ყვითელი ფერის სავსე მთვარის წინ რხევა-რხევით მოცურავე გამჭვირვალე ღრუბლებზე ზღაპრების შეთხზვა; ისევ ვერ პოვნა სიმშვიდის, მაგრამ იმედის ქონა; და უკვე იმედზე უარის თქმის უამს, ისე დაბერება, ისეთ ასაკამდე მოყრა, რომ უკვე წარსულის გახსენების შეუძლებლობა... ახლა რომელი გამოსამშვიდებელი სიტყვა გამოდგება მისი ცხოვრების გვირგვინად? რომელი? მისი დასაფლავების დღეს მხურვალე ცრემლით მოტირალნი „ღედა, ჩვენი ოქრო დედა, აღარ გვყავსო“ ეს თუ ჰალითის შინაგანი სიმშვიდით

ნათქვამი „მე ჩემი მისია შევასრულეო?“ თუ მინეს მიერ ჩემი მისამართით ნასროლი დამადლებული საყვედური: „მას რომ სასწრაფოდ არ დავექორწინებინეთ, მე შენ ასე ადვილად არ გამოგვეკვებოდო?“

ახლა განა მამიდაჩემის სულს არ შეშვენის სწორედ იმ ამბების გახსენება, რომელიც ყოველთვის ღიმილს გვგვრიდა და გვაცინებდა? მართალი ვიქნები თუ ვიტყვი, თმარ ალა ბეგის ქალიშვილი ხათუნას ცხოვრება დღე-ნიადაგ იყო ცდა იმისა, რომ ეს დიდი გლოვა მხიარულე-ბად ექცია. და მან კიდევაც შეძლო ეს... ახლა 1989 წლის გახსენება მსურს. თხრობა მინდა დავიწყო იმით, რომ პირველად ბათუმიდან სტამბოლს მიემგზავრება ქართველი ტურისტებით სასე გემი. ამ გემზე ხათუნა მამიდას შვილიშვილი ჰაიდარიც... რა ვქნა, მოვყვე?

მამიდაჩემის უფროსი შვილიშვილი ჰაიდარი ბებიამისს სტამბოლში მცხოვრები ჩემი უფროსი ძმის მისამართს სთხოვს. დილაადრიან გამომგზავრებამდე უნდა შეუაროს მამიდაჩემს, რათა მან მისამართი მისცეს. გათენდა თუ არა, სულ სირბილით გადაირბენს ჰაიდარი ღელე-ხევის და ბებიას ეახლება. ისიც პატარა ქალაქის ნაგლეჯს შეაჩერებს ხელში. მისამართი სულ სამსიტყვიანია; რასაკვირველია, ამას თუ მისამართი ეთქმის:

„სტამბოლი. ნური გუხელი“.

ჰაიდარი გადაირევა: „ეს არის მისამართი? ამ მისამართით ვის მივაგნებ მე?!“ მამიდაჩემი დაჟინებით: „რა სჭირს ამას? მშვენიერი მისამართია! არ გაბედო და უნახავად არ ჩამოხვიდეო!“ ეტყვის და მოთქმასაც არ დააყოვნებს.

ამხელა გზის წინ ბებიას განა გულს ატკენს ჰაიდარი? „კარგი, კარგი“ ცალკბად მიუგებს და გავარდება.

გემი სტამბოლის ნაპირს უახლოვდება და ქართველ ტურისტებს სიურპრიზი ელით. საქართველოდან გემი ჩამოდისო რომ გაიგეს, სტამბოლში თუ კი ვინმე ბათუმელი წარმოშობისა ცხოვრობდა, ყველა გემის დასახვედრად ნაპირზე გამწკრივდა. ჰაიდარი პირველივე შემხვედრს ხათუნა მამიდას გატანებულ ქალაქს აჩვენებს. ერთი ცუნახოთ და ეს კაცი რას იტყვის? „ოჰ, ეს ჩემი მეზობელია. მოდი, მოდი, მასთან მივიყვან.“ ასე და ამგვარად, სანამ გემი სტამბოლში იდგა, ჩემი უფროსი ძმა და ჰაიდარი, ორი სისხლით და ხორციით ნათესავი, ერთმანეთს წუთითაც არ დაშორებინან. ჰაიდარი, ბათუმში რომ დაბრუნდა, იმ პირველი წამების დაბნეულობიდან ჯერაც არ იყო გამორკვეული. ეახლა იგი ბებიამისს და უთხრა: „მართალი ყოფილხარ. მართლაც მშვენიერი მისამართი მოგიცია. ძმისწულისაგან ბევრი, ძალიან ბევრი მოკითხვა ჩამოგიტანე.“

რა ვქნა, გავიხსენო ახლა სხვა ამბავი? განა არ შეშვენის მამიდაჩემს და მის სულს ამ ამბების მოგონება? მინე გამოცოცხლდა, უეჭველია ცდილობს მთელი გზის განმავლობაში ჩამოწოლილი ნაღველის გაფანტვას:

„მე მისი წყალობით გავიგე, რომ მამაჩემი სულაც არ ყოფილა მკაცრი კაცი. მისი წყალობით ვიგემე ის სიამოვნება, რასაც პატარძალი ჰქვია კალოშებში...“

ცაზე სწრაფად მონანავე ღრუბლებით თვალი მდგას ის ჩვენი ქორწილის დღე. გვერდითა სარკეებზე მიბმული ორ-ორი ფერადი ბუშტი მორთული მანქანა და მინეს სადა საპატარძლო კაბა ზუსტად რომ შეეფერებოდა ერთმანეთს. პატარძალს თავზე ორი წვრილი შავი სარჭით

დამაგრებული ფატა ეხურა. ლუნაპარკიდან გამოქცეულ სამ ბავშვს ვგავდით. სასაცილოები ვიყავით! იმ ასაკის, იმ წლების უშუალობითა და უმანკობით მართლაც რომ სასაცილოები ვიყავით... ორი დღით გავეთავისუფლე სამსახურში, სოფელში ქორწილს გადავიხდით და ცხოვრებას ისევ იმ ადგილიდან გავაგრძელებთ, სადაც შეჩერდით. არც ვიცოდი, დაქორწინება თუ ამას ნიშნავდა. ქორწილი მაქვს-თქო, თანაც ასე სწრაფად, ფართხა-ფურთხით, შვებულების აღებისაც კი შემრცხვა...

სპექტაკლი იდგებოდა სცენაზე. ჩვენ კი, ორი დღის განმავლობაში მთავარი როლის შესრულების შემთხვევა რომ მიეცათ, იმ გამოუცდელ მსახიობებს ვგავდით; რასაც გვეტყოდნენ უნდა გავაკეთებინა. აი, ასე დაწყებულმა ქორწილის სამზადისმა და ნერვიულობამ, ჩვენი მღელვარება სრულიად გადაფარა. ასე მგონია, საკუთარი თავის გარდა, სხვას არავის ვაინტერესებდით. ვქორწინდებოდით ისე, თითქოს სხვის ქორწილს ვესწრებოდით. ჩვენში აქ, მიზეზი რაც არ უნდა იყოს, ხალხის შეკრება-თავმოყრას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თანაც ქორწილის არეულ-დარეულობაში როგორც ნეფე-პატარძალს, მარცხიო ვერ ვამბობ, მაგრამ რაც თავს გადასახდენი იყო, განა არ გადაგვხდა? ყველა ეს წინააღმდეგობა, წლების შემდეგ მშობლიურ სოფელში ჩამოსული მამიდაჩემის დანთებულ სინათლეში განა არ ჩაღნა და ჩაიკარგა?

მივადექით გზის ისეთ პიტალო მონაკვეთს, საიდანაც ჩვენი „მურათ 124“ გზას ველარ გააგრძელებდა. სიძე, პატარძალი და მეჯვარე — სამივენი, სახლამდე სადაც ქორწილი იმართებოდა, ფეხით უნდა მივსულიყავით. მინემ, თავისუფლად რომ ევლო, სადღეოფლო კაბის კალთები აიკეცა. ამას რას ვხედავთ! თეთრი საპატარძლო კაბის ქვეშ შავი კალოშები არ აცვია! სადღეოფლო ფეხსაცმელი დაბაში დაგვრჩენია, წამოდება დაგვიწყებია. შევცბით და ერთხანს შევყოყმანდით. მერე მინემ, დარცხვენილი რომ დასცქეროდა თავის შავ კალოშებს, თქვა: „კარგი ერთი! ამსიგრძე კაბის ქვეშ ვინ შეამჩნევს ჩემს ფეხსაცმელებს.“ საქორწილო ხალხი კარგა ხანია შეკრებილიყო, ხმებიც ისმოდა.

სამგლოვიარო პროცესებს ერთი უცნაური თვისება აქვს. უკიდურესი წუხილის ჟამს ვიღაცა მოულოდნელად რაღაცას იტყვის, ან ბავშვი რაღაცა უშუალო ბავშვურ კითხვას დასვამს და გლოვის მთელი სერიოზულობა სიცლით იფანტება. სამგლოვიარო სიტუაციას ღიმილი კი არა, სიცლიც გადაურბენს ხოლმე. წვიმის შემდეგ გამოდარებულ ამინდში, გადაკრიალებულ ცაზე უეცრად ცისარტყელას გამოჩენას ჰგავს ეს. დაჭიმული რეზინა უცბად მოეშვება. მართლაც რომ, ნამდვილად ადამიანურ მიზეზთა გამო საზოგადოების მიერ დადგენილი წესების თავდაყირა დადგომას უდრის ეს. ყველანაირი უცნაურობა ჩვეულებრივად აღიქმება. არავის აქვს იმის თავი და ძალი შერჩენილი, რომ ვინმეს მიუთითოს ან შეარცხვინოს. გლოვასა და ვაი-ვიშს სიცლის ღრუბელი გადაურბენს ხოლმე.

და მაშინ, როცა ყველანაირი დაპირისპირება თავის მნიშვნელობას იძენს, სასწრაფოდ გადახდილი ქორწილის ყველა უკუღმართობის დასაფლავების დროს გახსენება და სიცლი რატომ უნდა ჩაითვალოს სირცხვილად? ნერვების ყოველი სიმი საოცრად დაჭიმული გვექონდა, გოცებას დამშვიდება ცვლიდა, წყენას — ნუგემისცემა, ტირილს —

სიცილი და ამ ყოფაში ბორჩხას მივალწიეთ. ქორწილისა და დაკრძალვის ტალღები ერთმანეთს რომ შეერწყა და გაერთიანდა, კომედიას მიმსგავსებულ ფილმში აღმოჩნდით თითქოს, სადაც მსახიობებიც ჩვენ გახლდით და მაყურებელიც. სახლამდე სულ ცოტაა დარჩა. აგერ სამი-ოთხი მოსახლე და ჩვენი ეზოც გამოჩნდება. მანქანამ სვლას უკლო. უეცრად ერთმანეთს სახეში მივაშტერდით. სამივემ ერთდროულად: „შარვალიო!“ — შეეძახეთ. ეს შეძახილი კი არა პირიდან სიტყვის ნამდვილი ვულკანივით ამოფრქვევა იყო... მეტი ვეღარაფრის თქმა შეუძელით. სამივეს ენამ ერთდროულად რაც აღმოთქვა, თითქოს გუშინ მოხდაო, თვალწინ დაგვიდგა...

შუა ქორწილია და გახურდა ჰორონი... ცოცხალი, შმაგი ჰორონი გადარეული მდინარესავით მოდის და მოღვლავს... გუდასტვირი ყველაზე ჩახუჭუჭებულ ჰანგებს უბერავს... სწორედ ის მომენტია, ხალხმრავალი ჰორონის ყველაზე ცეცხლოვან ილეთებს რომ ვასრულებთ... ჰორონის ნაცეკვზე ორმოც წელს ბალახი არ ამოდისო, ნათქ-

ვამი და თითქოს ამ ხალხური გამონათქვამის დამტკიცება გვსურსო, მიწა ზანზარებს ჩვენს ფეხთ ქვეშ... მარჯვენა ფეხი წინ წავდგი, ჩავიმუხლე და უცებ, უკან, შარვლის საოცარი შემსუბუქება ვიგრძენი! ფხრიოწ და შარვლის უკან ნაკერი მთელ სიგრძეზე ჩამერღვა!

აბა, ჩვენების სიცილი მაშინ უნდა გენახათ!.. ატყდა სიცილი, მაგრამ რა სიცილი!.. შეიძლება ითქვას ტირილამდე მისული...

მამიდაჩემო! მაპატიე! ვიცი, შენ მაპატიებ, მომიტევებ. იმ დღეს ჩემს მდგომარეობაზე ყველაზე მეტად შენ იცინე. ჩვენი ბოლო შეხვედრის დროს სიხარული, ბედნიერება, ხალისი ისევე თვალებში გედგა. მამიდა, ხომ არ გაგვიბრაზდები, შენი დაკრძალვიდან მობრუნებულები სიცილით რომ ვიხრჩობით? ჯერ კიდევ ორი თვის წინ, ჩვენი ბოლო შეხვედრისას, შენს ხანგრძლივ ცხოვრებას თვალი რომ გადაავლე, რა გვითხარი? „სიხარულის გარდა სხვა არაფერი მახსენდება, სხვა არაფერი...“

**თურქულიდან თარგმანა ნანა კაჭარავამ**

## დალი ბალაშვილი

### მთიელთა ჩამოსახლება შირაქში ვაჟა-ფშაველას თაოსნობით (შირაქის დასახლების ისტორიიდან)



მე-18 საუკუნის ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი მართალია თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ შირაქის სოფლებს არ იხსენიებს, მაგრამ როგორც არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები და არსებული მატერიალურ-კულტურული ძეგლები გვიჩვენებენ, შირაქი ადრე მჭიდროდ ყოფილა დასახლებული და აქ არსებობდა ძველი ცივილიზაცია. ამას მოწმობს მიწის წიაღში თუ მის ზედაპირზე ნაპოვნი ნივთები — ქვის ხანის კაჟის საფეხეები, ობსიდიანის (ვულკანური მინა) დანები, ბრინჯაოს ბოლოკვეთილი მახვილები. ეს ბრინჯაოს და სხვა ნივთიერი საბუთები ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ ათასწლეულს ეკუთვნის.

საუკუნეების მანძილზე უცხოელ დამპყრობთა სისტემატიური თარეშის გამო აქ ცხოვრება შეწყვეტილა, მკვიდრი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი აუყრიათ და გადაუსახლებიათ, ნაწილი კი იძულებული გამხდარა მიეტოვებინა მშობლიური მხარე და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეპოვა თავშესაფარი. ამან გამოიწვია ამ მხარის დაცარიელება და ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შირაქის ნაყოფიერი ველი უკაცრიელი იყო.

მე-XVI საუკუნიდან კახეთის ბარში ინტენსიურად დაიწყო თუშთა მიგრაცია. კახთა მეფე ლევანმა (1520-1575 წწ) ერთერთმა პირველთაგანმა გაუხსნა გზა თუშებს შირაქის ველისკენ. ეს ფაქტი ვახუშტი ბატონიშვილს „საქართველოს ცხოვრებაში“ ასე აქვს გადმოცემული:

„და ამან, ლევან, დაიპყრნა არა ძალითა თუშნი, არამედ

აღუთქვა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვარ იყვნენ კახეთს და მისცა შეწირულობა ლაშქარს ჯუარსა თიანეთსა შინა, და მიერთგან მოსცემდნენ „ლაშქარსა და ბეგარასა“.

აქედან გამომდინარე, კახეთის მეფე ლევანი, მტრის შემოსევის დროს თუშ მეომრებს იშველიებდა. მან აღთქმა მისცა თუშებს შირაქის მიწაზე მათი ცხვრების გამოკვებისა. ამიტომ, თუში მეომრები ყოველთვის მოვალე იყვნენ დახმარებოდნენ კახელებს ბრძოლაში.

თუშების ცხვრის ზამთრის საძოვართა, კერძოდ შირაქის ველის და ალაზნის დაბლობის ბატონ-პატრონი მეფე იყო. თუშთა ცხვარი მეფის ხაზინას საგრძნობ შემოსავალს აძლევდა.

1757 წ. მეფე ერეკლეს თუშებისთვის უბოძებია სიგელ-გუჯარი, რომლის მიხედვით თუშების მფლობელობაში გადადიოდა შირაქის ზამთის საძოვრები, სამაგიეროდ მათ მეფის ხაზინაში შეჰქონდათ „საბალახე“ და „საფოთლე“ გადასახადი, რადგან მინდორი არ იხენებოდა და მხოლოდ საძოვრად იყო გათვალისწინებული.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, დედოფლისწყაროში მუდმივად იდგა მეფის რუსეთის ჯარის ნაწილი. სამხედრო სამსახურის გასვლის შემდეგ ოფიცერთა და ჯარისკაცთა მნიშვნელოვანი ნაწილი აქვე



რჩებოდა. მეფის მთავრობა მათ ყოველგვარ დახმარებას უწყვედა, რათა სამუდამოდ დამკვიდრებულიყვნენ აქ. მეფის მთავრობამ მე-XIX ს. 90-იან წლებში ხელში ჩაიგდო უზარმაზარი მიწები ქიზიყში და ალზნის პირას. მათ თავ-ხედურად მიითვისეს ქართველთა მიწები და „საუდელი“ გამოაცხადეს (საუდელი მიწა — საუფლისწულო მიწას ნიშნავს).

გარდა ამისა, ცარიზმი რუსეთიდან და თურქეთიდან იწვევდა ხალხს და თითქმის მუქთად აძლევდა საუკეთესო, ნაყოფიერ მიწებს. თვითოეულ კომლს ერგებოდა 14 დესეტინა მიწა. (დესეტინა— მიწის ზომის ერთეული ძველ რუსეთში მეტრული სისტემის შემოღებამდე, უდრის 1.0925 ჰა)

ამ გადაწყვეტილებამ მთიელთა გულისწყრომა გამოიწვია და მათ ყოველგვარი ნებართვის გარეშე დაიწყეს ჩამოსახლება. პირველი დასახლების პროცესი სტიქიურ ხასიათს ატარებდა. მეფის თვითმპყრობელობა დიდ წინააღმდეგობას უწყვედა მთის მოსახლეობას ახალი მიწების მიღების საქმეში. გადმოსახლებულმა მთიელებმა საჩივარი შეიტანეს მთავრობაში და თავიანთი ინტერესების დამცველად ვაჟა-ფშაველა წარადგინეს.

ვაჟამ დახმარებისთვის ნიკო ჯანდიერს მიმართა — ცნობილ საზოგადო მოღვაწეს. ნიკო ჯანდიერმა შექმნა შირაქის მეცხვრე-მესაქონლეთა საზოგადოება „მწყემსი“, რომელსაც შეღავათიან სესხს აძლევდა საკრედიტო ბანკი. ნიკო ჯანდიერმა და ვაჟა-ფშაველამ ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს არქივში მიაგნეს კერძო საკუთრების დამადასტურებელ სიგელ-გუჯრებს, რომლებიც მეფე ერეკლეს მიერ იყო გაცემული კახეთის თავადაზნაურობის და თუშ-ფშავე-ხევსურებისთვის სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის. მათ სასამართლოში უჩივლეს „საუდელი სასამართლოს“ და პროცესი მოიგეს.

ცხრაასიან წლებში თუ სტიქიურად ხდებოდა შირაქში ჩამოსახლება, მე-XX ს. 10-იან წლებში უკვე ორგანიზებული ხასიათი მიიღო, წინასწარ ადგენდნენ კომლთა სიებს და ირჩევდნენ ხელმძღვანელს, რომელიც ამ საქმეს

გაუძღვებოდა.

უკვე აღვნიშნეთ, ვაჟა-ფშაველა დიდად იყო დაინტერესებული მთიელთა ჩამოსახლებით ქიზიყში.

თავის წერილში „ქართველთა ახალშენი შირაქში“ იგი წერდა: „ მთაში სიღარიბისა და შიმშილისაგან შეწუხებულ ხალხს მასპინძლად გულუხვი ბუნება და ნაყოფიერი დედამიწა დაუხვდათ შირაქში. მთაახალშენეთ დასახლების ნებართვა არავისთვის არ უთხოვიათ იმ იმედით, რომ მთავრობა საქონლის ძოვებას არ გვიშლის და დასახლებას, ხენა-თესვას რაღდა დაგვიშლისო. საღს კლდეზე რა პური მოვა, ყველამ იცის და მთიულსაც შიმშილით კუჭი უხმება, რომ ვეღარ გაუძლო შიმშილს, აიყარა და შირაქის ველ-მინდვრებს მიაწყდა. თვალის დახამხამებაში გაჩნდა უშველებელი სოფლები 700-800 კომლით“.

1905 წელს იგი ქართველ მეცხვარეებს შირაქში ჩამოჰყვოლია და ყამირი მიწა რომ დაუნახავს, უთქვამს: „ხალხო, მადანს მივადექითო“. მიწა დაუთხრია, ხელისგულზე დაუფშვინია და აღარც დაუსვენია, სანამ პირველი გუთნის კვალი თვითონ არ გაუვლია.

მაგრამ შირაქში დასახლება არც ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა, როგორც ფშაველებს და მთიულებს ჰქონდათ წარმოდგენილი. თუშები წინ აღუდგნენ მათ ჩამოსახლებას და მიზეზად საძოვრების ფართობის შემცირებას ასახელებდნენ. იზრდებოდა უკმაყოფილება თუშებსა და ფშაველებს შორის.

1907 წელს მიწათმოწყობის საქმეზე თუშებმა თავის რწმუნებულად ცისკარიშვილი, ფშაველებმა კი ვაჟა-ფშაველა აირჩიეს. (ცნობისთვის, ცისკარიშვილი ვაჟას პეტერბურგის სტუდენტობის წლების კარგი მეგობარი იყო).

ვაჟა-ფშაველას მთელი ამ ხნის მანძილზე გვერდით ედგა გრიგოლ ვარდაშევი, რომელიც აქტიური მონაწილე იყო მთის ხალხის შირაქში დასახლების მთელი ისტორიის მანძილზე. მუზეუმებში დაცულია გრიგოლ ვარდაშევის მოგონება, რომელიც 1987 წელს ჩაიწერა ჩვენმა თანამემამულემ — ისტორიკოსმა იოსებ მენთუშაშვილმა.

გრიგოლ ვარდაშევი დაიბადა ძაუჯიკაოში (ახლ. ვლადიკავკაზი), დაამთავრა სასულიერო სემინარია (მიიღო სწავლული მღვდლის წოდება), მაგრამ მამამისმა მისი მღვდლად კურთხევა არ მოისურვა, აუშენა მაღაზია და სავაჭრო საქმიანობაში ჩააბა. გრიგოლს ეთაკილებოდა ეს საქმე, რა ქართველის ხელობა ვაჭრობაო. იმ წლებში ვლადიკავკაზში ფუნქციონირებდა სპირტის ქარხანა, რომლის მფლობელი იყო დავით სარაჯიშვილი. დავითმა სთხოვა გრიგოლს ემუშავა მის ქარხანაში მმართველად (მოურავად), გრიგოლი დათანხმდა. თვით სარაჯიშვილი იმ დროს საზღვარგარეთ ცხოვრობდა, ამიტომ სპირტის ქარხანას დამოუკიდებლად მართავდა გრიგოლი და შემოსავლის გარკვეულ პროცენტსაც თვითონ იღებდა.

ამ პერიოდში გრიგოლს შემოაკვდა შვიდი ქისტე, ადგილობრივი მთავრობაც ავიწროვებდა, როგორც რევოლუციონერს. იგი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო ჩინეთში (მანჯურიაში).

ვლადიკავკაზში დაბრუნების შემდეგ დაოჯახდა, ცოლად მოხვეე ქალი, გვარად ღუდუშაური შეირთო, მაგრამ მოსისხლე ქისტები მის დევნას თავს არ ანებებდნენ და სიკვდილით ემუქრებოდნენ. მამამ გრიგოლს ურჩია საქართველოში დასახლებულიყო, ისიც დასახლდა თუქურ-

მიმაში (ახლანდელი დედოფლისწყარო), შირაქის ველზე იჯარით 200 დესეტინა მიწა იქირავა და სოფლის მეურნეობას მოეკიდა. მოგვიანებით ის ქედის მამასახლისად აირჩიეს.

გრ. ვარდაშევის მოგონებებიდან:

1911 წელს შევადგინეთ შირაქში დასახლების მსურველთა ასზე მეტი კომლის სია. შეიტყვევს რა ჩვენი მთიდან ბარში მასიურად ჩასახლება, დუშეთის, თიანეთის და თელავის მაზრის უმიწაწყალო ხალხმაც შირაქს მიაშურა. ჩამოვიდნენ ფშავლები, მოხვევები, მთიულები, ხევსურები. დასახლდნენ ზემო ქედის ყაშების პირიდან ქვემო ქედის კორუმებამდე. ვცხოვრობდით მიწურ გომურებში მთიდან ჩამოყვანილ თითო-ოროლა ცხვარ-ძროხასთან ერთად. ჩვენი დასახლება შირაქში არ მოეწონათ მდიდარ თუმ მეცხვარეებს, რომლებიც თავიანთ თავს შირაქის მეპატრონეებად თვლიდნენ. მიტო ბუქურაულს — 5000 ცხვარი ჰყავდა, ლეო უშარაულს — 3000. ათვალისწინებით გვიყურებდნენ აგრეთვე ფშავლები, რომლებმაც თუმებთან შედარებით უფრო რიცხვმრავალი ფარები ჰყავდათ. დავითო გუგუთაშვილი — 15000 ცხვრის პატრონი იყო, პავლე ჩარბოლაშვილი — 14000 ცხვრის. მართლაც, რა საძოვრები უნდა ჰყოფნოდათ ამ აურაცხელი ცხვრის პატრონებს, ამიტომაც გამწარდნენ ასე ძალიან. მათ დაიწყეს თბილისის გუბერნიისა და სიღნაღის მაზრის მოხელეებთან ქრთამების მიტანა და საჩივრების წერა, რათა ჩასახლებულები შირაქიდან აეყარათ და ისევ მთას დაებრუნებინათ.

ერთხელ თუქურმიშადან ტვერსკოი პოლკის ჯარი მოგვადგა ჰაერში თოფების სროლით. ჩვენ შეგვეშინდა, ცოლ-შვილი ალაზნის პირად მდებარე ყაშებში ტყეს მივაფარეთ. მე და რამდენიმე კაცი კი ადგილზე დავრჩით. ჩემმა სოფლელებმა, თომა მარსაგიშვილმა და აკურა ყამარაულმა გომებში გადამალული თოფები გამოიტანეს და დაიწყეს სროლა. მე ისინი გავაფრთხილე და თოფები კვლავ გადამალეს. ჩემთან მოვიდა იმ ჯარის უფროსი ოფიცერი, გუცუნავევი, რომელიც ჩემი ნათესავი იყო და ბავშვობისას ერთად ვიზრდებოდით. გვკითხა, თოფები ვინ გვესროლაო, მე ვუთხარი, ჩვენი ხალხი ყველა შეიარაღებულია, თქვენი ჯარი მათ რკალს შუაა, როგორც კი თქვენი მხრიდან ერთი თოფი გავარდება და ჩვენთაგანი ვინმე დაიჭრება, თქვენ აქედან ცოცხალი ვერც ერთი ვერ წახვალთ. ამ ხალხს ძალად ვერ აპყრით, ნებით არ წავლენ, ამიტომ გარდაუვალია სისხლისღვრა-მეთქი.

გუცუნავემა მითხრა: — გრიგოლ, უნდა იცოდე, რომ ნაბრძანები გვაქვს თქვენი აყრა და ისევ მთაში დაბრუნება.

— როგორც ვხედავთ, უსისხლოდ ეს არ მოხდება, გავაგზავნოთ ტფილისში ტელეგრამა, — ვუთხარი მე და ვუკარნახე ტელეგრამის ტექსტი:

„საქმე სისხლისღვრამდე მიდის, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, განვაგრძოთ თუ არა ხალხის აყრა“.

ერთმა ქედელმა ახალგაზრდამ დასტაცა ხელი — მე წავიღებო და ნიაგ-ქაროვით გაიქცა. გუცუნავემა მე და თავისი ერთი ჯარისკაცი დაგვადევნა იმ ქედელს. ისეთი სისწრაფით მიდიოდა ის კაცი, საბოლბისხოს კალოებთან (ზემო ქედის თავში) ცხენებით ძლივს დავეწიეთ. გავაგზავნეთ ტელეგრამა და მივიღეთ ასეთი პასუხი: „შეაჩერეთ ხალხის აყრა, ვიდრე ჩვენ ჩამოვალთ, სისხლისღვრა არ მოხდეს“.

1913 წ. „თუმებმა თუქურმიშადან ჩამოიყვანეს „სტრაჟნიკები“ პრისტავ ბაქრაძის მეთაურობით. სახნაუად გასული გუთნებიდან გამოუშვეს ხარები, ვინც წინააღმდეგობა გაუწია, სცემეს. ამის შემდეგ ჩვენ დავინშნეთ სახალხო ყრილობა, რომელსაც ზემო ქედის, ქვემო ქედის და არხილოსკალოს მთელი მოსახლეობა ესწრებოდა.

ყრილობაზე ავირჩიეთ წარმომადგენლად ვაჟა-ფშაველა და გავაგზავნეთ ჩვენი კაცი, ვისი მეშვეობითაც ვაცნობეთ რაზნიკაშვილს ჩვენი გაჭირვება და ვთხოვეთ, რომ მთავრობაში ჩვენთვის მფარველობა გაეწია.

თბილისში ჩასულმა ვაჟამ გაარკვია, რომ შირაქში ძალად ჩასახლებულებს მთავრობა აძლევდა ნახევარ ნორმას, რაც 2-2.5 დესეტინას ნიშნავდა, ქალაქიდან ჩასახლებულებს კანონი 7 დესეტინა მიწას აკუთვნებდა, მთიდან ჩასახლებულებს — 5 დესეტინას, ხოლო რუსეთიდან ჩამოსახლებულებს 14 დესეტინა მიწას.

ვაჟა-ფშაველამ ჩარგალში დამიბარა და მითხრა: — გრიგოლ, ასე უნდა მოვიქცეთ, ვინც ძალად ჩასახლებულია, უნდა როგორმე მივალწით მათზე მთავრობის ნებართვას, მაშინ უკვე 7-7 დესეტინა მიეცემათ.

ამის შემდეგ კვლავ მოვიწვიეთ ყრილობა და დავწერეთ სხვადასხვა ოქმი. ავიტანე სიღნაღში „მირავი პასრედნიკ“ ნაცვლიშვილთან, რომელიც ჯერ მაგრად გამოვთვრე, მთისა და ბარის საქმეებზე ველაპარაკე, თან განგებ ვჩქარობდი, შირაქში ათასი საქმე მაქვს და მინდა მალე წავიდე მეთქი. ისიც მენდო, ჩემს მიერ გადაწვდილ ქალაქზე ხელი მოაწერა და ბეჭედი დაარტყა. იმ ოქმის პირი გადაწვერე და გავუგზავნე ვაჟას ჩარგალში. ისიც მალე ჩამოვიდა ქედში, რომ დარწმუნებულიყო პირვანდელ ოქმზე მართლა იყო თუ არა ნაცვლიშვილის ხელმოწერა. როდესაც ვუამბე ვაჟას, თუ როგორ შევაპარე ხელმოსაწერად ნაცვლიშვილს ოქმის ქალაქდები, ბერი იცინა და თქვა: ქლანდელი პაგონებიანები ღვინო-არაყში იხრჩობენ თავს და ხელს რაზე აწერენ კი არ იციან. ფხიზელი რომ ყოფილიყო, არაფრის დიდებით არ მოგვიწერდა ხელს, ახლა მე ვიცი ცისკარიშვილის კამპანიის და მათ მიერ მოქრთამული ხალხისა, ამ ოქმით მათ მე კისერს მოვტეხ და სადაც კანონი არ გასჭრის, ჩემს მკლავს და თავს გავაჭრევიებ.

ვაჟა შირაქიდან თბილისში წავიდა, მისი წასვლიდან



XX ს. დასაწყისი. მიწური გომური ქედში



1923 წ. კომუნის წვერი გლეხის სადგომი

ათი დღის შემდეგ მდიდარმა თუშებმა ჩამოიყვანეს მიწათმომწყოები იგიტხანოვი, საძოვრების აგენტი სნეშკო ესლავსკი და გვითხრეს: „შირაქიდან უნდა აიყაროთ“. აგვიზომეს ნახნავ-ნათესი, სათიბი, დაგვადეს ჯარიმა და მოითხოვეს მაშინვე მისი აკრეფა. მე სასტიკი წინააღმდეგი წავედი და ვუთხარი: თქვენ ჩვენ უკანანონოდ გვექცევით, ეს ადგილები კანონის ძალით გვიკავია და მეტიც გვეკუთვნის. ამის შესახებ ჩვენ საჩივარი გვაქვს შეტანილი ლუკა რაზიკაშვილის ხელით, ჩამოვა აქ და მას ელაპარაკეთ. მათ მოითხოვეს ოქმი, მეც ვუჩვენე. მაშინ ესლავსკიმ თქვა: — ამ ხალხს მიწას ვერ წავართმევთ, რადგან მთავრობის ნებართვით არიან გადმოსახლებულნიო.

ცოტა ხნის შემდეგ შირაქში ჩამოვიდა „მირავოი პასრედნიკი“ ნაცვლიშვილი, ნახა რა თავისი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული ოქმი, გაცოფდა, მთვრალი ვიქნებოდიო — წამოიყვინა და დამიწყო ჩხუბი. მეც განვრისხდი, კიდევ კარგი, რომ იარაღი არ მქონდა, თორემ შეიძლება სისხლიც დაღვრილიყო. ამ ჩხუბში თან ვაჟას სიტყვები მახსენდებოდა: — ზოგან კანონით და ზოგან ძალით ჩვენ ჩვენი საქმე უნდა გავაკეთოთ. ნაცვლიშვილი მიხვდა, რომ ვერაფერს გააწყობდა, მოლბა და მორჩილად მითხრა: „რადგან ასე მოხდა, რა გააწყობა, თქვენი მფარველი ვიქნები და დაგეხმარებითო.“ ამის შემდეგ მართლაც გვეხმარებოდა.

1914 წ. ვაჟა ქედში ჩამოვიდა. მოვიწვიეთ ყრილობა. იმ ყრილობაზე სნეშკო ესლავსკი ჩემთან ახლოს იჯდა და მითხრა რუსულად ვაჟას შესახებ. (ალბათ ეგონა, ვაჟამ რუსული არ იცოდა), „აბა რა ნასწავლი კაცი, რუსულად ვე არ ლაპარაკობს და ქართულადც არაფერს ამბობს, ასეთი საქმისთვის ნასწავლი კაცი უნდა აგერჩიათო“. გაიგონა რა ეს ვაჟამ, არც აცია, არც აცხელა, მარჯვენა ხელით ისე გასცხო, ესლავსკი 2-3 საჟენზე გაბარბაცდა, თან მიამხა: „უსწავლელი ადვოკატის სილა კარგად დაიხსომე, შენს გარდა ჩემ მიერ ნაკრავი სხვასაც დღემდე არ დავიწყებიაო“. ცისკარიშვილიც იქვე იდგა. მე ხალხი წინასწარ მყავდა გაფრთხილებული, თუ ჩხუბი ჩამოვარდებოდა, მზად ყოფილიყვნენ ისე კი, რომ სისხლი არ დაღვრილიყო. ცისკარიშვილს ხმა არ ამოუღია, იცოდა თუ ხელს გაანძრევდა, ვაჟა მასაც დათვით მიბეგვავდა.

ასე დამთავრდა მაშინ ეს დაუა. „რაკი დიდ შირაქში გუთანი ერთხელ შეიპარა, ის აუცილებლად მოიხვენებაო“ — ვაჟას ამ სიტყვებით ხშირად მიგვიმართავს თუში მეცხვარეებისთვის და შეგვიხსენებია, რომ შირაქი მეცხვარეების გარდა მხვენელ-მთესველსაც ეკუთვნოდა.



1930 წ. გლეხის სახლი



### ნანა ჭიჭინაძე

გია ყანჩელი - მარადისონის ზინაფარი

„საქართველომ უდიდესი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა დიდი კომპოზიტორი გია ყანჩელი. მან შექმნა მუსიკა, რომელიც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. გია ყანჩელმა სამართლიანად დაიკავა ადგილი მსოფლიოს უდიდეს კომპოზიტორთა შორის.

განსაკუთრებული ყანჩელის როლი რუსთაველის თეატრის აღორძინებაში. ყანჩელის თანამშრომლობამ არნახული წარმატება მოუტანა ქართულ თეატრს მთელს მსოფლიოში. რომ არა გია ყანჩელის მუსიკა, ალბათ „კავკასიურ ცარცის წრეს“, „რიჩარდ III-ს“, „მეფე ლირს“,

„მაკბეტს“, „მეთორმეტე დამეს“, „ჰამლეტს“, „ლამარას“, „სტიქსს“ და სხვა სპექტაკლებს არ ექნებოდა ასეთი დიდი აღიარება.

ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს თავის სასიქადულო შვილს. გია ყანჩელის სახელი კი სამუდამოდ ჩაიწერა ქართული ხელოვნების ისტორიაში.“

*რობერტ სტურუა  
რუსთაველის თეატრი*

ძვირფასო მკითხველო, ზემოთ ჩამოთვლილი ყველა სპექტაკლის პრემიერას ვესწრებოდი; მათ შორის „მეფე ლირის“ პრემიერა დაემთხვა სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის 60 წლის იუბილეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა — ნიკო ყონიაშვილმა, საქართველოში ცნობილი კოლმეურნეობის თავმჯდომარეები დაპატიჟა და მოსაწვევე ბარათებზე გვარ-სახელები ტუშით შემავსებინა, მათ შორის, ორი მოსაწვევე, რომელიც რობერტ სტურუას (მთელი დასით იყო მოწვეული) და გია ყანჩელის სახელზე იყო, პირადად მე გამატანა რუსთაველის თეატრში. როცა ვიკითხე სად შეიძლება მისი ნახვა, მითხრეს, რომ სასადილოში (მაშინ რუსთაველის თეატრს სასადილო ჰქონდა) არისო. ჩავედი და პირადად გადავეცი ორივე მოსაწვევე ბარათი გია ყანჩელს. შემდეგ სასადილოს მზარეულს ვკითხე, განსაკუთრებით რომელი კერძი უყვარს რობერტ სტურუას მეთქი; პამიდორის და კვერცხის სოუზი მწვანელებითო; როდესაც ბატონი რობერტი ჩამობრძანდა (ბატონმა გიამ მაშინ ვერ მოახერხა საიუბილეო სადამოზე მოსვლა, რადგან ქვეყნიდან გასული იყო), საიუბილეო ბანკეტზე ნაირ-ნაირი უგემრიელესი ქართული კერძი იყო. პირადად რობიკოსთვის სპეციალურად გავამზადებინე ეს კერძი და მივართვი. მან თითი დამიჭინა და საჯაროდ თქვა — ეს კერძი ნანას დაკვეთით იქნება ჩემთვის გამზადებული, რადგან ჩემი საფირმო კერძიაო.

2010 წლის 10 მაისს ეგვიპტი მიქელაძის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში გაიმართა დედას — მარიამ ოზაშვილ-ჭინაძის გარდაცვალებიდან 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო. სიმფონიურმა ორკესტრმა, ნიკოლოზ რაჭველის მეთაურობით, შეასრულა ბეთხოვენის მე-5 სიმფონია. კონცერტის დასასრულს შესრულდა გია ყანჩელის მუსიკა ორკესტრის თანხლებით ლანა ლოღობერიძის ქართული მხატვრული ფილმიდან „როცა აყვავდა ნუში“. დედას ეს ფილმი ძალიან უყვარდა. შემდეგ გაიმართა სადილი, რომელსაც ესწრებოდნენ თავად ნიკოლოზ მეძანიშვილი, კომპოზიტორები ვაჟა აზარაშვილი და გია ყანჩელი. ვაჟა აზარაშვილს მივმართე: ბატონო ვაჟა, დღეს საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარემ ლია ნადარეიშვილმა გადმოძვრა მწიგნობართა ასოციაციის წევრობის ბარათები. ერთ ბარათს თქვენ შეგთვლით და დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის საპატიო წევრი იქნებით. დიდი სიამოვნებითო და ღიმილით მითხრა: რეკომენდაციას ვაძლევ ჩემს კოლეგას, გია ყანჩელს. ისიც საპატიო წევრი იყოს თქვენი ასოციაციისა. გია ყანჩელმა მთელი სერიოზულობით მკითხა: მე რა მუშაობა? ბატონმა ვაჟამ უპასუხა: თბილისში რომ ღონისძიებას გამართავს და ასევე თავის რაიონში იქ მიგვიწვევსო. „ღინამოს“ სიმღერის მუსიკის



ავტორი მაძღვეს რეკომენდაციას, უარს ხომ ვერ ვეტყვიო და ორივეს ჩემი ხელით შევსებული მწიგნობართა ასოციაციის წევრობის ბარათი გადავეცი. ამ საღამოს სპონსორი გახლდათ სოფელ ზემო მაჩხანის ფერმერთა და არენდატორთა პროფკავშირების თავმჯდომარე ბატონი რობიზონ (ყაჩაღა) იაკობიშვილი, რომელიც საფორტეპიანო და კლასიკური მუსიკის უდიდესი მოყვარული გახლდათ.

ერთხელ რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე გია ყანჩელს შეხვედრა ჰქონდა ჟურნალისტებთან; იმავე საღამოს ხელოვნების მუშაკთა სახლში, ლეონიძის ქუჩაზე, ოტია იოსელიანის შემოქმედებითი საღამო იყო. გული დამწყდა, რომ ეს ორი მნიშვნელოვანი საღამო ერთმანეთს დაემთხვა; პირადად მე გია ყანჩელის შეხვედრას დავესწარი.

სანამ ჟურნალისტებთან შეხვედრა დაიწყებოდა, მე მკითხა: „თქვენ ოტია იოსელიანის საღამოს არ ესწრებით ხელოვნების სახლშიო, თქვენ ხომ მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარე ხართ და მე კიდევ თქვენი წევრიო!“ მართო ამ სიტყვების მოსასმენად ღირდა თქვენს შეხვედრაზე დასწრება მეთქი. ჟურნალისტებმა, რომელთა უმრავლესობას ტელეჟურნალისტები წარმოადგენდნენ, ხანგრძლივი ოჯაციები გაუმართეს გია ყანჩელს. „ქალბატონო ნანა, ეს ოჯაციები თქვენც გეკუთვნითო!“

სანამ ჟურნალისტები კითხვებს დაგუსვამდით ბატონმა გიამ მოგვიყვა: „მე გამოვიარე საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრება. მიმდინარე წელს 75 წელი შემისრულდება. მინდა გითხრაო, რომ ძალიან ბედნიერი კაცი ვარ. ბევრი ჩემი კოლეგა ინატრებდა ასეთ ბედ-იღბალს. მე ურთიერთობა მქონდა მსოფლიოს საუკეთესო ღირიჟორებთან, შემსრულებლებთან, მოვიარე თითქმის მთელი მსოფლიო და მოსმენილი მაქვს ჩემი მუსიკა საუკეთესო საკონცერტო დარბაზებში. რა თქმა უნდა, არ ვაპირებ ამ ყველაფრის ჩამოთვლას, რადგან ეს დიდ ღროს წაგვართმევს, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ ეს ყველაფერი შეიძლება შეფასდეს როგორც ბედნიერი ცხოვრება, მე მყავს შეუღარბელი მეუღლე, ჩვენ ორმაც დამეთორმეტე წელია ერთად ვართ,



ისიც კარგად მესმის რა მძიმე და რთული იყო ჩემი გაძლება; ჩვენ გვეყავს ორი არაჩვეულებრივი შვილი ნატო და სანდრო და საოცარი რძალი — მარია გოგორიშვილი, რომლის მიმართ ისეთივე გრძნობა მაქვს როგორც ჩემი შვილების მიმართ. გვეყავს ოთხი ერთმანეთზე უკეთესი შვილიშვილი და რაც მთავარია ჩემი შვილობილი — ნიკოლოზ რაჭველი, რომელიც, როგორც ჩვენს ქვეყანაში ისე უცხოეთში არის ჩემი სიმფონიური და კამერული მუსიკის ორკესტრის დირიჟორი. ჟურნალისტები ძალიან ხშირად მეკითხებიან — თუ ასე ბედნიერი ბრძანდებით, რატომ წერთ ასეთ ტრაგიკულ მუსიკას? ტრაგიკულ მუსიკას იმიტომ ვწერ, რომ მიუხედავად ჩემი ბედნიერი ცხოვრებისა, გარშემო რაც ხდება, ჩემს სამშობლოში, მსოფლიოში არასოდეს მაძლევდა უფლებას სხვანაირი მუსიკა დამეწერა, ამიტომ ის ძირითადად სევდიანი და ტრაგიკულია. ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი შემოქმედება მომავალში დავიწყებას არ მიეცემა და აღიქმება, როგორც მცდელობა სიბნელისგან თავის დაღწევისა და სინათლისკენ სწრაფვისა“.

2010 წლის 19 ივნისს რუსთაველის თეატრის სცენაზე გაიმართა გია ყანჩელის სიმფონიური მუსიკი კონცერტი. 18 ივნისს ჩემს დეიდაშვილთან სოფელ არბოშიკში ვიყავი ჩასული. ნათელას კარის მეზობლად ცხოვრობს პოეზიის დედოფლის — მაყვალა გონაშვილის, დედა. ორივე მის სანახაურად მივედით. დეიდაშვილმა იზოს გააცნო ჩემი თავი და დახმინა: ხვალ თბილისში, რუსთაველის თეატრში მეპატიჟება გია ყანჩელის საფორტეპიანო მუსიკის კონცერტზე. იზომ გვითხრა, ახლახან მელაპარაკა მაყვალა, ხვალ ქარიშხალია მოსალოდნელი თბილისში, როგორ წახვალთ?! მე ვუპასუხე, გია ყანჩელის არცერთი კონცერტი და შეხვედრა არ გამიცდენია და აისბერგიც რომ დამეჯახოს მაინც წავალ მეთქი. მართლაც მეორე დღეს, 19 ივნისს, სპარტაკ ლაპიაშვილის მიკრო ავტობუსით წავედით, რომელიც ყოველთვის უფასოდ მამგზავრებდა, რადგან იცოდა რომ მე რუსპუბლიკურ გაზეთებში ვწერდი ინფორმაციებს, ამბობდა, ამით შენ ქართულ კულტურაში დიდი წვლილი შეგაქვსო, როცა ჩვენ აღარ ვიქნებით სტატიები დარჩება თბილისში გამომავალ გაზეთებშიო. თბილისში მართალია ქარი იყო, მაგრამ რუსთაველის თეატრის სცენას ნამდვილმა ქარიშხალმა გადაუარა გია ყანჩელის მუსიკის ჰანგებით.

სხვა დროს თბილისის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ქართული კინო-მუსიკის საღამო მუსიკალური ცენტრის საპორტეპიანო ორკესტრის თანხლებით ნიკოლოზ რაჭველის დირიჟორობით. ეკრანზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ: „როცა აყვავდა ნუში“, „შერეკილები“, „მიმინო“, „არ დაიდარდო“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „ციისფერი მთები“ დ სხვა. ნიკოლოზ რაჭველმა გამოაცხადა, რომ დარბაზში ბრძანდებიან ბატონები გია ყანჩელი და ელდერ შენგელაია; ტაშის გრილით დაინგრა დარბაზი.

ბედნიერება მხვდა წილად, რომ, ასევე, ასე ახლოს ვიცნობ ნიკოლოზ რაჭველს, რომელიც გია ყანჩელის საფორტეპიანო, თუ კამერული, მუსიკის კონცერტების უცვლელი დირიჟორია და რომლებზეც არა მარტო მე, არამედ ჩვენი მწიგნობართა ასოციაციის წევრებსაც გვეპატიჟება.

ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს გია ყანჩელმა აღ-

ნიშნა, რომ ჩემს ქვეყანაში მე ვგონივარ „ყვითელი ფოთლების, ისე როგორც ვაჟა აზარაშვილი „დინამოს“ სიმფონიის ავტორი. მსოფლიოს მუსიკალურ სამყაროში ეს კომპოზიციები არაფერ იცის; იქ იციან ჩემი სიმფონიური და კამერული მუსიკა. რა თქმა უნდა თბილისშიც არის რამდენიმე ასეული ადამიანი, ვინც სისტემატიურად ესწრება ჩემს კონცერტებს, სადაც სრულდება ჩემი სიმფონიური მუსიკა.

ბოლოს მინდა გავიხსენო ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი, 2010 წლის 25 ოქტომბერს დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თაოსნობით მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა გია ყანჩელის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი სიუბილუო საღამო, რომელსაც ესწრებოდნენ მისი ნიჭის დამფასებლები და თაყვანისმცემლები. სპეციალური მოწვევით სოფელ საბათლოს საჯარო სკოლის მაღალი კლასების მოსწავლეები და პედაგოგები. ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი „გია ყანჩელი“. დამსწრე საზოგადოების სახელით ნაზი მოსაშვილმა მადლობა გადაუხადა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებს და პირადად მის ხელმძღვანელს ლალი ბასილაშვილს, რომელმაც დამაჯერებლად ისაუბრა დიდი კომპოზიტორის შემოქმედებაზე და ასევე დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარეს ვანო ნატროშვილს ამ საიუბილუო საღამოს გამართვისათვის.

ბატონი გია ამავე დღეს სპეციალურად იყო მიწვეული სოფელ ოზაანში სოსო თევზაძის ოჯახში, რობერტ სტურუასთან და თავის მეუღლესთან, ლულისთან, ერთად; თუცა გია ყანჩელი თავის უნივერსიტეტულ (მოგეხსენებათ, გია ყანჩელმა ჯერ თსუ-ს გეოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა) თანაკურსელებთან ერთად ჩამობრძანდა და სოსომ ისინი ჯერ ვენახში მიიწვია, სადაც ერთი რიგი სპეციალურად დასაკრეფი იყო, რომელიც თავად გიას და მის მეგობრებს მოაკრეფინა. შემდეგ კი ოჯახში მიიწვია არცის გამოხდაზე. იქვე, მაყალზე, მწვადი იწვებოდა, სპილენძის ქვაბში თათარა თუხთუხებდა და ხინკალი იხარშებოდა. ბატონმა გიამ აღნიშნა, მთელი მსოფლიო მაქვს შემოვლილი, მაგრამ ქართველი კაცის და ქართული სუფრის მსგავსი არსად არაფერი მინახავსო. როდესაც ჰანაშვილზე მივედი გია ყანჩელის ოჯახში ტოლსტოროგოვის ქუჩაზე, მისმა მეუღლემ სიამოვნებით (და გულნაკლულობით, რომ მაშინ მეუღლესთან ერთად არ იყო) გაიხსენა ეს ეპიზოდი, თუ ოზაანში გატარებული დროით აღფრთოვანებული კომპოზიტორი, როგორ იხსენებდა ამ შეხვედრას: „იცო რა ლული, საოცარი დრო გავატარე სოფელ ოზაანში, რომელიც ქიზიყის სოფლების გვირგვინია და მის სილამაზეს დიდ ხიბლს მატებს ამადლების ტაძარი“, რომელიც IX საუკუნის ისტორიული ძეგლია. XII-XIII საუკუნის კედლის მხატვრობა მცირე ფრაგმენტებადაა შემორჩენილი. ტაძრის დღესასწაული ყოველწლიურად აღდგომიდან მეექვსე ხუთშაბათს აღინიშნება.

გია ყანჩელი 2019 წლის 2 ოქტომბერს გარდაიცვალა 84 წლის ასაკში. 5 ოქტომბერს რუსთაველის თეატრიდან გამოასვენეს ხანგრძლივი აპლოდისმენტების ფონზე. შემდეგ ოპერის წინ დაასვენეს. იქაც უამრავი ხალხი დახვდა და ხანგრძლივი ოვაცია გაუმართეს. დაკრძალეს დიდუბის პანთეონში. დიდი კომპოზიტორი მარადისობის ბინადარია

# მელანო ზედელაშვილი



დავობადე 1961 წელს ქ. დედოფლისწყაროში. მოსამსახურის თჯახში. 1968 წ. შევედი ქ. დედოფლისწყაროს №1 სამუშაო სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ თჯახის გადაწყვეტილებით დაფიქვე მუშაობა წითელწყაროს ალკ რაიკომში, სათრგანინაჯით განყოფილებაში, რადგან დედა წინააღმდეგი იყო, რომ სამხატვროზე ჩამებარებისა, სხვა სპეციალობის მიღებას და ჩაბარებას მუშაობა ვარჩიე, მეგონა სამსახურთან ერთად მოვიპოვებდი თავისუფლებას და ჩემს ოცნებას ავისრულებდი, მაგრამ შევცდი. ნადრევიად შეგქმენი თჯახი და ეს ოცნებაც სამუდამოდ დაგასამარე.

1980 წელს გადავედი წითელწყაროს სახალხო ბანკში და ოცი წლის გამავლობაში ვმუშაობდი. დაუსწრებლად დავამთავრე უმაღლესი ბუღალტრის სპეციალობით. შემეძინა ორი შვილი. ზურაბ აღადამილი, რომელიც წარჩინებული სტუდენტია ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტში, არის სტიქაროსანი. უჩამ დამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. ზურაც და უჩაც ემსახურებთან საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია მეორეს, ვმადლობ უფალს ამ დიდი წყალობისთვის. უჩას ყავს შესასნიშნავი მეუღლე ნინო მაისურაძე. ყავთ ორი შვილი ანდრია და ილია.

2000 წელს შემექმნა ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები. მოვხვდი საავადმყოფოში და ლალი უზუნამილის თხოვნით დაფიქვე თეთრეულის ქარგვა, მაგრამ მივხვდი, რომ ეს არ იყო ჩემთვის დიდად საინტერესო, სხვა რაღაც მინდოდა, უფრო მეტი და ვერ ვხვდებოდი რითი უნდა დამეწყო. როგორც ყვე-

ლა ჯანმრთელობა შერყეული ადამიანი, ასევე მეც მოვიხდომე უფალთან მიასლოვება და გადაწყვიტე მომექარვა უფლის ხელთუქმნელი ხატის. ეს პროცესი აღმოჩნდა ჩემთვის სამკურნალო, სასიცოცხლო, ჩემი სულის გამოკვება-დამშვიდების და გადარჩენის უებარი სამუშაოება. ამ ხატის დასრულებამ მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება. ათასნაირი ფერის ძაფები განდა ჩემს გონებაში ჩაღექილი და განუთრციელებლად მიხნეული კომპოზიციების შექმნის ინიციატორი, რომელიც ასახავდენ ჩემს სულიერ ტკივილს, სევდას, იმედგაცრუებას, სიხარულს. ნელ-ნელა ემატებოდა ჩემს გაღერებს ჩემი ნემსით და ძაფებით შექმნილი სურათები, რომლებიც უდიდეს სიამოვნებას და სიხარულს მანიჭებდა. ყველა ნაქარგი განსხვავებულია, სხვადასხვა შერყეული ტექნიკითაა შესრულებული; ზოგჯერ მხოლოდ მულისის ძაფებით, საღებავებსაც ვხმარობ და აბრეშუმის ლენტსაც.

სრულიად შემთხვევით ჩემი სამუშაოებები დაათვალიერა ბატონ ვაჟა აზარამილის მეუღლემ, პეტემა მანანა დანგაძემ და ჩათვალა, რომ საზოგადოებისთვის უნდა ეჩვენებინა ჩემი ნაქარგები. ეს მიწვევა მე უდიდეს ბედნიერებას და ამავე დროს უდიდეს პასუხისმკებლობას მანიჭებდა, რადგან ამ ორი ბუმბერაზის „აზარამილის თჯახის“ საღამოს გაათორმეებდა ჩემი გამოფენა. მადლობა უფალს ამ დიდი ჯილდოსთვის და უდიდესი მადლობა ქალბატონ მანანა დანგაძეს ამ ბედნიერი საღამოსათვის.

მეორე გამოფენა სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში შედგა საპატრიარქოს ტელევიზიის ჟურნალისტის, ქალბატონ თამარ თავაძის, თათნობით, რომელიც საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია მეორეს მიეძღვნა.

მესამე გამოფენა დედოფლისწყაროს ხელოვნებათმცოდნეობის მუსიკალურ სკოლაში ქალბატონ თამარ თამაზაშვილის მიწვევით ჩატარდა. მადლობა ქალბატონ თამარს და ქალბატონ დალი ელისაშვილს, რომლებმაც ძალიან თბილი გარემო შემიქმნეს. ანსამბლ „მანანა-დას“ კონცერტის ფონზე სასიამოვნოდ ჩაიარა საღამომ.

ხელოვნება დაღმართზე ჩასრიალებას გავს. თუ ერთხელ დაეშვი, მიდინარ უსასრულობაში, იკარგები ლამაზ ფერებში და ირგვლივ ყველაფერში, რასაც თვალი აღიქვამს, მხოლოდ სიღამამხეს, სიკეთეს და ბედნიერებას ხედავ. მიყვარს ყოველი დღის ის მომენტი, როცა ვპოულობ დროს, მიუჯდევ ჩემს აბლანდულ ძაფებს და სიცოცხლე შთაებერთ მათ, ეს არის თავისუფლების განცდის ყველაზე აღმატებული წუთები ჩემთვის. ხელოვნება ჩემთვის საუკეთესო „ვიტამინა“ და მაცოცხლებელი ძალაა. მე მგონია, რომ ყველა ადამიანში არსებობს ნიჭი ხელოვნებისა და ყველას მოეუწოდებ ამ სასიამოვნო „დაავადებით“ დაინფიცირებას, რომელიც აღარ იკურნება და თავის დაღწევა ძნელია.



ქვიზანაიშვილი



ჭაქვის ბილიძე



საღვთაძველი



ილუვალი  
ქალბატონი



კოსანუბი

